

140
1981

ISSN 0132

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՆՈՒՅՆԱԳՐՈՒԹՅՈՒՆ



ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ

12
1981



ლ. ი. ბრეჟნევი სტუმრად არბაკელბთან

19 დეკემბერს დაბადების 75 წელი უსრულდება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომელსაც ისტორიამ დააკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა იმოს ლენინური პარტიისა და მთელი ჩვენი ხალხის მესავე, კვებნად მშვიდობის მიღროზე. და იგი პარტიასა და ხალხს მტკიცედ მიუძღვის ლენინური კურსით, ლენინური გზით.

რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის სახელით ვუსურვებთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს დაბადების 75 წლისთავის წინ ყოველივე საუკეთესოს, ყოველივე კარგს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიხარულსა და დიდ ბედნიერებას, ახალ ძალებსა და ახალ ენერგიას შრომაში საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, ჩვენი ლენინური პარტიის სადიდებლად, კომუნისმის გამარჯვებისათვის.

ე. ა. შვეარდნაძის გამოსვლიდან საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე

გულით ველოცავთ ქვირვას ლეონიდ ილიას ქვს

1979 წლის 1 იანვარს ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა:

...ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია, მათ უნდა განაგრძონ თავიანთი მამებისა და დედების საქმე. დარწმუნებული ვარ, ისინი ცხოვრებას ქვეყნად უფრო უკეთესა და ბედნიერს გახდიან. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვეცადოთ, რათა არც ერთი ხალხის ბავშვებმა არ იცოდნენ, რა არის ომები, რომ მათ მშვიდი, სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ.

სამწუხაროდ, დღეს ქვეყნად ჯერ კიდევ ბევრგან გაისმის სროლა, იღვრება სისხლი და იღუპებიან არა მარტო მოზრდილები, არამედ ბავშვებიც. ჯერ კიდევ ბევრი ბავში იხოცება შიმშილით და ავადმყოფობით. ამას ვერ შევეუბრებოდით. საბჭოთა კავშირში ვცდილობთ ყველაფერი ვილონოთ, რათა ბავშვობის წლები ჯანსაღი და ბედნიერი იყოს. ჩვენ ავაშენებთ და კვლავაც ავაშენებთ ათასობით ნათელ, მოხერხებულ საბავშვო ბაგას, საბავშვო ბაღს, სკოლას. ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს ვასწავლოთ სიკეთე, მეგობრობა, ვასწავლოთ იცხოვრონ კეთილმეზობლურად ყოველი ეროვნებისა და კანის ფერის ყველა ადამიანთან, ვასწავლოთ მათ შრომის პატივისცემა და შრომა ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ...“

რა ბრძნული სიტყვებია! როგორი მშობლიური სიყვარულითა და მომავალ თაობაზე ზრუნვითაა გასხივოსნებული ისინი! რა დიდებულია საბჭოთა ქვეყნის ეს კანონადქცეული სიყვარული მისი პატარა მოქალაქეებისადმი!

აბა, კარგად ჩაუკვირდით ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალ, მე-11 ხუთწლედს. ეს ხომ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამალგების დიდებული პროგრამაა! და ამ პროგრამაში უპირველეს ამოცანად, უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიჩნეულია იმ მიზანდასახულობათა ხორცშესხმა, რაც მოზარდი თაობის სწავლისა და აღზრდის, მისი ცხოვრების, შრომისა და დასვენების პირობების კიდევ უფრო სრულყოფისათვის არის გათვალისწინებული.

ამ ხუთწლედის მანძილზე გაფართოვდება და შემდგომ

გაუმჯობესდება საბავშვო ბაღებისა და ბაგების, გახანგრძლივებული დღის სკოლების, პიონერული ბანაკების და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ქსელი. გაუმჯობესდება პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების (სახლების), სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობა. გაუდიდებათ სახელმწიფო დახმარება ბავშვიან ოჯახებს. განსაკუთრებით გაძლიერდება ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ბავშვებს შორის. ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ სრულყოფილი იქნეს შრომითი აღზრდის ფორმები საშუალო სკოლაში; გაძლიერდება მუშაობა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის.

ყველაფერი ეს მოზარდ თაობაზე ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვის თვალნათელი მაგალითია. ამ ზრუნვის მოთავე და სულისჩამდგემლი ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიაა, მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ამიტომ უყვარს ჩვენი ქვეყნის მოზარდ თაობას ასე გულწრფელად ლეონიდ ილიას ძე, ამიტომ ცდილობენ ისწავლონ ბეჯითად, იშრომონ თავიანთ უფროს დაძმებთან — კომკავშირელებთან მხარდამხარ, კოლექტიურ შრომაში გაიკაჟონ ხასიათი და ჯანი, გაიზარდონ მომავლის ნამდვილ ადამიანებად და ამით დაუმტკიცონ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს, რომ სამშობლოს გასახარად ნამდვილ პიონერებად, ქვეყნის პატრიოტებად და ერთგულ შვილებად იზრდებიან.

ლეონიდ ილიას ძეს დაბადების 75 წლისთავის ამ საიუბილეო დღეებში ნორჩები უსურვებენ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა ხალხის სასიკეთოდ და საბედნიეროდ.

16822

საქართველოს ალკი მკ-ის და
პ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი



პიონერი
12 დეკემბერი 1981

კ. ნარმაძის ს. ხ. ხაძ
საქართველო



აცხადებს უკვე ძალაში შესული პიონერული ხუთწლელი.

როგორ გამოიყურება აბაშელ პიონერ-მოსწავლეთა შრომითი საქმიანობა ხუთწლედის ამ დევიზის მოთხოვნათა ფონზე?

15.244 მანეთი, ნაცვლად დაგეგმილი 15.060-სა — ასე შეფასდა წლებადელი მესამე შრომითი სემესტრის განმავლობაში პიონერ-მოსწავლეთა მიერ შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობის ღირებულება. ზაფხულის მანძილზე მოსწავლეთა 26 საწარმოო პრიგადის, რაიონის 1.010 პიონერ-

პიონერული ხუთწლელი ამჟამად

პიონერული ხუთწლელი

ენო ხარაზიშვილი

რაიონით, რომლის წილადაც 32 მარჯვენაფლანგელი პიონერული რაზმი ჩამოგვითვალეს, თავიდანვე დავინტერესდით. მით უმეტეს, რომ აბაშის სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარმა გარდატეხამ რაიონის განათლების სისტემასაც დაატყო კეთილი კვალი.

თითქმის ყველა სოფელში აშენდა ახალი სასკოლო კორპუსები. კეთილმოწყობილ საკლასო ოთახებსა და საგნობრივ კაბინეტებში, სახელოსნოებსა და სპორტულ დარბაზებში გადაიან გონებრივ და ფიზიკურ წვრთნას ძველბაშელის და ტყვიარებით, მარნელი და ქოლოზნელი, პირველიმასელი და სუჯუნელი, ზანათელი, ნახსაკოვოელი, მაინელი და სხვა სოფლების პიონერ-მოსწავლეები. გამონაკლისს ჯერხნობით მხოლოდ კეთილარის და წყემის რვაწლიანი სკოლები შეადგენენ. ხოლო სოფელ სამიქაოს საშუალო სკოლა ჯერაც მშენებლობის პროცესშია.

უყვართ ფერადოვანი დღესასწაულები აქაურ ბავშვებს, განსაკუთრებით უმცროსკლასელებს. ამიტომაც არავის გაკვირვებია, რომ მათი სიმრავლით გამოირჩეოდა პიონერთა სახლის თაოსნობით ჩატარებული ღონისძიებები: საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დაბადების, ყვავილების თუ ბავშვთა დაცვის დღე-

ბისადმი მიძღვნილი ზეიმები. ყველაზე მეტი მოხალისე საუკეთესო ნახატი და დეკორატიული კუთხის კონკურსებს ჰყავდაო, — შთაბეჭდილებებს მიზიარებენ პიონერთა სახლის აღსაზრდელები — ბადრი ქობალავა და ზაზა მაკარაძე.

როცა პიონერთა VIII საკავშირო შეკრებამ პიონერული შრომითი საქმეების ხუთწლელი გამოაცხადა, რაიონის პიონერია, ვინ იცის, მერამდენედ, ძალზე სერიოზულად ჩაფიქრდა. იქნებ, პიონერისთვის საკმარისი სულაც არ არის მხოლოდ ფრიადოსნობა და კარგოსნობა; იქნებ აქედანვე, სწორედ მათი ასაკიდან უნდა ჩასაძირკვლდეს ის, რასაც, შემდგომ საქმისკაცობა, კაცურკაცობა, პატიოსნება და პასუხისმგებლობა დაერქმევა.

— საქმის სიყვარული? იცოცხლეთ, ეს არავის აკლდეს. ის კი არაა, ბიჭები ძალზე გაგვიაქტიურდნენ და სიხარულით აღარ ვართ, — გასაიდუმლოებული ღიმილით „გაგვანდო“ აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ქ. ცომიაიმ. — განსაკუთრებით მეხუთეკლასელი ბიჭები ყოჩაღობენ, პიონერული ხუთწლედის ბევრ ოპერაციაში ყველაზე დიდ იმედებს სწორედ მათზე ვამყარებთ.

„თითოეულ პიონერულ რაზმს დამკვრელური საქმე, თითოეულ პიონერს — შრომითი დავალება!“ —

მოსწავლის დასაქმება კი ლოგიკური შედეგი იყო ჯერ კიდევ მათში აღებული ინიციატივისა, რომლითაც პიონერული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მონაწილე პიონერებმა მშრომელებს — თავიანთ შეფებსა და უფროს მეგობრებს აღუთქვეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში აქტიურად ხელის გამოლება.

ამ ბავშვებს კარგად ესმით: — მათი წვლილი მთელ შრომით პროცესში, რაიონის სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო წარმატებებში, რა თქმა უნდა, ვადაწყვეტი არ ყოფილა, მაგრამ ამ შრომამ ბევრი აქედელ განუტეველი სიხარული თუ გულისდაწყვეტა კი მოუტანათ. რაც მთავარია, მან მოიტანა მომავალზე კონკრეტული პასუხის მაძიებელი, სერიოზული ფიქრი. მეურნეობის ფართობებზე გარჯილი უფროსების ალალი საქმით დაანახვა, რომ მთავარი ის კი არ არის, რა საქმეს — დიდსა თუ პატარას დაადგები ცხოვრებაში, მთავარია, დაოსტატდე, აზრად და სუნთქვად ექცე, ჩაეზარდო შესს საქმიანობას.

ჯერ თამამადაც არ მოთენებულყო, როცა ტყვიარის საშუალო სკოლის პიონერები სოფლის ბოლოს, სწორედ საკოლმეურნეო სიმინდის ყანების გზის შესაყართან შეიკრიბნენ. პირველი რომ ზაირა ხელმძღვანელი მოვიდა, არავის გაკვირვებია. ამას

უკვე შეეჩვივნენ. სხვა ეუცნაურათ — რაზმის ყველაზე „ძილისგულა“ პიონერებიც თითქოს მამლის პირველ ყივილს წამოეყარა ლოგინებიდან.

საქმიანობას მაშინვე შეუდგნენ. მთელ გზისაყოლებზე გულდაგულ გაწმინდეს სიმინდის სავარგულების კიდე-მხარეები. შუადღემდე იზრომეს, ხუმრობით შეხშიანება-შემოხშიანებასა და მიწის ფერებაში დრო ისე თვალსა და ხელს შუა გაეპარათ, ვერც გაიგეს. შესვენებისას თვალები ეშმაკურად მოწყურა ხათუნა ლასარეიშვილმა — სკოლის წარჩინებულმა მოსწავლემ, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ. ამხანაგებს გადახედა, აბა თუ მიხვდებიან, რას ვფიქრობო, და სათქმელს შორიდან მოუარა: — აი, სარეველა თუ არის, ჩვენი სოფლის ეკლესიის ეზოში არისო. რას ვერ მიუხვდებოდნენ. ის კი არადა, თურმე ბევრის ნაფიქრსაც დაემთხვა ხათუნას სურვილი. მერე ის იყო, „წიქარასაც“ მოსაწონი „ნობათი“ გაუმზადეს, აბრეშუმის ქიაც გაიბიროვნა რაზმეულის ბევრმა პიონერმა და მის მოვლა-გამოკვებაზეც ხალისით გაისარჯნენ.

აბაშის მე-2 საშუალო სკოლაში ყველაზე თბილი სიტყვა შეფებზე თქვეს: — განსაკუთრებით „შავი საბადოს“ მიმდინარეობის პროცესში დაგვეხმარა აბაშის მექანიკური ქარხნის პედრაზმი (ხელმძღვანელი — მბურღავი ს. ტყებუჩავა), ჩვენს ანგარიშზე 5 ტონა ჯართი ჩააბარა მიმღებ პუნქტს. შარშან ჩვენმა, ზ. კოსმოდემიანსკაიას სახელობის პიონერულმა რაზმეულმა 12 ტონა ჯართი

შეაგროვა, წლევანდელი სასწავლო წელი კი უკეთ დავიწყეთ — უკვე მოვიძიეთ 7 ტონა ჯართიო.

ჩვენ გვჯერა მე-2 სკოლისა და საერთოდ, რაიონის სხვა სკოლების პიონერების მიერ თამამად დასახელებული ციფრებისა. ოღონდ ეს გვაოცებს, რატომ არავინ ჩააყენა აბაშელ პიონერთა მუშაობის შესახებ საქმის კურსში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სათანადო განყოფილება?! იქნებ, უნდა ვიფიქროთ, რომ კომკავშირის რაიონული კომიტეტის ყურადღება რაიონის პიონერის უკეთ მართვის მხრივ რამდენადმე შესუსტდა?

თუ მე-2 სკოლელ პიონერთა განწყობილების მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ რაზმეულში საკმაოდ კარგად ჩაუვლია 2 ოქტომბრის საკავშირო რადიოხაზს. ეს განწყობილება ჭარბად არის გამოხატული მათ სასკოლო პიონერულ ვალდებულებებშიც: ვისწავლოთ ორიანების ვარეშე; გავიპიროვნოთ 30 ჰა სიმინდის ფართობი რიონს გაღმა, ანჯელის მასივში და დამოუკიდებლად მოვიწიოთ მასზე მოსავალი; დავამზადოთ „წიქარასთვის“ 2 ტონა საკვები; ჩავაბაროთ „მწვანე აფთიაქს“ დიდი რაოდენობით სიმინდის უღვაში და მრავალძარღვა.

რადიოხაზზე სტუმრად მექანიკური ქარხნის პედრაზმის წევრებიც ჰყავდათ მოწვეული. მერე ყველანი ერთად ქარხანაში წავიდნენ კიდეც ერთ დიდ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. სწორედ ამ „ახალგაზრდა მუშის დღეზე“ გააცნეს ქარხნის ხელმძღვანელობას (დირექტორი მ. კაჭარავა) პიონერებმა თავიანთი უახ-

ლოესი მიზნები, სამოქმედო პედაგოგიკური რამა, ოცნებანი. მიეხმარნენ გულმოდგინედ დაუსუფთავეს ქარხნის ტერიტორია.

მცირე რამ რაზმეულის პიონერული არქივიდან: „შვიდწლედის თანამგზავრი“ — ეს საპატიო ტიტული ჯერ კიდევ პიონერული ორწლედის დასაწყისში მოიპოვა აბაშის მე-2 საშუალო სკოლის ზ. კოსმოდემიანსკაიას სახელობის პიონერულმა რაზმეულმა. პიონერულ შვიდწლედში გამარჯვებული რაზმეულის შესახებ ქების სიტყვას არ იშურებდნენ გაზეთები „ნორჩი ლენინელი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“... ეს იყო პიონერთა V რესპუბლიკური შეკრების დროს.

დღეს რაზმეულის პიონერული არქივი ამ მასალებთან ერთად ფურცლებშემოცვეთილ, ბავშვური, გაუწაფავი ხელით ლამაზად გაფორმებულ რამდენიმე ხელნაწერ ქურონალსაც ინახავს. „აისი“, „მშვიდო-



მეგობარს ბარათითაც იცნობო —
გვარაფშუენაგან ინტობაკლუბაღაღი.

ბის სხივი“, 1949-1952 წლები. „აბაშის მე-2 საშუალო სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ორგანო“ — ვკითხულობთ სატიტულო ფურცელზე. დასანანიია, რომ პიონერებს დაუთმიათ თავიანთი ნააზრევ-ნაფიქრალის უმუალოდ ვადმოცემის ესოდენ ლამაზი და საგულისხმო ტრადიცია.

სკოლის პიონერთა ოთახში თავმოყრილი მასალა, სკოლისა და მისი

პიონერული აპტივის სწავლების
ეს მისაღინეოვას სკოლის პიონერი-
ის ისტორიას მიეძღვნა.





პიონერული ორგანიზაციის ისტორიის დოკუმენტები, საკავშირო და უცხოეთის პიონერული ორგანიზაციების წარმოშობისა და განვითარების ამსახველი ფოტოსტენდები, ცალკეული პიონერული რაზმების შთაბეჭდილებათა ალბომები... ჩეხოსლოვაკელ, უნგრელ, ტომსკელ, გორკელ, აბასთუმნელ, სოხუმელ და სხვა ინტერკლუბელ თანატოლთაგან მოსულ წერილებს და სუვენირებს „მეგობართა კლუბი“ მასპინძლობს. აქაური პიონერების ყაირათიანობით კმაყოფილი ჩანს „წიგნისმოყვარულთა კუთხე“.

უყვართ პიონერებს თავიანთი ანგეღინა პიონერხელმძღვანელი, სკოლის პიონერული ორგანიზაციის თიქმის ყველა სიხარულისა და ტკივილის მოჭირანხელე და მიზნისმიმცემი. მისი დიდი სიყვარული და გულის სითბო დატყობია არამარტო პიონერთა და ოქტომბრელთა საბჭოების მიერ წარმოებულ აქტივის სწავლებას, არამედ სკოლის თითოეულ პიონერს, თითოეულ ოქტომბრელს, რომელიც პიონერთა რიგებში მიღებას თავის ყველაზე დიდ ფიქრსა და ოცნებას უკავშირებს.

აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის პ. მოროზოვის სახელობის რაზმეულს რომ ვეწვიეთ, გაკვეთილები უკვე დამთავრებული იყო. პიონერთა ოთახში ორი პიონერი ფუსფუსებდა. გაგვაცნეს: მაია ცანავა — სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, რამაზ კაჭარავა — აქტივისტი პიონერი.

ამ სკოლის „თემურელთა შტაბს“ (ხელმძღვანელი აკაკი ჩარკვიანი)

ომის ვეტერანებთან დასაკავშირებლად შორს წასვლა არ დასჭირებია. სკოლის პედაგოგებთან — ომის მონაწილეებთან და ამჟამად პენსიონერ მოხუცებთან მათი მეგობრული ურთიერთობა გასაგებია. ყველაზე საინტერესო მათთვის მაინც პანტელეიმონ ვეტეევთან მეგობრობა აღმოჩნდა. პ. ვეტეევი დონეცკელი სამამულო ომის ვეტერანია. ადამიანი, რომელიც დღემდე არ ივიწყებს თავისი აბაშელი თანამებრძოლის ალექსანდრე წოწორიას საფლავს, ყოველწლიურად აკოთხავს მას, ყვავილებით ამკობს, მასთან მისვლისას ომისდროინდელი ძმობის, მეომრული ურთიერთგატანის ძნელ დღეებს იგონებს. ჰოდა, მასზე საინტერესო და ჭირანახი კაცი ვინ უნდა ეპოვნათ 1-ელ სკოლელებს. უკვე ორჯერ ეწვიათ პ. ვეტეევი სკოლაში, ბევრთავისი სიხარული და ტკივილიანი მოგონებაც გაუზიარა, ცხოვრებისეული რწმენაც გაანდო. ასეა, ვეტერანებსა და მოზარდებს შორის უფრო იოლად და მახლობლურად ინასკვება ხოლმე კავშირი, იმ მახლობლობის ძალით, რომელიც ხანმოთეულ კაცს ფიქრით მუდამ თავისი ბავშვობის ეზო-ბილიკზე არბენინებს.

ამ სკოლის პიონერებმა და სხვებმაც, მათ შორის პიონერთა სახლის აღსაზრდელებმაც, გულისტკივილი გაგვანდეს, ჯერაც ვერ მოვახერხეთ ჩაბმა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე გამოცხადებულ ლაშქრობაში „მატიანის ფურცლები“. სურვილი კი დიდი ჰქონიათ. აბა, სხვა რა ჰქვია იმას, რამაც პიონერთა სახლის აქტივისტს, პატარა ინგა თო-

ფურიას თავისი ხანდაზმულმა მეგობარმა მამიდის ნაქონი პიონერული ყელსახვევის ლითონის შესაბნევი მოატანინა?! ინგა ჯერ მხოლოდ მეხუთე კლასშია, მისი მამიდა კი ოცდაათიანი წლების პიონერი და თანაც ძალზე აქტიური პიონერი ყოფილა. გოგონასათვის ეს მთელი მოვლენაა, რომელიც ბავშვურ, გულუბრყვილო სიამაყეს ერწყმის ხოლმე: ჰოდა, ქეთინო და ნანი მასწავლებლებმა იციან, რომ აღსაზრდელში ასეთი შემართული, ოპტიმისტური განწყობილების დაბადებაა სწორედ ჯანსაღ, ალაღმართალ, მომავლის მოიმედე პიროვნებად მისი ჩამოყალიბების საფუძველი.

პიონერთა სახლსა (დირექტორი ქ. ჭანტურია) და 1-ელ საშუალო სკოლაში ერთი და იგივე სურვილი გამოთქვეს, — რაიონის პიონერული ორგანიზაციის ისტორიის შესწავლა გვინდა ძალიანო, თანაც საკავშირო პიონერიის 60 წლისთავსაც „უსახუქროდ“ ხომ ვერ შევხვდებითო. ერთი სიტყვით, ამ მიმართულებით მოხაზული თავიანთი გეგმა-ჩანაფიქრი გაგვაცნეს.

ეს რომ მოვისმინეთ, გაგვახსენდა აბაშის პიონერთა სახლის ერთ-ერთ ხელნაწერ ალბომში ამოკითხული, ონტოფოელი პედაგოგის, სოფლის პირველი პიონერული რაზმის ხელმძღვანელის შალვა ნადარეიშვილის მოგონება. „პიონერული ორგანიზაცია ონტოფოში, — წერს პატივცემული შალვა, — 1924 წლის დამლევსა და 1925 წლის დასაწყისში შეექმენით. მე მაშინ ონტოფოს კომკავშირული ორგანიზაციის სათემო კომიტეტის მდივნად ვიყავი არჩეული“. პატივცემული შალვას ამ მოგონებას ალბათ მალე სხვა ვეტერან პიონერულ და კომკავშირულ მუშაკთა მოგონებებიც გაუმაგრებენ მხარს. სწორედაც რომ არ უჭირს აბაშის რაიონს წარსულში დიდი საქმის მეთაური და ძალისმომცემი ხალხი — შალვა ნადარეიშვილი, ივანე იქმოდეიშვილი, გრიგოლ კიზირია, ნინა ჩოჩია, კოტე დარცემლიძე, გიორგი ქოიავა... დიხანაც, რომ ვეტერანები მრავლადან ჰყავთ. მაგრამ ჩვენ სხვა რამ გვინდოდა. გასახარია, რომ ამ დიდებულ, დამსახურებულ ადამიანთა მაგალითზე, მათთან კონტაქტში შენდება აგურ-აგურ დიდი და მზიანი შენობა — დღევანდელი პიონერიის რწმენის ხვალისდელი თავშესაფარი. ეს შენობა, უპირველეს ყოვლისა, რაიონის კომკავშირელთა ყურადღებითა და მხარდაჭერით უნდა აშენდეს.



სკოლის სინთეზატური ფართის უხვარს.

პაპო, შვილიშვიტ ნაზარდო...

იზანდო, ეზანდო

ჩეჩელი!

პლატონი ციხის ძირთან იჯდა, ბეჭებით გალავანს მიყრდნობოდა, ფეხები ხასხასა ბალახზე ლალად გაეშალა და თვლემდა. ცოტა ხანში ალაყაფის კარიდან ვილაც ჩუმად გამოვიდა და გალავნისპირა ბუჩქნარს გამოაჰყვა.

— ქუფარაშვილიანთ ბიჭო! — დაიძახა იმ ვილაცამ.

პლატონი გალავანზე შემალდა, ახლა ყველაფერს კარგად ხედავდა წინ—ცამდე ატყორცნილ თეთრ კავკასიონსაც, ნოყიერ მიწაზე გერცხლის ქამარივით დაკლაკნილ ალაზანსაც და საერთოდ მთელ ალაზნის ველს ალავერდიდან მოყოლებული შირაქამდე.

ჰაერში გვიანი გაზაფხულის გამალიზიანებული სურნელი იდგა. ხეებს რახანია ჩაეცვათ მწვანე სამოსელი და ზემოდან მათი კენწვროები ბუდეში მჭდარ ახალშებებულ შაშვის ბახალებს ჰგავდნენ. გაკლაკნილი მდინარის თავზე ცეცხლისფერი მზე ეკიდა და მთელ სამყაროს ათბობდა.

— ქუფარაანთ ბიჭო, ხმა ამოიღე!

— ლუქნიაანთო, რას ღრიალებ, რომ ღრიალებ? ყვავმა ხომ არ დაგკორტნა?

პლატონი გალავნიდან ჩამოხტა და ისევ ჩაჯდა.

ბუჩქნარიდან ლამაზი, შავგვრემანი ბიჭი გამოვიდა და პლატონისაკენ გასწია. მერე შეჩერდა, თვალებმოჭუტულმა ულამაზეს ველს გახედა და ხმამაღლა დაიწყო:

ეს დღეც დადნა და შებინდა, მზეც მთებზე გადავიდაო, დაღლილი ციხის კედლიდან გავყურებ კოხტა მიდამოს.

— ახლა გამოაცხევე?—იკითხა პლატონმა.

— ახალია, პირველი სტრიქონი გალავნიდან რომ გამოვედი, მაშინ მესტუმრა, დანარჩენები მერე. მოგწონს?

პლატონმა მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, მგონი არა უშავს.

— აქედან რომ გავყურებ ხოლმე ალაზანს, ლექსის წერის იმტაზე მოვდივარ.

— ბევრი ლექსი გაქვს დაწერილი?

— ბევრი. ორი რვეული პაპამ ამ წამთარს დამიწვა.

— პაპამ დაგიწვა?!

— ჰო, წისქვილში არ გავეგზავნე და გაბრაზდა, რვეულებს ხელი დასტაცა და ლუმელში შეუძახა.

— მე და ჩემმა ღმერთმა, გვარიანი ცეცხლი ავარდებოდა.

— არა უშავდა რა. ისეთი არა, შარშან თქვენმა ზვინმა სოფელი რომ ააბღღვრიალა, მაგრამ მაინც ღირდა საყურებლად.

— შენა, ჟორა, იცი რა გითხრა — მაგ ზვინს მოეშვი, აჯობებდა ნატოზე გეჭიროს თვალი ფხიზლად. ამბობენ, ხატიაშვილების ეზოში დიდი ქორი გამოჩნდაო და დღეს თუ ხვალ წიწილასაც გაიტაცებსო.

— ქორის წამალი ხომ იცი, რაცაა?

— არ ვიცი.

— მე კი ვიცი.

— მე ჩემი მითქვამს და... — ადგა პლატონი.

— იცი, მიტო ნაცვლიშვილი ჩამოვიდა.

— ჰოო? რას ამბობ! ჩამოიტანა რამე?

— სპორტული ინვენტარი. ორივე ფორანი პირთამდე იყო სავსე.

— ლუქნიაანთო, ხუმრობ თუ მართალს ამბობ?

— მართალს ვამბობ, დედას გეფიცები.

— აბა გაგვიხარია?

— პლატონ გელაშვილი და არტაშა პეტრუხოვიც მოვიდნენ. იცი, რა თქვეს, წელს. ზაფხულში ბოდბეს აგარაკზე სპარტაკელთა დასასვენებელი ბანაკი გაიხსნებაო. აბა, გიყვარდეს მაშინ! ფრთები შეისხი, პლატონ ქუფარაშვილო.

— მერე ბანაკში რა უნდა ვაკეთოთ?

— როგორ თუ რა? კარვებში ვიცხოვრებთ, ყველანი ერთად ვიქნებით, თან ჯანს გავიკაყებთ, თანაც ღონისძიებებს ჩავატარებთ.

— ყველა სპარტაკელი წავალთ?

— რასაკვირველია, ყველა, თუ ვინმეს ორიანი გამოყვება, ის შეიძლება დატოვონ.

— შენს პირს შეაქარი! წავიდეთ ერთი, ვნახოთ, მიტომ რა ძღვენი მოგვართვა.

ბიჭებმა გალავანს შემოუარეს და ალაყაფის კარით დაბაში შევიდნენ. მერე დამრეცილ ვიწრო ქუჩას ქვევით ჩაჰყვნენ. ქუჩის ორთავ მხარეს ერთ-ორსართულიანი ქვის სახლები მიუყვებოდა, ხის გრძელი, მოჩუქურთმებული აივნებითა და კრამიტის სახურავზე შუბებივით ამოშვერილი ბუხრის საკვამურებით. ქუჩები ცარიელი იყო. აქა-იქ შაოსანი ქალი თუ გაივლიდა ხოლმე. თითქმის მთელი დაბა ალაზნის ველის ვენახებში იყო გაკრფილი.

სპორტულ დარბაზს რომ მიადგნენ, პლატონ ქუფარაშვილმა კართან ივანე ლოლაშვილი და გრიგოლ იარალოვი შენიშნა. გრიგოლს სპილენძის თუნგი მოეყუდებინა და ცივ წყალს სვამდა.

— ჰა, მოიტანეს არა? — დაიძახა პლატონმა და კართან მდგარ ბიჭებს გახედა.

გრიგოლმა თუნგი დინჯად გადააწოდა ივანეს, მერე სველ ტუჩებზე ხელი მოისვა.

— რაო, არ გეკადრებოდათ, ცოტა ადრე გამოგეფერთხათ ყურები და საქმეში წავდგამოდით! დავიხოცეთ, ძლივს შევათრეთ დარბაზში ინვენტარი. ცოტა კი არ იყო...

— მარტო თქვენა ხართ? — იკითხა ეორა ლუქნიევმა.

— მარტო რატომ ვიქნებით! — მიუგო გრიგოლმა. — გოგი ბახუტა-



შვილიც აქ არის, კოლია იარალოვიც, ვალიკო ბეჟაშვილიც, თქვენს გარდა ყველანი აქ არიან. ჩვენ წყლის დასაღვავად გამოვედით, სული მოვითქვით. მიდით, სათქვენო საქმე კიდევ მოიძებნება.

პლატონი და ყორა დარბაზში შევიდნენ. ეს ერთი გრძელი და უშნო შენობა იყო. ჭერი აქა-იქ დაბზაროდა. კედელში ზოგან წყალსაც გამოეჟონა და ბლომად ბათქაში ჩამოეწმინდა.

დარბაზის შუაგულში დაყრილ სპორტულ ინვენტართან კომკავშირის რაიკომის ხელმძღვანელები პლატონ გელაშვილი და არტაშ პეტრუხოვი იდგნენ. იქვე ახლოს სპარტაკელთა სპორტული ხელმძღვანელი მიტო ნაცვლიშვილი ჩაუტყულებდა და ხის დიდ ყუთს ხსნიდა. მასთან კოლია იარალოვი და გოგი ბახუტაშვილი მივიდნენ, რაღაც უთხრეს. მიტო წამოდგა, მარჯვენა ხელისგულით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ბიჭებს გახედა.

— ორძელი იქით, კუთხეში დადგით, ასე არ აჯობებს, პლატონ? — მიტომ ახლა პლატონ გელაშვილს შეხედა.

— მგონი აჯობებს, — უპასუხა პლატონმა. სწორედ ამ დროს მან ქუფარაშვილი და ლუქიევი შენიშნა, კობები შეიკრა. — სად დადიხართ? ლელე-ლელე გეძებთ? ამდენი ინვენტარი მოვიტანეთ, დალაგება ხომ უნდა? თქვენ კი...

— ჩვენც აქა ვართ. გავიგეთ და მოვედით. გვცოდნოდა, უფრო ადრე მოვიდოდით. — თქვა ქუფარაშვილმა.

გელაშვილმა თავი გადააქნა.

— მიტო, აბა, ეს ბიჭები ორმაგად დასაქმე, სიქა გააძვრე, იცოდე! — უთხრა მიტო ნაცვლიშვილს.

— აგრე იყოს, ჩვენ რა, შრომის გეშინია თუ რა? — დამარცვლა ლუქიევიც და მკლავები დაიკაპიწა.

მთელი სამი საათი ფუსფუსებდნენ სპარტაკელები დარბაზში, — თბილისიდან მიღებულ სპორტულ ინვენტარს ალაგებდნენ. მერე, როცა საქმეს მორჩნენ, პლატონ გელაშვილმა ყველანი ერთად შეკრიბა.

— აბა, სმენა იყოს და ვაგონება! — დაიძახა გელაშვილმა და პეტრუხოვს ვადახედა, — არტაშ, ერთი ის წერილი მომაწოდე!

პეტრუხოვმა გულის ჯიბეში მოაფათურა ხელი და ოთხად გაკეცილი ბარათი გელაშვილს გაუწოდა.

პლატონმა ჩამოართვა და თვალი სპარტაკელებს შეავლო.

— ამხანაგებო, თბილისელმა სპარტაკელებმა ამ ინვენტართან ერთად წერილიც მოგვართვეს. ახლა ამ ბა-

რათის შინაარსს გაგაცნობთ. — პლატონმა ბარათი ნელა გახსნა და კიდევ ერთხელ გახედა გასუსულ ბიჭებს, მერე კითხვას შეუდგა:

„ძვირფასო მეგობრებო, სიღნაღელ სპარტაკელებო! ჩვენ, თბილისელმა სპარტაკელებმა გადავწყვიტეთ დახმარების ხელი გამოგიწოდოთ ჩვენს ძმებსა და დებს — სპარტაკელებს, რომლებიც საქართველოს მშვენიერ კუთხეში — კახეთში ცხოვრობთ. ჩვენს სხვადასხვა სპორტულ ბაზებში შევაგროვეთ სავარჯიშო ინვენტარი და მიტო ნაცვლიშვილისა და მიშა ნათაძის ხელით გიგზავნით. დარწმუნებული ვართ ამ ინვენტარს კარგად მოიხმართ.“

სპარტაკელებო, ჩვენ გავიგეთ თქვენი კარგი საქმეები, თუ როგორ შრომობთ ზვრებში, ეხმარებით უფროსებს ბამბის უხვი მოსავლის მოყვანაში, სწავლობთ ბეჯითად და ასრულებთ ყველა იმ მოთხოვნას, რაც სპარტაკელს ევალება. გვახარებს თქვენი წარმატებანი. სულ ასე მალა გეჭირთ მსოფლიო პროლეტარიატის წითელი დროშა. აქედან ხშირად მოგაწვდით ჩვენს ხმას. გისურვებთ ახალ და ახალ წარმატებებს.“

გელაშვილმა ის თეთრი ქაღალდი დიხვად დაკეცა და ასევე დიხვად კვლავ პეტრუხოვს დაუბრუნა.

— რას იტყვიან? მგონი ცუდი წერილი არაა? მე მგონი, საჭიროა წერილზე პასუხის გაცემა.

წინ დავით მჭედლიშვილი წამოდგა.

— რასაკვირველია, უნდა ვუპასუხოთ.

— ჰოდა, მაშინ, ჩემო დავით, წერა და კითხვა შენ გეხერხება, დაჯექი იმ მაგიდასთან და წერილიც დავეწიროთ.

მჭედლიშვილი ტაიჭის ახლოს მდგარ მოყანყალებულ პატარა მაგიდასთან მივიდა.

კოლია იარალოვიც სკამი მიაწოდა, ვანო ლოლაშვილმა — თეთრი ქაღალდი.

დავითი დაჯდა და ქაღალდი მაგიდაზე გაშალა. გელაშვილიც მასთან გაჩნდა.

— როგორ დავიწყით? — თქვა გელაშვილმა და დაფიქრა.

„ძვირფასო მეგობრებო, თბილისელი სპარტაკელებო! მივიღეთ თქვენს მიერ გამოგზავნილი სპორტული ინვენტარი. ეს ჩვენთვის დიდი საჩუქარია. სპორტული დარბაზი კი გვქონდა, მაგრამ ბევრი რამ გვაკლდა. აწი ჩვენ უფრო დიდ ყურადღებას გავამახვილებთ სპორტულ აღზრდაზე, რადგანაც ამის საშუალება მოგვეცა; ვისწავლით უფრო მეტი მონ-

დომებით და უფროსებთან ერთად მხარაც მთელი მონდომებით ვიმოძიებთ. შემოდგომაზე გეპატიებით ჩვენთან, რთველში. აუცილებლად ჩამოდით. გელით“.

დავით მჭედლიშვილმა წერტილი დასვა, გელაშვილს ახედა და წერილი მიაწოდა.

პლატონმა ხმამალა ჩაიკითხა და თქვა, დღესვე გავგზავნოთ. სწორედ ამ დროს კარი მოიშვლია. დარბაზში ბრგე მოხუცმა შემოაბიჯა. ბიჭებმა მაშინვე იცნეს ნუკრიანის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე სიმონ ქუფარაშვილი. სიმონმა ორი ნაბიჯი გადმოდგა და შეჩერდა.

— აი თურმე სადღამალულან ეს ეშმაკის ფენის მჭამელები. თქვენი გამარჯობა!

— გამარჯობა, ძია სიმონ! — ერთხნად უპასუხეს ბიჭებმა.

— ძია სიმონ, ტყუილად არ გაირჩებოდით, ალბათ საქმე გაქვთ? — უთხრა პლატონ გელაშვილმა.

— საქმე მაქვს, მაშ როგორ. ჩვენი ჯეჯილები ხომ ნახეთ?

— როგორ არა ვნახეთ, მშვენივრად ბიბინებს, — თქვა გრიგოლმა.

— ჯეჯილს უჭირს, ძალიან უჭირს.

— რა მოხდა, ძია სიმონ?

— ის ვერანა კალია გამოჩნდა. ტაფობიდან ჭიანჭველასავით ამოდის და ჯეჯილებისაკენ მიიწევს. რაღაც უნდა ვიღონოთ, ყველანი უნდა გავიდეთ და მოვსპოთ ის ვერანა, ისა, თორემ, კაცო, მშიერი დავრჩებით.

— მოვედვართ, ძია სიმონ, ახლავე წამოვალთ, — დაიძახა გელაშვილმა.

— წავიდეთ, ბიჭებო!

შამქორის მხრიდან რომ ავის მომასწავებელი შავი ესკადრა მოფრინდა, სიმონ ქუფარაშვილმა პირველად პარასკე საღამოს აღმოაჩინა. ის იყო, ჯეჯილის ყანებს შემოუარა და შინისაკენ გაეშურა, რომ მაყვლის ბუჩქთან ერთიმეორეზე დახორავებული რუხი კალიები შენიშნა. შეცბა თავმჯდომარე, გამოცდილი კაცი იყო და მშვენივრად მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს ცოცხალი ბურთი. ცოტა რომ გაიხრა და მიდამოც გულდაგულ მოსინჯა, სულ ახლოს კალიების ახალ გუნდს წააწყდა. თავი ასწია და ცას გახედა. მზე ნელ-ნელა ეშვებოდა. გაღმა მზის მკრთალ სხივებში თავმჯდომარემ მოძრავი შავი ღრუბლებიც დაინახა და აღარ შეჩერებულა, სოფლისკენ გაეჩქარა. გზადაგზა ვინც კი აედევნა, თანვე აიყოლია. მთელმა სოფელმა შეიტყო, რა ჭირიც ახლო-

ვდებოდა. ყველა, დიდი თუ პატარა, აიყარა. ზოგს ხელში გრძელი ცოცხი ეჭირა, ზოგს ძველი შარვალი ან ხალათი, საბანი და კიდევ ათასი რამ. კალიების გუნდებს ჯეჯილებთან დახვდნენ და მთელი ოთხი საათი დაუზოგავად იქნეოდნენ ხელებს. მეწინავე გუნდები რომ დააწვინეს და პირველი ბრძოლაც მოიგეს, მეტი იმედი მოეცათ. მეორე დღეს სიმონმა გადაწყვიტა, დახმარებისათვის სპარტაკელებისთვისაც მოეხმო.

ბიჭები ნუკრიანელთა ჯეჯილის ყანებთან რომ გამოჩნდნენ, იქ უკვე მთელი სოფელი შეყრილიყო.

— ივანე, როგორაა საქმე, აღარ ჩანან? — ჰკითხა სიმონმა მაყვლის ბუჩქებთან მდგარ ერთ მოხუც გლეხს, რომელიც შამქორის მხარეს იყურებოდა.

— არა, სიმონ, აღარა, მაგრამ გული მეუბნება, სულ მალე აქ იქნებიან... კარგად ვიცი მაგათი ზნე.

სიმონი ახლა ივანეს გვერდით იდგა, ისიც ცას გაჰყურებდა.

— საოცარი კია, ამ გაზაფხულზე საიდან გამოტყვერნენ?

— ჰო, ეს კი მიკვირს, გაზაფხულზე იშვიათად იციან შემოსევა.

ამ დროს ვილაკამ დაიყვირა, შავი ღრუბელი გამოჩნდა. შორს, ციდან მიწისკენ ნელ-ნელა ეშვებოდნენ რუხი კალიის უზარმაზარი გუნდები. ხან დაიშლებოდნენ, ხანაც კიდევ შეიკვრებოდნენ. ასე ნავარდ-ნავარდით უახლოვდებოდნენ მიწას.

ნუკრიანელები გარინდული იდგნენ და თვალს არ ამორებდნენ იმ შავ ღრუბლებს. მერე, როცა სულ რაღაც ნახევარი კილომეტრის დაშორებით კალიები ბუჩქებში გაიშალნენ, ნუკრიანელებმა იხუჯლეს. საბნების, ძველი ტანსაცმლისა და ცოცხების ქნევით ბუჩქებისაკენ გაქანდნენ.

მიტო ნაცვლიშვილმა პიჯაკი ისე გაიძრო, არ შეჩერებულა. სხვა სპარტაკელებმაც მას მიჰბადეს. ვისაც პიჯაკი არ ეცვა, ხის ტოტებისაგან გრძელი ცოცხები შეკრეს. კოლია იარალოვს ხელში სწორედ ასეთი ცოცხი ეყავა. მის გვერდით დავით მჭედლიშვილი მობრბოდა. იქით კიდევ ივანე ლოლაშვილი...

კალიებს ახალი და ახალი გუნდები ემატებოდა. არც ადამიანები აპირებდნენ უკან დახევას, მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან, მიწისაკენ ეშვებოდნენ ცოცხები და საბნები. იქუთუბოდნენ კალიები. ბინდი, რომ წამოვიდა გაღმიდან, ადამიანებმა სული მოითქვეს, დღეს ჯეჯილები უკვე გადაჩენილი იყო. მაგრამ ეს მხოლოდ დღეს, ბრძოლა კი ხვალაც უნდა გაგრძელებულიყო. მართლაც

ასე მოხდა. როგორც კი სკოლის ეზოში დიდი სასკოლო ზარი დააგუგუნეს, ყველა სპარტაკელი ხაზზე მოეწყო. მოსწავლეებს წინ მიტო ნაცვლიშვილი დაუდგა.

— სპარტაკელებო, გუშინ ჩვენ კარგად ვიშრომეთ ნუკრიანელთა ჯეჯილების გადასარჩენად. ახლა ეს სატიალე კალია ალაზნის ველზეც გამოჩნდა და აყვავებულ გენახებს შეესია. ჩვენი ამოცანაა, არ მივცეთ საშუალება კალიას მოსპოს ზერები. დღეს ყველანი ალაზნის ველისაკენ მივდივართ. აბა, წავედით! — დაამ-

თავრა ნაცვლიშვილმა და სპარტაკელებმა ლაშქარიც დაიძრა.

წნორთან რომ დაივაკეს, ეორა ლუქნიევი გოგონების ჯგუფს წამოეწია. სულ ბოლოს ნატო ხატიაშვილი მიდიოდა. მიდიოდა და ფეხსაც ითრევდა.

— გოგო, ნატო, შენა?

ხატიაანთ ნატო შეჩერდა და შემობრუნდა.

— უჰ, შენა ხარ?

— ჰო, მე. გუშინ რატომ არ იყავი? ერთი წიოკობა გვქონდა.

განა სხვა რომელიმე გოგო იქ





იყო! ვერ დაგვიძახეთ? ჩვენც წამოვდოდით.

— ეე მაგის დრო სადღა იყო, ძია სიმონი აქომინებული მოვარდა. ჩვენც მაშინვე ავიყარენით და ჭეჭილებთან შევხვდით კალიებს. ეს რა ვნახე! იმოდენები იყვნენ, შეხედავდი და შეგეშინდებოდა. თვალისდახამხამებაში მაყვლის ბუჩქები ისე გაპარსეს, გეგონებოდა ნიკალა დალაქმა პლატონის ჭირკა თავი გაკრიჭაო.

— არ ვაგიგოს პლატონმა, თორემ...
— რას მიზამს, ყმები არ ამიყაროს ალაზნის ჭალებიდან. ისეთ რაღაცებს ბოდილობს...

— რაო, რას ამბობს, არ იტყვი?
— განა თქმად ღირს.

— თქვი, რაღა!
— რაო და, ხატიაშვილების ეზოს თავზე დიდი ქორი გამოჩნდაო. მაგარი ქორია და ისე არ იქნება, წიწილა არ მოიტაცოსო.

ნატო შედგა. მერე მოიხარა, ხელები მუხლისთავებზე დაიდო და ჩაბუჩრდა. უორაც დადგა, სულ მალე სხვა ბიჭებიც წამოეწივნენ, დავითმა ღიმილით გადახედა, პლატონმა კი ერთი დაუსტევინა და ლუქნიევს თვალი გაუსწორა.

— ასე უნდა, ბიჭი დროს არ კარგავს, განა!

ნატო ნელ-ნელა გასწორდა.

— მაშ, ასე თქვა? წავიდეთ, ჩამოვრჩენილვართ კიდევაც.

ალაზნის ველი სულ მწვანედ იყო მოხატული. აქეთ რომ ნახი ჭეჭილი ბიბინებდა, იქით, წყლის გაყოლებახე, ხის სწორ ჭიგოებს ვახის ლერწები მსუბუქად შემოხვეოდა. ისე შორს მიდიოდა ვახის ზვრები, თვალს ვერ მიუწვდენდი. ზვრების წინ თითქმის მთელი კახეთი გამოსულიყო და კალიებს ეომებოდა. დიდებს შორის შიგა კახეთის სპარტაკელებიც იყვნენ. ისინიც ყოჩაღად იქნეოდნენ მწვანე ტოტებისაგან შეკრულ ცოცხებს.

დაღლილ-დაქანცულებმა ანაგასთან რომ ამოვივაკეს და წყაროსთან შეჩერდნენ, უორა ლუქნიევმა სიღნაღის ციხეს ახედა, ორივე ხელი წინ გაიშვირა და თავი ცისკენ აღმართა.

მოვდევთ ალაზნის დაქანცულები, ძლივს ანაგასთან ამოვივაკეთ.

ახლა ლექსის თქმის თავიც არა მაქვს

და მოწყენილი გავყურებ მთვარეს!

დავით მჭედლიშვილმა ბეჭზე ხელი დაჰკრა.

— ყოჩაღ, ლუქნიანთ ბიჭო, კარგ

ლექსებს წერ, იქნებ გვასახელო კიდევც.

ნელა მიჰყვებოდნენ ქამარივით დაკეცილ გზას, რომელიც სულ ზევით და ზევით, დაბისაკენ ადიოდა. ზოგჯერ შინისკენ მიმავალ დაგვიანებულ საქონელს წამოეწოდნენ. მერე ის იყო, დიდი, უშველებელი ციხეგალავანიც გამოჩნდა, ზოგან ჩამონგრეული, მოწყენილი ქონგურებით. ეს გალავანი სიღნაღს ეკვროდა გარს და ოდესღაც მრისხანე მტრისაგან იცავდა. დაბაში შესვლა მხოლოდ ალაყაფის კარით შეიძლებოდა. ალაყაფის კარში კი, როგორც ძაფი მახათის ყუნწში, ისე მიძვრებოდა საურმე გზა.

რკინის მიღრეცილ ჭიშკართან პლატონ გელაშვილი იდგა. მთვარე თავზე ადგა მთელ დაბას და პლატონი ნათლად ჩანდა.

— სპარტაკელებო, კარგად დაიძინეთ. ხვალაც დიდი ომი გველის. გაკვეთილების შემდეგ ყველანი ალაზნისპირა ზვრებში მივდივართ. გასაგებია?

— გასაგებია, გასაგებია, — გაისმა აქეთ-იქიდან.

თუმცა პლატონმა ყველას ძილი ნებისა უსურვა, უორა ლუქნიევს მაინც არ ეძინებოდა. ჭიშკარი რომ შეაღო, პარმალზე მდგარ დედას მოჰკრა თვალი.

— დაიღალე განა, ბიჭო? დედა მოგიკვდეს. მოდი აქ, ცხელი რძე დალიე.

უორა ოთახში შევიდა და მაგიდასთან დაჯდა. ხელები მაგიდაზე დააწყო და ჩაფიქრდა.

ოთახში დედა შემოვიდა და გარინდებულ ბიჭს გახედა.

— რა მოგივიდა, ბიჭო? ხომ არავინ გაწყენინა? დანა პირს არ გიხსნის.

— დავიღალე, ხომ ხედავ, არაქათ-გამოცლილი ვარ, — ჩაილაპარაკა უორამ.

— ჭამე, შეილო, ჭამე, ღონე მოგეცემა, კარგადაც დაგეძინება.

უორამ ლავაშს წაატეხა, თიხის ჯამში რძეც ჩაისხა.

ვახშამს მორჩა თუ არა, მეორე, პატარა ოთახში გავიდა.

ერთხანს გარინდებული იდგა ფანჯარასთან. ვარსკვლავებით მოჩახჩახებულ ცას გაჰყურებდა. უეცრად ტუჩებზე ლექსის ახალი სტრიქონები გაუცურდა...

თუმცა ღამე გაუტყდა, მაგრამ სკოლაში მაინც არ დაგვიანებია. მიტო ნაცვლიშვილი შუა ეზოში რაღაცას ელაპარაკებოდა ივანე ლოლაშვილსა და დავით მჭედლიშვილს. უორას ხმადაბალი სალამი არც კი გაუგონიათ...

— ჰო, ლახტიც უნდა გითხროს მოთ, — ამბობდა მიტო.

უორამ ყური ცქვიტა.

— რას ამბობ, მართლა?

მჭედლიანთ დავითმა გვერდულად გამოხედა და ჩაიცინა.

— მოიფხანს გულს რაღა უორა ლუქნიევი.

მიტომაც გაიცინა, მერე თქვა: — ლახტი ძალიან კარგი თამაშია, აწრობს ადამიანს, სწრაფ რეაქციას და ამტანიანობას უმუშავებს. რამდენიმე ჯგუფად უნდა დავიყოთ და ერთმანეთს შევეჯიბროთ.

— როდის უნდა ვითამაშოთ? — მოთმინება აღარ ყოფნიდა უორას.

— ჯერ მთავარი საქმე მოვითავოთ — კალიებს ვურტყათ ლახტი, მერე კი ჩვენს საქმეს მივხედოთ, სალახტოდ წავიდეთ. ალბათ ყველაზე უპრიანი იქნება, კვირას გავიდეთ წყაროსთან და იქ ვითამაშოთ.

— დღეს ხომ მივდივართ ალაზნის ველზე? — იკითხა უორამ.

— მივდივართ, მაშ, მთელი სოფელი იქ იქნება და ჩვენ აქ რა უნდა ვაკეთოთ!

მზემ ის იყო სხივები ლეკეთის მთებიდან ალაზნის ველზე მიმოფანტა, რომ ლუქნიევების ეზოში პლატონს ქუთვარაშვილმა შემოაბიჯა. პლატონს შინ ნაქსოვი ყავისფერი შალის ფართხუნა შარვალი ეცვა. გრძელი, გადმოშვებული ხალათი თითქმის მუხლისთავებამდე უწევდა. ზედ ტყავის ფერილი ქამარი ჰქონდა შემოჭერილი. ძალიან სერიოზული სახე ჰქონდა. ისე შემოიხედა ეზოში, თითქოსდა ვისმეს სოფლის საბჭოს სპეციალური დავალებით გამოეგზავნოს.

— გამარჯობა, დედა ნინო! — ღაიძახა და ბავშვთან მოფუსფუსე შევთავსაფრიან ქალს გახედა.

— გაგიმარჯოს, პლატონ! — მიუგო ქალმა, მერე საზღისკენ გასძახა: — ბიჭო, უორა! სტუმარი მოგივიდა.

უორამ შევქოჩორდაყრილი თავი ფანჯარაში გამოჰყო.

— მოვდივარ. — თქვა და მკვირცხლად გამოვიდა ეზოში.

— ბიჭო, სად მიდიხართ ამ უთენია? — გამოსძახა ბაკიდან დედამ.

— წყაროსთან, ლახტი უნდა ვითამაშოთ.

— წადი, ოღონდ შინ დროზე მოდი.

— ჰო, დედი.

ვიწრო ქუჩა დამრეც ფერდობზე ეშვებოდა. ისინიც ამ ქუჩას ჩაჰყვნენ. რომ გაივაკეს, პატარა მინდორი გამოჩნდა. მის ბოლოში, კლდის პირიდან, წყარო მორაკრაკებდა. იქ

ბლომად გოგონები და ბიჭები შეკრებილიყვნენ და მდებარე ნაცრით განიერი წრეც შემოეხაზათ.

— აგერ, პლატონი და ჟორაჯ მოვიდნენ, — დაიძახა ვალიკო ბეჟაშვილმა.

— გამარჯობათ! — თქვა პლატონმა. — ხომ არ დავიგვიანეთ? თითქმის ყველანი აქა ხართ. გოგონებს აქ რა ესაქმებათ. ჩვენ აქ ლახტის სათამაშოდ მოვსულვართ თუ მატყლის საჩეჩად?

ტომ სპარტაკელები რამდენიმე ნაკადად დაჰყო, თითოეული ნაკადი კი — ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად. ჯგუფებმა კენჭი ყარეს და მაშინვე ქამრებიც შეიხსნეს.

პლატონ ქუფარაშვილი, დავით მჭედლიშვილი, ჟორა ლუქნიევი და კოლია იარალოვი ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ისინი ლახტის წრეში უნდა ჩამდგარიყვნენ. წრის გარეთ ქამრების წასართმევად ვალიკო ბეჟაშვილს, ლადო მირიანაშვილს, ივანე

დავით მჭედლიშვილის წინ მატყლის საჩეჩად გადადიოდა. დავითი კი იდგებოდა თვალს არ აცილებდა ლადოს. ამასობაში ვალიკო ბეჟაშვილს პლატონმა ჭვინტი ზედ კანჭზე ამოსდო და თამაშიდან გამოთიშა. პლატონს მირიანაშვილი მიუხტა და, სანამ ის წრეში მეორე ფეხსაც შეაბიჯებდა, ქამარი აართვა. ახლა მჭედლიშვილმა იმარჯვა, თამაშიდან გოგი ბახტაშვილი გამოთიშა. ამ დროს წრის შიგნით მყოფმა ჯგუფმა მეორე ქამარიც დაკარგა. თამაში თანდათან ეშხში შედიოდა. იყო წართმეული ქამრების ტყლამუხნი და შეძახილები. ბოლოს წრეში ის ჯგუფი ჩადგა, იმდენხანს, როგორც მგელი ფარებს, წრეს რომ გარს უვლიდა. ყველაფერი თავიდან დაიწყო. პირველი ქამარი თავის გუნდს კოლია იარალოვი მოუტანა, მეორე თითო ქამარი ლუქნიევმა და მჭედლიშვილმა აართვეს მოწინააღმდეგეს.

მზე რომ წყაროს თავს ზედ დაადგა, თამაში შეწყვიტეს.

— აბა, ახლა ჩამოგეჩით, — დაიძახა პლატონ გელაშვილმა.

მიტო ნაცვლიშვილმა სპარტაკელებს თვალი მოავლო. მათ გახვითქულ სახეებს რომ შეხედა, გაელიმა.

— დაილაღეთ, განა?

— ხმას არავინ იღებდა.

— ჰოდა, ახლა ლიტერატურაზე ვისაუბროთ, — თქვა გელაშვილმა, — ამჟამად — ჟიულ ვერნზე. ხომ გახსოვთ, კვირას რომ დაგპირდით.

— გვახსოვს, გვახსოვს, — წამოიძახა ვილაცამ.

გოგონები წყაროს ირგვლივ ნახევარწრედ დალაგებულ პრილალოდებზე დასხდნენ. გაირინდნენ. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, კაცი ფოთლის გაშრილებასაც კი გაიგონებდა.

— საუბარი მეორე, — თქვა გელაშვილმა. — ჟიულ ვერნს ძალიან უყვარდა ზღვა. მან ფანტასტიკური წიგნები შექმნა ზღვაზე, მეზღვაურებზე, გამოძგონებლებზე. სამწუხაროდ, ეს წიგნები ჯერჯერობით ქართულად არ არის თარგმნილი, მაგრამ, როგორც გავიგე, მალე შეუდგებიან თარგმნას. დღეს მე მოვიყვებით ერთ საოცარ ადამიანზე — კაპიტან ნემოზე, რომელმაც დიდებული წყალქვეშა ნავი — „ნაუტილიუსი“ აავო და გასაყვირი გამირობები ჩაიდინა. აბა, სმენა იყოს და გაგონება!

პლატონმა დაიწყო. ხმაშაღლა არ ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ხმა ყველას ეამოდა. ყველანი თვალეზმით მისჩერებოდნენ ხელმძღვანელს. მეორე, როდის-როდის, კბრობას რომ მიიჩნა პლატონი, სპარტაკელებმა შე-



ნატომ ცერად გახედა ქუფარაშვილს.

— ჩვენა იმისათვის მოვედით, რომა, მაგ გაწლიკვულ ბეჭებზე ქამრით სამპირა ტყავს რომ აგადრობენ, კარგად დავინახოთ.

— აჰა, სეირის საყურებლად მობრძანებულხართ.

— სწორედ რომ აგრეა.

— კეთილი, მაგრამ ისიც კარგად დაინახეთ, ტყავი სხვას რომ აძვრება, ქუფარაშვილი კი გვერდზე დარჩება.

უცებ ვილაცამ შესძახა: უფროსები მოდიანო. მართლაც, გზაზე პლატონ გელაშვილი, არტაშ პეტრუხოვი, მიტო ნაცვლიშვილი და გრიგოლ იარალოვი გამოჩნდნენ.

გოგონები კვირით შეეგებნენ. როცა აურხაური განელდა, მიტომ ხმაშაღლა დაიძახა: ვისაც თამაში მოწინააღმდეგეა განდათ, აქეთ ვადმოდიეთ.

მაშინვე დაიძრნენ მოლაბტეები და ნაცვლიშვილის ახლოს დადგნენ მსურველი ბევრი იყო. ამიტომ მი-

ლოლაშვილს და გოგი ბახტაშვილს უნდა ერბინათ.

ოთხი ბიჭი უხმოდ ჩადგა წრეში და ფეხებს შორის თითო ქამარი გაიფინეს. წრის გარეთ მყოფი ოთხი ბიჭიც მაშინვე შეუდგა საქმეს. ივანე ლოლაშვილი მიწაზე გაწვა და წინ გახბნდა. მის წინ ჟორა ლუქნიევი იდგა, ფეხები გაეჩაჩნა და ივანეს გულდაგულ ზვირავდა. ივანეც ფრთხილად უახლოვდებოდა. ის იყო, ქამარი უნდა დაეთრია, რომ ჟორამ ისკუბა, კინაღამ ივანეს ფეხის ქვიშატი მუხლს ქვემოთ მოარტყა, მაგრამ ლოლაშვილმა იმარჯვა, გვერდზე გადაკოტირდა და ლუქნიევის მოქმედულ ფეხი აიცილია.

ამ დროს ლადო მირიანაშვილი

კითხვები შეკითხვებზე დააყარეს. მანაც უპასუხა და შემდეგ ჟორა ლუქნივს გახედა.

— აბა, ახლა შენი ჯერია, ჟორა, ერთი ლამაზი ლექსი შემოგვაწიე და დღევანდელი ჩვენი შეხვედრაც დავამთავროთ.

ლუქნიევი მორცხვად წამოდგა. თვალი მოავლო გატვრენილ გოგობიჭებს და თითქმის ჩურჩულით თქვა:

— წუხელ ერთი ლექსი დავწერე, იმას წავგიკითხავთ.

— ხმამალა, ბიჭო! — დაუყვირა ვალიკო ბეჟაშვილმა და ლუქნიევმაც ხმა აიმაღლა:

ჩანჩქერივით ჩამოდვრილა სხივები, ოქროსფერი წყლის შხეფებში ვბანაობ. ხვალინდელი დღის ნათელი იმედით გეგებები, შენ, ლამაზო სამყარო.

დიდი ხანი იყო, კახეთს ასეთი გვაღვა არ ენახა. შუა მაისში უკანასკნელად წამოწვიმა და მის მერე ალაზნის ველზე ღრუბლის ნაგლეჯსაც კი არ გადაუვლია. მიწა ერთთავად დასკდა. კიტრი და პამიდორი, საზამთრო და ნესვი სულ დაიხრუკა და მარტო გაყვითლებული ლერწი დარჩა. არც ხენილს დადგომია კარგი დღე, კიდევ უარესი ვაზს დაემართა.

იმ საღამოს ანაგიდან გიორგი ვარამაშვილი ამოვიდა სიღნაღში. წყაროსთან მთელი დაბა შეიყარა. ჯერ გიორგიმ ილაპარაკა, ზვრები თუ არ მოვრწყუთ, რთველი აღარ გვექნებაო. აბა წარმოიდგინეთ, კახეთი ურთავლოდო.

გიორგი კაფანდარა კაცი იყო, ხმა კი ძლიერი ჰქონდა. ყველა გასუსული უსმენდა.

ყურძენი ყურძენია და ვაზიც გახმებაო, ჭივოსავით გაშავდება და, როგორც კაცი კვდება ამ ქვეყანაზე, ისე მოკვდებაო. აღარ გვექნება ზვრებიო, აღარ წამოვლენ ალაზნის ველიდან ოქროსფერი მტევნებით სავსე გოდრებო. მარანში აღარ ამოწინდება მაჭარი, ქვევრებში ღვინო აღარ გვექნებაო...

— მერე? — სულ ბოლოდან დაიძახა ვილაკამ.

— რა მერე! — დაიღრინა ვარამაშვილმა. — ხელი უნდა გავანძროთ. ქუღზე კაცი! გამოორეკეთ სახედრები, ჭურჭელი აჭიდეთ და წყალი ალაზნის არხიდან ვზიდოთ.

ეს პირველი თავყრილობა რომ დაიშალა, მიტომ და არტაშმა სპარტაკელები შეკრიბეს, პატარა ჯგუფებად დაჰყვეს, თითოეულ ჯგუფს კარგად გახუმარტეს, რაც უნდა იკეთე-

ბინათ. ანდა გასამარტავი რაღა იყო, ყველამ კარგად იცოდა, რა უნდა ელონა.

მჭედლიანთ დათომ სისხამზე ივანე ლოლაშვილს გამოუთარა. ის იყო, ბიჭები გალაზნიდან გამავალ გზას უნდა დადგომოდნენ, რომ მათ წინ კოლია და გრიგოლ იარაღოვები და გოგი ბახუტაშვილი გამოცხადდნენ.

— ეპეი, — დაუძახა მჭედლიანთ დათომ, — სახედრები რა უყავით?

გოგი ბახუტაშვილმა კეფა მოიფხანა.

— ჩვენ ორი სახედარი გვეყავდა, ორივე მამამ გაირეკა.

— იი ჩოკინა? — არ ისვენებდა დათო.

ბახუტაშვილმა ჩაახველა და კეფაც მეორედ მოიფხანა.

— აბა, ჯანაბას თქვენი თავი, წავალ და გამოვდენი.

ბახუტაშვილმა ჩოკინა გამოდენა, ჟორა ლუქნიევმაც მოიყვანა თავისი სახედარი, პლატონმა ერთის მაგივრად ორი გამორეკა და თან საიდანაც ურიკაც გააჩინა. მალე გოგოებიც შემოუერთდნენ და ალაზნისაკენ დაიძრნენ. ყველას მოჰქონდა წყლის საზიდი თუნუქის ჭურჭელი.

ანაგასთან რომ ჩაივიაკეს, გადახრუკულ მინდორზე დაგდებულ ორი კამეჩი დაინახეს. ეყარნენ იმ თაკარა სიციხეში და პირიდან დორბლი სდიოდათ.

— ბიჭებო, ესენიც გავიჩუკოთ... ვედროები დავკიდოთ და გიყვარდეს... — დაიძახა პლატონმა.

— მერე, პატრონი რას იტყვის? — თქვა ივანემ.

— რა უნდა თქვას! მადლობის მეტი რა უთქმის — კამეჩებს თან გავაგრილებთ, თან წყალსაც დავალევივინებთ.

— კარგი აზრია, — დაეთანხმა დავითიც და ის ორი კამეჩიც ალაზნისაკენ გაირეკეს.

არხთან ტევა აღარ იყო. ივსებოდა ჭურჭლები ალაზნის წყლით და მერე ზვრებისაკენ მიჰქონდათ.

მთელი დღე სიქის გათხრისთვის ვაზს დასტრიალებდა შიგა კახეთი დიდების გვერდით სპარტაკელები თავდაუზოგავად შრომობდნენ. გვალვასთან ომი მოგებულ იყო.

რთველია, რთველი... ბუნებას ოქროსფერი კაბა ჩაუცვამს და ნარნარად აშრილებს ნაზაფხულარ ფოთლებს. ზვრებში მერთვლენი ჩამდგარან. იკრიფება მზით სავსე ქარვისფერი მტევნები. დაძეძგილი გოდრები ძლივს გამოაქვთ ვენახიდან.

დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, გასულა ზვრებში, რომ ბუნების დიდი ძღვენი უდნაქარგოდ მიიღოს და დააბინაოს.

სპარტაკელებმაც ბევრი იშრომეს, სანამ უკანასკნელი კუმპალიც კი საწნახელში არ ჩაბრძანდა და მერე სული მოითქვეს. მკირე ხნით მოითქვეს სული, რადგან ახალი სასახელო საქმეებისთვის ემზადებოდნენ სიღნაღელი ბიჭები.

მინაწერი:

ჯარისკაცები მიაბიჯებენ დაწვრთულ ქალაქში

სახურავაგლეჯილი ერთსართულიანი სახლის ფანჯარასთან ქალიშვილი იდგა. ფანჯრის ყველა მინა ჩაღწევილი იყო. იდგა შავგვრემანი, მოხდენილი ქალიშვილი... და გზაზე მიმავალ ჯარისკაცებს ხელს უქნევდა. ერთი ჯარისკაცი ზედ რაფასთან შედგა და ქალიშვილს გაუღიმა. სწორედ ამ დროს შუა ქუჩაში მომავალი შავქოჩორა ჯარისკაციც დადგა და გაკვირვებით შეხედა რაფასთან მდგომს. მერე ორივე ხელი გაშალა და მთელი ხმით დაიყვირა:

— ქუფარაშვილო! ბიჭო, პლატონ აქ საიდან გაჩნდი?

პლატონი ტყვიანაკრავივით შემობრუნდა.





ყორა! შენც აქა ხარ?!
 ჯარისკაცები ერთმანეთს ჩაეხუტ-
 ნენ. მერე მკლავები გაშალეს და
 თვალები ხელისგულებით ამოიმ-
 რალეს.

— ბიჭო, ცოცხალი ხარ? — ყორამ
 პლატონს მხარზე დაჰკრა ხელი.

— ჰო, ხომ ხედავ, ცოცხალი ვარ.
 ქალიშვილი კი ისევ იდგა მი-
 ნებჩალეწილ ფანჯარასთან და ისიც
 თვალებს იმშრალებდა.

— ნახე, როგორ ჰგავს ნატოს, —
 უჩურობდა ქუფარაშვილმა ლუქნი-
 ვსს.

— მართლაც, სულ ნატო არ არის?
 თითქოს გაცოცხლებულა და ჩვენს
 სანახავად წამოსულაო.

ქალიშვილს ისევ დაუცურდა დაწ-
 ვებზე კრილა კურცხალი: მერე მან
 გაიღიმა და რაფას მოადგა.

— ძმები ხართ? აქ შეხვდით?

არა, ისინი ძმები არ ყოფილან.
 შევტუხა გიორგი ლუქნივეი რუსი
 იყო, პლატონ ქუფარაშვილი კი
 ქართველი. ორივენი სიღნაღის მკვი-
 დრნი იყვნენ. სოფლის თავში დიდი
 ხარი რომ დაირეკა და ავისმომასწა-
 ვებელი ამბავი ქვეყანას მოსდო, ჯა-
 რისკაცის მაზარა ჩაიცივეს და ომში
 წავიდნენ. არც ერთი უკან აღარ
 დაბრუნებულა. პატარა ქალაქმა
 სიღნაღში მოიტანა მათი გმირული
 ლეკვილის ამბავი...

ქათმა მეგობარ-ამხანაგებმაც გაი-
 ახსნა მისი შრომის დიდი გზა.
 დაეცა პედაგოგიური ჯერ საქართვე-
 ლოს კავშირის, შემდეგ კომპარ-
 ტისტ ცენტრალური კომიტეტის მდი-
 ვანი იყო, რესპუბლიკის ცენტრა-
 ლური განათების „კომუნისტის“ რე-
 დაქტორი. ამჟამად პენსიაზეა. ჟურ-
 ნალისტის საპატიო საქმეს ემსახუ-
 რენ გრიგოლ და კოლია იარალოვე-
 ზის ვალიკო ბეჟაშვილი...

ფანე ლოლაშვილი ფილოლოგიის
 მეცნიერებათა დოქტორია, პროფე-
 სორი.

ალაზნის ზვირთებივით ჩაიარეს
 წლებმა. მაგრამ ისევ დგას სიღნაღის
 ძველთაძველი ვალაყანი და მის ქონ-
 გურებთან კვლავ გაისმის სიცოცხ-
 ლის ჰიმნი; რომელსაც იმ სპარტაკე-
 ლთა დღევანდელი მოდგმა მღერის.

ბაბრამილა იანია

**ფიზიკური კულტურა მოსახლეობის
 ფართო ფენების და განსაკუთრებით
 ბავშვთა ყოველდღიურ ცხოვრება-
 ში უნდა შევიდეს.**

ლ. ი. ბრეჟნევი.

**ბავშვთა და ბავშვთა სპორტული
 სკოლების სამინირობა უმთავრესად
 მოხმარდეს ბავშვთა და მოზარდთა
 შორის ფიზიკურულ-გამაჯანსაღ-
 ბელი და აღზრდითი მუშაო-
 ბის ორგანიზაციას, ხოლო სკოლები-
 ს, რომლებსაც აქვთ საპირიო მათე-
 რიკული გაზა და მათი კვალიფი-
 ციური კადრები, — სპორტული რე-
 ზარების მომხმარებელს.**

„ფიზიკური კულტურისა და
 სპორტის მასობრიობის შემდგო-
 მი განვითარების შესახებ“ სკკ
 ცენტრალური კომიტეტისა და
 სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგე-
 ნილებიდან.



ჩვენი სახელმწიფო დიდ ყურად-
 ღებას უთმობს საბჭოთა ადამიანე-
 ბის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფი-
 ზიკური კულტურის დანერგვას.
 ფიზკულტურა და სპორტი ხელს
 უწყობენ კომუნისტური საზოგადო-
 ების მშენებლის ჰარმონიულ განვი-
 თარებას.

მოზარდი თაობის ფიზიკური აღ-
 ზრდა მთელი აღზრდის სისტემის
 ორგანული ნაწილია — ის ემსახუ-
 რება მოსწავლეთა ფიზიკური და სუ-
 ლიერი ძალების სრულად გაშლას,
 მათ მომზადებას შრომისა და სამ-
 შობლოს დაცვისთვის. ფიზიკური
 აღზრდის საკითხს დიდი ყურადღება
 ეთმობა სკოლებში, ტექნიკუმებში,
 პროფტექნიკურ და უმაღლეს სას-
 წავლებლებში.

ცურვა სპორტის ერთ-ერთი უძველესი
 მანერა და პოპულარული სახეობაა.
 მიუხედავად ამისა, დღეისათვის
 საქართველოში ცურვის შესწავლის
 მდგომარეობა საკმაოდ დაბალ დონე-
 ნეზეა. მისი განვითარების პერს-
 პექტივებს ბევრი სემინარი და თათ-
 ბირი მიეძღვნა.

1979 წელს საქართველოს კომკავ-
 შირის ცენტრალურმა კომიტეტმა,
 განათლების სამინისტრომ და საქარ-
 თველოს ფიზკულტურისა და სპორ-
 ტის კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი
 დადგენილება ცურვის მასობრიო-
 ბის აუცილებლობის თაობაზე, ხოლო
 სსრკ კავშირის განათლების სამინის-
 ტრომ ცურვა ფიზკულტურის სას-
 კოლო პროგრამაშიც შეიტანა.

რა შედეგი გამოიღო ამ დადგენი-
 ლებებმა, როგორი მდგომარეობაა
 ახლა რესპუბლიკის სკოლებში, რა
 კეთდება მისი გაუმჯობესებისათვის,
 რა პერსპექტივები აქვს ცურვის გან-
 ვითარებას?

ამ საკითხებთან დაკავშირებით
 ჟურნალ „პროზის“ მორიგ „მრგვალ
 მაგიდასთან“ მოვიწვიეთ საქართვე-
 ლოს ფიზკულტურისა და სპორტის
 კომიტეტის საწყლოსნო სახეობათა
 სამმართველოს უფროსი გ. ცქიტი-
 შვილი, სსრკ კავშირის დამსა-
 ხურებელი მწვრთნელი, სპორტსკო-
 ლა „დინამოს“ დირექტორი ლ. იო-
 აკიმიდი, პირველი კატეგორიის
 მწვრთნელი ი. ნათაძე, სპორტუ-
 ლი ექიმი თ. ჭანტურია, თბი-
 ლისის 54-ე საშუალო სკოლის დი-
 რექტორის მოადგილე კლასგარეშე
 და სკოლისგარეშე აღმზრდელით
 მუშაობაში ლ. ჩიგოგიძე, ამა-
 ვე სკოლის პედაგოგი, უფროსი ფიზ-
 კულტურის მასწავლებელი გ. ბურ-
 ქულაძე, რამდენიმე მშობელი
 და მოსწავლე.

გ. ცქიტიშვილი: ახლახან სკკ ცენ-
 ტრალურმა კომიტეტმა და სსრკ კავ-
 შირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს
 დადგენილება „ფიზიკური კულტუ-
 რისა და სპორტის მასობრიობის შე-
 მდგომი განვითარების შესახებ“.
 დღეისათვის ცურვის მასობრიობით
 ვერ დავიკვებებით. სულ რესპუბლი-
 კაში 56 საცურაო აუზია: 6 დახუ-
 რული, 26 — ღია, 24 — მარტივი
 ტიპის, სადაც მუშაობს 128 მწვრთნე-
 ლი, 1250 საზოგადოებრივი მწვრთ-
 ნელი და ინსტრუქტორი. ერთი შე-
 ხედვით, თითქოს საქმე ურიგოდ
 არ არის, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი
 შეხედვით. აუზების ნაწილი არ მო-
 ქმედებს, ჩამოხრეულია ფილები,
 არ მუშაობს საშხაპეები, ირგვლივ



უსუფთაობაა. სპორტკომიტეტმა რამდენჯერმე მიმართა ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. იმედია, ზემოხსენებული დადგენილების შემდეგ საქმე წინ წავა.

ლ. იოაკიმიძე: დევიზი „ისწავლე ცურვა“ უნდა იქცეს მილიონების დევიზად. იმ გარემოს, რომელშიც მოსწავლე ცხოვრობს — სკოლას, პიონერულ თუ კომკავშირულ ორგანიზაციას — ემატება კიდევ ერთი — სპორტული სექცია, რომელიც თავისი თვისებებით, ატმოსფეროთი ეფექტიანად მოქმედებს მოზარდის აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ამაში მე დამარწმუნა ჩემმა ორმოცდაათწლიანმა პრაქტიკამ.

1981-1984 წლებში ცურვა უნდა შეისწავლოს 610.000 კაცმა. ამოცანა მეტად სერიოზულია, და ამ სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანის გადაჭრა ღრმად აღწერილი ტემპებით საკმაოდ ძნელია.

ჩვენს სპორტულ სკოლაში 565 მოზარდი ვარჯიშობს, ამათგან 133 გოგონაა, სააბონემენტო ჯგუფებში კი 1000-მდე ბავშვია. მწვრთნელზეა დამოკიდებული, თუ როგორი ადამიანი დადგება აღსაზრდელისაგან — მრავალმხრივ განვითარებული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, მეგობრების ერთგული, თუ პირიქით — ეგოისტი.

ი. ნათაძე: სპორტსკოლა „დინამოში“ 1966 წლიდან ვმუშაობ. ჩემი აღსაზრდელები ძირითადად მეოთხე-მეხუთეკლასელები არიან; ვვარჯიშებ ოთხ ჯგუფს. ცურვა ყველამ უნდა იცოდეს. ჩემი გოგონას ინიციატივით ცურვა შევასწავლე მის თანაკლასელებს. უნდა გენახათ, როგორი სიხარულითა და მონდომებით დადიოდნენ ბავშვები მეცადინეობაზე. ქართველები, მოგეხსენებათ, მაინცდამაინც არ არიან ცურვის მოტრფილენი. მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩემს მოსწავლეებში 95% ქართველია.

ლ. იოაკიმიძე: მწვრთნელი ცდილობს, რომ სპორტულ მიღწევებთან ერთად ჩაუნერგოს მოსწავლეებს სულის სიმტკიცე, ვაჟკაცობა, მეგობრობის პატივისცემა, ერთგულება, სიყვარული.

ი. ნათაძე: ჰეშმარიტებაა. ამ ზაფხულს სოხუმში ვიყავით შეკრებაზე. ყველანი ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ბავშვებს საგრძნობლად გაულრმავდათ კოლექტივიზმის გრძნობა, გულისყურით, სიყვარულით ექცოდნენ ერთმანეთს.

ლ. იოაკიმიძე: საერთოდ, მოზარდები ძალზე მგრძნობიარენი არიან, შეუძლიათ შეცდომა გაპატიონ, მაგრამ გულგრილობასა და ფორმალიზმს არასოდეს გაპატიებენ.

ნ. კობახიძე, მშობელი: მწვრთნელის პიროვნება, მისი შინაგანი სამყარო, ხასიათი განსაკუთრებით მოქმედებს მოწაფეზე. ჩემი ბიჭები — გელა, ვია და გულბაათი ცდილობენ ყველაფერში მიბაძონ პატივცემულ იზოლდას, რომელიც გულისხმიერებით, სულიერი სისპეტაკით, მაღალი შინაგანი კულტურით გამოირჩევა. უნდა ვალიარო, ჩემი შვილები არცთუ ჯანიანები იყვნენ. გულბაათს ასთმური ხიხინი და ალერგია აწუხებდა, გელას კი ხშირად ემართებოდა ფილტვების ანთება. ამ გაუთავებელ ავადმყოფობას სასოწარკვეთილებამდე მივყავდი. და აი, შირჩიეს და ორივე მივიყვანე ცურვის წრეში. სპორტმა სრულიად შეცვალა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, გააკაჟა, ხალისითა და ენერგიით აავსო ისინი. ცურვით გატაცებამ მათ აკადემიურ მოსწრებაზეც იმოქმედა: სამივენი ხუთოსნები არიან.

გ. ცქიტიშვილი: დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჯანმრთელობის დაცვის მუშაებს ევალუბათ არა მარტო ავადმყოფობის მკურნალობა, არამედ მისი პროფილაქტიკაც ფიზკულტურული საშუალებების გამოყენებით. ეს არის მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

თ. ჭანტურია: კარგი იქნებოდა, რომ რივისა და როსტოვის მსგავსად ჩვენთანაც ბავშვებისათვის ცურვა ჩვილი ასაკიდან გვესწავლებინა. ასეთი ბავშვები ფიზიკურად და ფსიქიკურად ადრე მწიფდებიან და ადრე იწყებენ სიარულს.

ნ. შალამბერიძე (მშობელი): სანამ შვილს ცურვაზე მივიყვანდი, სუსტი გოგონა იყო, ხშირად ცვიდებოდა. ახლა კი სავსებით ჯანმრთელია, ხალისითა და ენერგიით სავსე.

გულახდილად უნდა გეფიქროს ცურვაზე შვილები იმიტომაც მივიყვანე, რომ თავად არ ვიცოდი ცურვა. პროფესიით ექიმი გახლავართ და, როგორც ექიმს, უნდა აღვნიშნო, რომ ჩახარებს აუზის სისუფთავე: წყალი ღღეში რამდენჯერმე ახლდება, იფილტრება. ასე რომ, მასში ბაქტერიების გაჩენა გამორიცხულია.

ნ. კობახიძე: ამბობენ. თეატრი კულისებიდან იწყება... ჩვენი ცურვის სკოლა ფოიედან იწყება. ძალზე საინტერესოა სტენდები: „მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები“ და „გამოჩენილი დინამოელი სპორტსმენები“. მუშაობს ბუფეტი, სადაც ბავშვებისათვის ყოველთვის არის მრავალფეროვანი საუზმე.


ქ. ქიტიაშვილი, მე-5 კლასის მოსწავლე: სამი წელია ცურვაზე დავდივარ, მაქვს მოზარდილთა პირველი თანრიგი. ძალიან ვდარდობდი, როცა ბოტკინის დაავადება შემეყარა, ვაითუ ექიმებმა ვარჯიშის უფლება აღარ მომცენ-მეთქი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეცადინეობას შევუდექი და საყვარელ მწვრთნელს ი. ნათაძეს დავუბრუნდი.

კ. ჯორბენაძე, მე-2 კლასის მოსწავლე: ჩვენ თბილისის ზღვის დასახლებაში ვცხოვრობთ. მიუხედავად შორი მანძილისა, აუზში სიხარულით დავდივარ, ერთი სული მაქვს, წყალში როდის ჩავალ.

ი. ნათაძე: რამდენ სიხარულს განიცდიან ბავშვები, როგორ ირწმუნებენ ხოლმე საკუთარ ძალებს, როცა იგრძნობენ, რომ „წყალი მათ იჭერს“. შემდეგაც სიხარულით ივლიდნენ ცურვაზე, მაგრამ...

ლ. იოაკიმიძე: მაგრამ, იცით, რა ხდება: როგორც კი მოზარდი ცურვას ისწავლის, მშობლები მეცადინეობას თავს ანებებინებენ და ცეკვის, ხატვის ან მუსიკის წრეებში მიჰყავთ. ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი სპორტსმენი დაეკარგა ამით ცურვას...

გ. ცქიტიშვილი: სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დადგენილებამ დაწყებით კლასებში ცურვის სწავლების აუცილებლობის, ფიზკულტურის სასკოლო პროგრამაში მისი შეტანის თაობაზე დაავალდებუ-



საცურაო აუზში ხშირად იმართება შეჯიბრებები

ლა სკოლის დირექტორები, ყველა პირობა შექმნან ცურვის გაკვეთილების ჩასატარებლად.

ლ. ჩიგოგიძე: ჩვენი სკოლა 600 მოსწავლეს გაანგარიშებული, აქ კი 1200-მდე მოზარდი სწავლობს. თითოეულ კლასში 45 მოსწავლეა. ბუნებრივია, რომ ყველაფერში სიწვროვეს განვიცდით.

გ. ბურჭულაძე. ძალზე გვიჭირს ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარება. ჩვენ პატარა სპორტული დარბაზი გვაქვს, რაც, ცხადია, არ არის საკმარისი. ეზოც კი იმდენად პატარაა, რომ სამოცმეტრიანი სარბენი ბილიც ვერ მოგვიწყვია.

რა თქმა უნდა, ცურვა აუცილებელია, მაგრამ ჩვენი სკოლის პირობებში აუზის მშენებლობაზე ფიქრიც კი ზედმეტია. უფრო მეტსაც გეტყვით: ჩვენს რაიონში 21 სკოლაა და არც ერთ მათგანს არა აქვს აუზი. კარგი იქნებოდა ვაკის საცურაო აუზში კვირაში ორჯერ მაინც გამოეყოთ ჩვენთვის ერთი-ორი საათი. ეს ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა მიერ ცურვის ორგანიზებულ შესწავლას.

ლ. ჩიგოგიძე: ძალიან გულნატკენნი ვართ, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეებს არა აქვთ ცურვის შესწავლის შესაძლებლობა. სიამოვნებით ვატარებდით მათ ჯგუფ-ჯგუფად სა-

ცურაო აუზში, ამის შესაძლებლობა რომ გვქონდეს.

გ. ცქიტიშვილი: არა მარტო აუზი, არამედ ყოველი ვარგისი წყალსაცავი, მდინარე, ზღვა ცურვის მასობრივი სწავლების ადგილად უნდა გადაიქცეს. განსაკუთრებული კონტროლი უნდა გაეწიოს პიონერულ და ახალგაზრდულ ბანაკებს.

ზაფხულის პერიოდში სწორედ აქ უნდა გვქონდეს ცურვის სწავლების საყრდენი ცენტრები. საჭიროა, დროზე მომზადდეს კადრები და სპეციალისტები ბანაკებისთვის.

ლ. ჩიგოგიძე: წელან ითქვა, რომ სპორტი ბავშვის ზნეობაზეც ახდენს კეთილ გავლენას. ჩვენს სკოლაში არ არიან „ძნელადღსაზრდელები“, მაგრამ გვყვანან ე. წ. „რთული“ ბავშვები. ყოველი მათგანი ინდივიდუალურ მიდგომას, მეტ ყურადღებას, სიბოძოს თხოულობს. სპორტი დიდად დაგვეხმარა მათთან მუშაობაში. მაგალითად, თუ ადრე ვსაყვედურობდით, ახლა ბევრი მოსწავლე, კერძოდ, ირაკლი ჭუმბურიძე, ზურაბ თეხელაშვილი, დავით კარიაული, მამუკა ანანიავილი ნამდვილად სანიმუშონი არიან სწავლასა და ყოფაქცევაში. მჭიდრო კონტაქტი დავამყარეთ მწვრთნელებთან, ისინიც ხშირად მოდიან სკოლაში, ამოწმებენ აღსაზრდელთა აკადემიურ მოსწრე-

ბას. შედგენილი გვაქვს სკოლის დირექტორის, მილიციის მუშაკთა, ბავშვთა ოთახის ინსპექტორის, პედაგოგ-ორგანიზატორის ერთობლივი სამუშაო გეგმა. ვაწყობთ შეჯიბრებებს, ვმართავთ ლექციებს და ა. შ. ასეთმა მუშაობამ დადებითი შედეგები მოგვცა.

გ. ცქიტიშვილი: ბავშვის ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა ყოველი ჩვენგანის წმინდა ვალია. ახლახან ჩატარებულ პიონერულ მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. კვაჭაძემ თქვა: „ბავშვი ჩვენი ხვალისდელი დღეა, ჩვენი სიყვარული, ჩვენი საზრუნავია, მისი კეთილდღეობა ჩვენი კეთილდღეობაა, მისი ჯანმრთელობა ჩვეყნის სიმდიდრეა, ხალხის სიხარულია, მაშ ერთად ვიზრუნოთ მისი ჰარმონიული აღზრდისათვის“.

ჭეშმარიტებაა!

მართლაც, მოდით, ყველამ ერთად: სპორტკომიტეტმა, სკოლამ, მშობლებმა გულიანად მოგვიდოთ ხელი ამ ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეს, არ დავიშუროთ ძალა, ენერგია და მონდომება, რათა ღირსეული, ჯანმრთელი, მალაზუნეობრივი მომავალი თაობა აღვზარდოთ სამშობლოს.



დიდგორის ბაჯაჯა

ქახვანიძე გიორგი

მხატვარი ზ. შორანიძე

სალამოვდება, ვარსკვლავებს
 ღამე შემოჰყავთ მშვიდობის...
 და მთვარესავით ამოდის
 მოგონებებში დიდგორი.
 მკერდში ტრიალებს გრიგალი,
 ბოლმით სავსეა ფიალა.
 რისხვად შემართულ შუბივით
 დგას საქართველო მთლიანად.
 თურქი მომდგარა იმდენი,
 სიმრავლეს ვინღა დაითვლის.
 სიკვდილ-სიცოცხლის წუთს ელის
 მონა-სპა მეფე დავითის.
 — ან გადავშენდეთ ერთიან,
 ან ჩავკლათ მტერი თავნება.
 აქ საქართველო იწყება!
 აქ საქართველო თავდება!
 როგორც კი მეფემ ჩამოვლო
 მონა-სპა რკინის მკვნიტელი,
 უეცრად გადაეღობა

წინ ნიჩბისელი მჭედელი.
 შავი ნაბადი გადისსნა.
 ამოაშუქა მახვილი...
 — ეს რას კადრულობს
 მჭედელი?! —
 ისმის აქა-იქ ძახილი.
 — შენთვის გავჭედე, მეფეო,
 ამ დღეს ველოდი სანატრელს.
 ეს ხმალი საქართველოა,
 დაჰკარ და არ გიღალატებს.
 — ჩემს ხმალს აჯობებს? — მეფემ
 თქვა, —
 განა რა არის ისეთი? —
 თან ხუმრობს: — ომში გაუძლებს
 სულთნის გველური კისერი?
 — ხმალი ხმალს დავკრათ, მეფეო,
 მაშინ მიხვდები, რაც არი.
 ხმა ისმის: — თუ გამტყუნდება,
 პირი ავუვსოთ ნაცარით.

დავითმა დაჰკრა გულდაგულ —
 მხოლოდ ცას ელვა შეჭვინა.
 მჭედელმა შემოუქნია —
 გატყდა მახვილი მეფისა.
 — ეს რა ყოფილხარ, მჭედელო,
 რა სიბრძნის ვარსკვლავს
 მიჰყვები.
 ხმალიც ისეთი გინრთვია,
 როგორიც გქონდა სიტყვები.
 — ნება მომეცი, ასევე
 მთელ ლაშქარს ჩამოვურიგო.
 ის ხმალი გულში ჩამკარით,
 რომელიც იყოს ურიგო.
 — დასტური მითქვამს, მჭედელო!
 — გამადლობთ! — გულს გულმა
 გადასცა
 და გაანათა ლაჟვარდი
 ხმალმა ორმოცმა ათასმა.

ჩივილი

ომი ყოფილა მანამდის,
მაგრამ დიდგორი სხვა იყო.
რუსთველის ენა თუ იტყვის,
ფეხქვეშ თურქი ვით გაიგო.
ეყარა მტრის ხმლის ნამსხვრევი
მინაზე ნაფოტ-ნაფოტად;
ფხაც არა ჰქონდა შეცვლილი
მახვილებს, მჭედლის ნაბოძვარს.
თურმე, ვინც გადაელობა,
არ გაუშვია უვნებლად.
ვინც გადაურჩა ხმლის რისხვას,
თან გაჰყვა ხმალზე თქმულებაც.
ყველა თანაბრად იბრძოდა
მამულისათვის მზეგრძელი.
სიცოცხლეს არა ზოგავდა
მეფეც, გლეხიც და მჭედელიც.

ვის საფლავს თხრიან ნეტავი,
ამ ტანაშოლტილ ნაძვებთან?
აქ დამმარხეთო, ნიჩბისელს
დაუტოვია ანდერძი.
გახსოვდეთ, მეფე დავითი
ჩემს ნაჭედ მახვილს აქებდა;
ცოცხალს არ მილალატნია,
ნურც მკვდარს ნამიღებთ აქედან.
ამბობენ, როცა მონა-სპის
დაძრულა ხმები დაფდაფთა,
თვით მეფეს დაუჩოქია
ნიჩბისელ მჭედლის საფლავთან.
ათ თითზე ათი სანთელი
აუნთო, აუფოფინა
და მერე მჭედელს გულმკერდზე
დიდგორის მინა მოჰფინა.
ერთი გახედა, ახსენა
სახელი დიდი წინაპრის,
ხმლის პირი ამოამხევა
და დადგა სვეტად სინათლის.
თქვა:—ამ ხმალს ვფიცავ, მამულო,
ვიდრე მაქვს გული მფეთქავი,
ვერ შეანგრიოს ვერავინ
ჩვენი ფუძე და ბექთარი.
და განა მარტო ცოცხალი,
მკვდარიც კი ამას ვიტყვოდი:
ვინც განიზრახავს ჩვენს მტრობას,
არ დაივიწყოს დიდგორიც!

საღამოვდება, ვარსკვლავებს
ღამე შემოჰყავთ მშვიდობის...
და მთვარესავით ამოდის
მოგონებებში დიდგორი.

გარიჟრაჟია,
საცა არი მზის ელვარება
ციტ გადმოსკდება
ალუბლისფერ ნიღვარებად.
ჩიტების ჰიმნი
სივრცეს ავსებს საგანთიადო,
ჭინჭრაქა ქედანს ეჯიბრება,
შაშვი — იადონს,
მესკია — სკვინჩას,
ლაჟო — წრიპას,
ჭკა — ჩიტბატონას...
გადამავინწყდა ნადირობა,
იოფი, პატრონა...
ხმით უამესით —
ხვრელით გველის გამომხმობელი,
უკანასკნელად გალობ ნეტავ
ჩიტი რომელი.

ოუ სიკვდილია,
ოხვრით სიკვდილს
გიჯობს ალიონს
შეხვდე სიმღერით,
სიმღერაში სული დალიო.
მე კარგად ვიცი,
ერთი ლხინით
არ ილხენთ ყველა:
კოდალა, ყვავი,
ბოლოშავი, კაჭკაჭი, ძერა...
აღამიანთა მსგავსად
თქვენც გაქვთ
ლხინი თქვენ-თქვენი,
ჭირი თქვენ-თქვენი,
გყავთ მტრებიც და მოსიკეთენიც.
ახლა ამ წუთში
სასიმღერო არ მიდგას ჟამი,
შემოგანით —
მაინც მზად ვარ —
ბუბუნა ბანი.


ჩივილი

მუსხი, მუსხელი,
თმოგვი, თმოგველი —
ამერ-იმერით
ისევ მოგელით.
გელით ჯალაბით
და დედანულით
უდე, ტოლოში,
ზარზმა, აწყური;
მკვდრეთით აღდგომას
მსასოოვარი
გელით ნასახლარ-
ნაეზოვარი.
გელით ათწლობით
შამბში მძინარი
ნაბილიკარი,
ნაგზანვრილარი.

გელით წუთი-წუთ,
გელით წამი-წამ
მინა მესხეთის,
მერე რა მინა!
სამცხის მინა და...
თქვენი სახლკარი,
თქვენი სათიბი,
თქვენი სამკალი.
ბუხრების კვამლით
დამამშვენი ცის
შენ ხარ, მამულო,
აბა, შენ იცი!

მოსიყვარულმა კაცი თუ არ ვაუწყო ვშირად

ოთხმოცდაცხრამეტს უკვე ვუთხარ,
შენ ხარ მეასე,
რომ საქართველოს სიყვარული
მესმის მე ასე:
არ ღირს სამშობლოს სიყვარული
გახვრეტილ გროშად,
არ ძალგაძს თუკი
ანაცვალო თავი მის დროშას.
გახვრეტილ გროშად
სიყვარული მამულის არ ღირს,
თუ ნალარის ხმას
გირჩევნია ჭყვიტინი არღნის.
არ ღირს სამშობლოს სიყვარული
მაჟალოს ჩირად,
ამ სიყვარულმა კაცი თუ არ
გაქცია გმირად.





სორს კორესპონდენტთა ჟურნალი № 12

მომისწინე, ჩემო მეგობარო!

დღედაღე ძვირფასი ამ ქვეყნად არავინ და არაფერი არ მეგულება. ამიტომ არ მიკვირს მასწავლებლის გაბრაზება, როცა საკლასო ოთახი ცარიელი დახვდა; თუმცა, გაბრაზებაზე მეტად წყენა ატკენდა გულს, წყენა იმის გამო, რომ მისი მწუხარება მოსწავლეებმა არაფრად ჩააგდეს. შეურაცხყოფასაც იგრძნობდა ალბათ.

მთელი კლასი, თითოეული მოსწავლე გასაკიცხია, მაგრამ მე განსაკუთრებული ინტერესით იმ ბავშვს გავესაუბრებოდი, ვისაც პირველს მოუვიდა აზრად გაკვეთილის კოლექტიური გაცდენა. „ჩემო მეგობარო, — ასე დავიწყებდი, — დედა ხომ გიყვარს? ხომ პატივს სცემ? იქნებ მარტო შენი დედა გგონია ყველაზე ლამაზი და საყვარელი? თუ ასე ფიქრობ, მართალი არა ხარ! მე, მაგალითად, დედაჩემი თავს მირჩევნია, მაგრამ, მერწმუნე, შენს დედიკოსაც პატივს ვცემ და იმ შენი მასწავლებლის დედის სსოვნასაც, და შენს ადგილას მშობლის დამკარგავ მასწავლებელს გაკვეთილს არ გავუცდენდი“.

აი, ასე ვეტყვოდი იმ „შატალოს“ მოთავე ბიჭს (თუმცა, იქნებ გოგოც კი იყო!) და მჯერა, ჩემი ამხანაგებიც მხარს დამიჭერდნენ.

ირმა ნარსია,
ლანჩხუთის რაიონის ღრმაღელის
8-წლიანი სკოლა, V კლასი.

კვებუნა არ დაქცეულა

მე და ჩემი მეგობრები მუდამ ყურადღებით ვადევნებთ თვალს „ბიონერის“ ფურცლებზე გამართულ დისკუსიებს. ზოგ ჩვენგანს თავისი აზრიც გამოუთქვამს ამა თუ იმ საკითხზე.

ახლაც გადავწყვიტეთ, გამოვენ-მაუროთ რედაქციის მოწოდებას

ი. ყ.-ის წერილის გამო. მაგრამ ნუ დაგვძრახავთ, ამჯერად ინიციალებს თუ ამოვეფარებით — ჩვენი თვალსაზრისი ალბათ ყველას არ მოეწონება.

ვფიქრობთ, ქვეყანა არ დაქცეულა იმიტომ, იმ დღეს კლასმა გაკვეთილი რომ გააცდინა. რაკი მასწავლებელი სკოლაში არ დადიოდა, ბავშვებმა იფიქრეს, ხვალაც არ მოვაო, და გაკვეთილი არ მოამზადეს. როცა მასწავლებლის მოსვლა გაიგეს, ურუნალში „ორიანების“ ჩამომწყვირებებს ისევ „შატალო“ ამჯობინეს. ვითომ მასწავლებელს კი გაუხარდებოდა გაკვეთილის არცოდნა და ოცდაათმდე „ორიანის“ დაწერა?

ჩვენი აზრით, მოსწავლეები იმავე საღამოს უნდა მისულოყვნენ მასწავლებელთან შინ და ყველაფერი გულწრფელად აეხსნათ, ბოდიში მოეხადათ, დამწუხრებულ ქალს უნებლიეთ გული რომ ატკინეს. ამით ყველაფერი ლამაზად მოგვარდებოდა.

გურამ ა., სოსო შ., გივი ლ., ენმა პ.,
მეშვიდეკლასელები.
ქ. სოხუმი.

სხვისი ზრილობა გვტკიოდა...

გაკვეთილის კოლექტიური გაცდენა თავისთავად ცუდი, ჭეშმარიტად საძრახისი საქციელია, მაგრამ ი. ყ.-ის წერილში უფრო სხვა რამ არის საგანგაშო: ვაითუ ის გულქვაობა, რომელიც მოსწავლეებმა პედაგოგის მიმართ გამოიჩინეს, მათი ხასიათის თვისებად იქცეს? „სხვისი ჭირი — ღობის ჩხირი!“ — მტრისას ასეთი, უკაცრავად პასუხია, ფილოსოფია!.. მაბატიონ იმ ბავშვების მშობლებმა, მაგრამ, მე მგონია, მათ რაღაც გამორჩათ ბავშვის აღზრდისას, ვერ ასწავლეს თავიანთ პირმშოს სხვისი სიხარულით გახარება და სხვისი მწუხარებით დაღონება. ხოლო თუ ადამიანს ეს ნიჭი არ გააჩნია, მას ძალზე გაუჭირდება ცხოვრება. ოდესმე მძიმე გასაჭირი თუ დაადგა თავს და ახლობლებმა ზურგი აქციეს, მხოლოდ მაშინ მიხვდებოდა, რა ნიჭიც აკლია, მაგრამ გვიანდა იქნება თითზე კბენანი!

ვერ წარმოვიდგენ, თითქოს იმ

ოცი თუ ოცდაათი ბავშვიდან ხუთიოდეს მაინც შეეძლოს ავტობუსში ადგილი არ დაუთმოს მოხუცებს, მხარში არ ამოუდგეს ხეიბარს, არ უწინამძღვროს უსინათლოს, არ გამოესარჩლოს დაჩაგრულ პაწიას... აქ კი რა მოხდა? რატომ არ აღიმადლა იმ ხუთიოდემ ხმა „შატალოს“ წინააღმდეგ? ხუთს ხუთი რომ შეეჩერებინა, ათნი მეტს არ გააკეთებდნენ? რატომ უნდა მომხდარიყო ისე, რომ კლასის ერთსულოვნება უარყოფითისკენ („შატალოსკენ“) მიიმართა და არა საპირისპიროდ — დადებითისკენ (კლასში დარჩენისაკენ)? მასწავლებლის პატივისცემას რომ თავი გავანებოთ (რის გაკეთებაც არ შეიძლება!), საკუთარი თავის, საკუთარი ოჯახის პატივისცემა სად დაკარგეს? დედაშვილობის ყადრი და მაღლი რატომღა დავიწყეს?..

ლუიზა თვალაძე,
თბილისის 167-ე საშუალო სკოლა,
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი.

საინტერესო ეპსკურსია

ამას წინათ მეტად საინტერესო ექსკურსია მოვაწყეთ — კომკავშირულ ქალაქს „ბორის ძნელაძეს“ ვეწვიეთ. მოგვეწონა ქალაქი, მისი შემოგარენი, მოხერხებული, კომფორტული სასტუმრო, „მწვანე თეატრი“, სახვითი ხელოვნების ცენტრი „ფიროსმანი“, ლურჯად მოლივლივე პატარა ტბა... ძალზე დაგვიინტერესა ქვის ფილის ქვეშ ჩამარხულმა, თანამედროვე კომკავშირელთა მიმართვამ 2017 წლის ახალგაზრდობისადმი. აგვიხსნეს: ეს მიმართვა დიდი ოქტომბრის 100 წლისთავზე უნდა იქნეს წაკითხული.

კომკავშირულ ქალაქში ჩავატარეთ ვიქტორინა თემაზე: „ბორის ძნელაძე, როგორც საქართველოს კომკავშირის ფუძემდებელი“. გადავწყვიტეთ, უახლოეს მომავალში ჩავატაროთ საუბარი: „ჩემი შთაბეჭდილებანი“. ვფიქრობთ, ყველა სიამოვნებით მოიგონებს ამ შეგანაშნავ ექსკურსიას ბორის ძნელაძის სახელობის ქალაქში...

მარიამ შაჰაროვა,
ღუშეთის რაიონის ანანურის საშუალო
სკოლა, IX კლასი.



მასწავლებელი

კეთილი მასწავლებელი,
მზრუნველი მასწავლებელი,
მასწავლებელი გულლია,
თვალები შუქად უნთია.

მისი ალერსი დედური
გვათამამებს და გვახარებს,
დედაენა და ნიგნები
მან შეგვაყვარა პატარებს.
მასწავლებლებთან ერთად ჩვენ
ხშირად კონცერტსაც ვატარებთ.

მკვებარა წვერბაცანცარა

ტყის პირას მიბაკუნობს
თხაკიკინა „მეო“; —
ეს რამდენი ბუჩქი არის
და რამდენი ხეო.
ოდელია დელი დელა,
ოდელია დელაო,
რაც ამ ტყეში მგელი იყო,
მე გაწყვიტე ყველაო.

წინ შემოხვდა რუხი მგელი,
შეეწინდა თხასო,
მკვებარამ თავი ანება
ტყუილების თქმასო.

ლალის ფისო

ლალის ფისო ჭრელია,
მოქნილი და ლამაზი,
თვალებს ისე აბრიალებს,
შეაშინა მალხაზი.

გვანცა აბღალაძე,

თბილისის 77-ე საშუალო სკოლა, I-ა
კლასი.

დაუვიწყარი სახე

გვიახი ლამე იყო, საავადმყოფო-
დან რომ გამოვედი. მთელი დღე, იქ
მწოლიარე დედას ვადექი თავზე —
გვერდით რაკი ვეგულეობდი, თი-
თქოს ნაკლებ აწუხებდა ტკივილები.
სული-სულზე მივუსწარი მეტროს
მატარებლის უკანასკნელ რეისს. ვა-
გონში შევედი თუ არა, თვალში
მეცა კართან მჯდომი, ხელებში თავ-
ჩარგული ჭაბუკი. მე ერთხანს გა-
უნძრევლად ვიდექი, შემდეგ იმ ვა-
ქის მოპირდაპირედ დავჯექი — რა-
ტომღაც დამაინტერესა უცნობმა
თანამგზავრმა.

უცებ მან თავი ასწია, წელში გა-
სწორდა, სავარძლის საზურგეს მი-
ეყრდნო, თვალები დახუჭა და თი-
თები ნერვიულად აათამაშა.

მონუსხულივით მივჩერებვიარ და
რას ვხედავ: მის ლაწვებზე მძივები-
ვით მოგორავენ ცრემლები.

გული ამიფორიაქდა. ველარ მო-
ვითმინე, ავდექი და გვერდით მივუ-
ჯექი, ხელი ფრთხილად შევახე მხარ-
ზე. „შემიძლია დაგეხმაროთ რამე-
ში?“ — ვკითხე ხმადაბლა.

შეკრთა, თვალები გაახილა —
ციხფერი, სველი თვალები. შემომ-
ხედა. ღმერთო, რა სასოწარკვეთილი
მხერა ჰქონდა! თითქოს უნდოდა
რაიმეს თქმა, მაგრამ მხოლოდ ახლა
წამოსცდასავით, ტუჩების ცახცახით,
ოდნავ გასაგონად თქმული: „დე-
და...“

ამასობაში მატარებელი გაჩერდა.
ჭაბუკი წელათრევით წამოდგა, გმა-
დლობთო, დაიხურჩულა და თავდა-
ხრილმა დატოვა ვაგონი.

დღემდე ვერ დამივიწყებია უსა-
ზღვრო წუხილით აღსავსე მხერა,
სასოწარკვეთილი სახე.

დღემდე მაწვალებს ფიქრი: ნეტა
რა აწუხებდა ასე ძლიერ, რა! დე-
დაო, რომ წამოსცდა მის ბაგეებს,
ვაითუ... არა! ამის გაფიქრებაც კი
მზარავს...

ციხანა ბაბლიძე,

თბილისის მე-15 საშუალო სკოლა;
I კლასი.

სააქაო სამოთხე

კოშკები...
მაჩუბები...
უშბა და თეთნულდი...
უნარნარესი ცა...
სიტყვაძუნწი ვაქების დინჯი სია-
რული...

ჭიუხებში ჯიხვების თქარუნი...
მეინვარების ღიმილი — მკერდში
ჩაგუბებული მზე...

უძველესი, გმირული სიმღერები...
გულში ჩამწვდომი მელოდები...
ყვილაფერი — არაჩვეულებრივი...
გაოგნებული ვარ.

სააქაო სამოთხე ყოფილა სვანეთი.

იმ, შხარასთან

ლამეა.
დვანდგარებს ენგური.
კოშკები მუნჯი მეციხოვნეები-
ვით დვანან, თავები ცისთვის მიუბ-
ჯენიათ.

კოშკების თავზე მთვარე ბღღვრი-
ალებს.

ყეფენ ძაღლები. საიდანღაც ნიავს
მოაქვს ჭუნირზე დამღერებული
თქმულება დალსა და მონადირეზე.

რა საოცრად იღუმალი ღამეა!...
და მაინც... სვანებს დღე გვიყ-
ვარსო, — მითხრა ერთმა აქაურმა
გოგონამ.

რა დამაძინებს ასეთ ღამეში!...
მოუთმენლად ველოდები გათენე-
ბას — ხვალ უშგულში მივდივარ.
უშგულში შხარა მიმელის...

შხარა ენგურს ეტრფისო, — ესეც
იმ გოგონამ მითხრა, სვანმა დობილ-
მა.

იქ, შხარასთან მინდა შეხვდეთ
მზის ამოსვლას.

იქ მინდა მოვისმინო მზის სადიდე-
ბელი სვანური ჰიმნი „ლილეო“.

ნინო ჩხიკვიშვილი,

თბილისის 31-ე საშუალო სკოლა,
X კლასი.

ნახვამდის, გაისამდე!

ავსტოთა თავარა მზე დაძნათის
სოფელს. ნელი სიოს ქროლვაც კი
არ იგზნობა. ჰაერი სიციხისაგან
თითქოს დამძიმებულია.


ორღობეში გამოჩნდა აცრემლებუ-
ლი ნათია დედასთან ერთად. სას-
კოლო არღადეგები ნათიამ სოფელ-
ში გაატარა და ახლა უძნელდობდა
თავის ტოლ გოგო-ბიჭუნებთან გან-
შორება. რამდენჯერ იხალისა და
ითამაშა მათთან ერთად, რამდენჯერ
შემოირბინა სოფლის შემოგარენი.
როგორ უყვარდა მწვანეში ჩაფლუ-
ლი ძველი მონასტერი, მაღალი, სა-
ლი კლდეებისათვის თვალის შეველე-
ბა, კავკასიონის თეთრი, დათოვლილი
მთები.

რა ლამაზია კახეთი! მისი შრილა
ტყეები, ბალ-ვენახები. მზე დასეირ-
ნობს ალაზნის ველზე, ირგვლივ
ყველაფერი ხალიჩასავით არის მო-
ქარგული. მშვიდად მოაგორებს ტალ-
ლებს ალაზანი. ფიქრებში გართულ-
მა ნათიამ ვერც კი გაიგო, როგორ
მოვიდა აეტობუსი. ფანჯრიდან კიდევ
ერთხელ მოავლო თვალი სოფლის
ულამაზეს ბუნებას. თითქოს ცდი-
ლობდა უფრო კარგად, მკაფიოდ
დაემახსოვრებინა იგი.

„ნახვამდის, ტყბილო კახეთო! ნახ-
ვამდის, გაისამდე!“

ლია ჟიბოშვილი,

გურჯაანის რაიონის მახარაძის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.





ოქროს ნაღი

გიორგი კეჭელაძე ახლახან დაამთავრა თავისი რომანის „ოქროს ნაღის“ კირველი წიგნი. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი გამოჩენილი ქართველი მწერალი ევანთა ნინოშვილი. ვაჟაფშაველამ ამ რომანის რამდენიმე თავს.

გიორგი კეჭელაძე

მხატვარი თ. შხიპიძე

ნათლობა

მღვდელთან ადრევე იყვნენ შეთანხმებულნი, ჯერ კიდევ თებერვალში, მაგრამ იმ დღეებში სიცივემ იმატა, კარგა დიდი თოვლიც მოვიდა და მამიდა ნინომ ბიჭი სახლიდან არ გაუშვა, ვინ იცის, სად დააწვენენ, იქნებ სულაც მოჯამაგირეებთან გააგდონ ფარდალალი ფიცრულ ქოხში და გამიციონო: ვაცალოთ, ცოტა ათბესო. მართლაც, მარტში გვარიანად ათბა და ბიძა ალექსიმაც, ასეთი „საგარეო“ საქმეების მომგვარებელმა, ამოაწყობინა დებს მთელ ზამთარს სკივრში ჩაკეტილი ტანსაცმელი და ბიჭთან ერთად, რომელსაც ხელში პატარა ფუთა ეჭირა, მღვდლის სახლისაკენ გასწია.

ჭიშკარში რომ გავიდნენ და ეკლესიისკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ (ხუცესიც იქვე ახლოს ცხოვრობდა), ბიჭს გულმა არ მოუთმინა, ნაბიჯს მოუჩქარა და ბიძას გაასწრო. აშკარად ეტყობოდა, თუ რა ბედნიერი იყო დღეს. ხუცესის სახლში მას ეგულებოდა იღუმალებით აღსავსე ძველისძველი წიგნები, ახალი, შინაარსიანი, მიმზიდველი ცხოვრება, ღვთისმომში, კეთილი და ალერსიანი ადამიანები. ალერსი და ფერება შინ მოჭარბებულიც კი ჰქონდა, ადრე დაობლებულ ბავშვს ყველა ეფერებოდა: მამა, ბიძა, მამიდები. ვის არ ეცოდებოდა ობოლი ბიჭი, მამიდა ნინო ხომ მთლად გადა-

ყოლილი იყო ზედ. მისთვის რომ ზრუნვა არ არ გათხოვილა; არც თომა ირთავდა ცოლს, დედინაცვალმა ბიჭი არ დამიჩაგროსო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლატაკი ინგოროყვები მაინცდამაინც სასურველ სასიძოებად არ ითვლებოდნენ; არც ამ ოჯახის ქალიშვილებს აგლეჯდნენ კალთას, რადგან მზითვის იმედით არავის არ ჰქონდა. თავის სახლში ყურადღებითა და ალერსით განებივრებული ბიჭი დარწმუნებული იყო, რომ ხუცესის ოჯახშიც მალე დაიმსახურებდა საყოველთაო პატივისცემასა და სიყვარულს სწავლითა და თვინიერებით.

ამ დღისთვის, საერთოდ, ამ „ახალი ცხოვრებისათვის“ ბიჭი საგანგებოდ გამოაწყვეს. ხალათი ფოთში უყიდეს ერთი კვირის წინ, ქალამნები მამამ ამოუხსნა, შარვალი კი იმ დღეს შეუთქერა მამიდა ნინომ, მღინარის წყალში ფეხები რომ ჩააყოფინა და ანბანის სწავლა დააწყებინა...

ადრინა დილა იყო, ახლად ამოსული მზე ძლივს ათბობდა. მამიდა და ძმისწული წყლის პირას ქვიშაზე დასხდნენ, წყაროსავით ანკარა წყალი ჩხრიალით, რაკრაკით მოედინებოდა. ბიჭი წყალში უცნაურ სამყაროს ხედავდა, თან ნაცნობს, თან საოცრად ახალს და მიმზიდველს: ათასფრად აბრჭყვიანებულ ქვებს, მზის დატეხილ სხივებს, ლურჯი ცისა და მღინარის ნაპირების ანარეკლს. ეს ყველაფერი ამ სისხამ დილით ისეთი მშვენიერი ჩანდა, ბიჭს ზღაპარში ეგონა თავი.

საუცხოო ამინდი იდგა, მამიდამ საგანგებოდ შეარჩია ასეთი ამინდი. ნათლობას წააგავდა ეს ამბავი. „აბა, ჩაყავი ფეხები წყალში“. ბიჭმა ჩაყო, მაგრამ, როგორც კი წყალმა ტერფებზე გადაურბინა, უნებურად მუხლები მოხარა. „ცივა თუ?“ — ჰკითხა მამიდა. „აბა არა?“ — თითქოს გაჯავრდაო ბიჭი, მაგრამ, სინამდვილეში, მას ახლა არ შეეძლო გაჯავრება. ახლა ხომ რაღაც სასწაული უნდა მოხდეს! მამიდა კარგა ხანია ამზადებს მას ამ სასწაულისათვის. რაღაც ახალსა და უცნობს, საკვირველსა და იღუმალს, საზეიმოსა და ამალღებულს უნდა ეზიაროს ბიჭი დღეს. ამიტომ წყალი მთლად ყინულივით რომ იყოს, მაინც ჩაყოფს შიგ ფეხებს, ფეხებს კი არა, ადგება და სულაც ჩაყვინთავს შიგ. და ბიჭი გაირინდა, მამიდას მიაპყრო მომლოდინე თვალები. მამიდამ თვალებში ჩახედა და წამით შეკრთა, — არ ჰგავდა ბავშვის თვალებს. „ღმერთო მალალო, გაივლო გულში, რაფერი თვალები აქვს ამ ბალანას...“ შენ გაუნათე გზა-სავალი, უფალო, დეიცავი, ღმერთო, მაცხოვარო, ღვთისმშობელო მარიამ, წმინდაო გიორგი.“ მამიდა ჩუმად, ოდნავ გასაგონი ბუტბუტით ლოცულობდა. „ნეტა არაფერი დეემართოს ამ ობოლ ბალანას, ნეტა დიდხანს იცოცხლებდეს... რაფერი თვალები აქ ამ ბიჭს...“

— აბა მზეს შეხედე, მამიდა, შენი კირიბე.
ბიჭმა მზეს გაუსწორა თვალები. მამიდამ მალულად წაიღო ხელი უბისაკენ და ოთხად გაკეცილი ქალღმრთის ნაგლეჯი ამოაძვრინა, ფრთხილად გაშალა, გაასწორა, ხელისგულებით გატყეპნა.

— ახლა წყალს შეხედე, მამიდა.
შუბლზე აკოცა ბიჭს, პირჯვარი გადასწერა ჯამდე-ჩქერამე, ცრემლი მოადგა თვალებზე.

— დღეიდან სულ სიხარულის, ბედნიერების, სწავლის გზით გევიღოს, მამიდა... აბა, აქეთ მოიხედე ახლა.

ბიჭმა მოიხედა, ამომავალი მზის სხივებზე მარგალიტებივით უბრჭყვიანებდა მამიდას სახეზე ცრემლები, ხელისგულზე ქალღმრთის ნაგლეჯი ედო.

— დახედე... ხედავ?

ვხედავ, მამიდა.
— აგი ანბანია, შვილო, ქართული ანბანი, აბა და-
თვალე!
— ბიჭი ნელა, სვენებ-სვენებით შეუდგა თვლას, თან
ცილილობდა ასოთა მოხაზულობაც დაემახსოვრებინა,
ყოველი ასო რაღაც ნაცნობ საგანს აგონებდა.

— დათვალე? ოცდაათოთხმეტია, ხომ? ეს ოცდა-
თოთხმეტი ანგელოზია, მამიდა, მაგინი გაზიარებენ
შენ ყველა სიკეთეს ამ ცხოვრებაში. შეხედე პირველს,
კარგად დააკვირდი, ანი ქვია მაგას. გაიმეორე!
— ანი, — ხმამაღლა, საზეიმო ხმით თქვა ბიჭმა.

— მეორეს ქვია ბანი...
ასე გაიმეორა ბიჭმა ოცდაათოთხმეტივე ბგერა. ნა-
თლობა დამთავრებული იყო. მამიდამ ნება დართო
ბიჭს წყლიდან ფეხები ამოეყო. „წამო ახლა შინ,“ —
წამოღდა და ბიჭიც წამოაყენა, ის ჯადოსნური ქალღ-
ღი კი ისევ ოთხად დაკეცა და უბეში შეინახა. ჰოდა,
იმ საღამოსვე ახალი შარვალი მოარგო ბიჭს მამიდამ;
კარგი იყო, ყველას მოეწონა. მთელი ოჯახი ერთხმად
გამოთქვამდა აღტაცებას, ასეთი შარვლის პატრონმა,
სირცხვილიც კია, არ ისწავლოს და დიდი კაცი არ გა-
მოვიდესო. მაგრამ ნეტარება დიდხანს არ გაგრძელე-
ბულა, შარვალი მალე გახადეს. „ამის ჩაცმა ჯერ ად-
რება, შვილო,“ — უთხრა მამიდამ და გულში ჩაიკრა,
მოეფერა, ეშინოდა, არ გაჩიუტდეს და გახდაზე უარი
არ თქვასო. მაგრამ ბიჭი არ გაჩიუტებულა. საერთოდ,
დამჯერე და თვინიერი იყო, თანაც ძალიან უყვარდა
მამიდა ნინო. სხვებიც უყვარდა. რა თქმა უნდა, რად-
გან ყველა ეფერებოდა და თითქმის არაკინ არ უჯა-
ვრდებოდა, მაგრამ მამიდა ნინო მაინც სულ სხვანაირი
იყო. რა იყო ამ ადამიანში ისეთი განსაკუთრებული,
მისთვის სამუდამოდ გაურკვეველი დარჩა. რაღაც უც-
ნაური სიტბო ჰქონდა, აი, რომ გცივა. იყინები. შეხე-
დავ ადამიანს და გათბები სულიან-ხორციანად...

ბ ბ ბ ბ

გზის შესამოკლებლად ტყისკენ რომ გაუხვიეს ბიძა-
ძმისწულმა, ბიჭი გაუჩინარდა. ბილიკზე უკვე ამო-
წვერილიყო ქორთა ბალახი, ხეებზე ჩიტები ფრთხი-
ალებდნენ და ჭიკჭიკებდნენ. ტყეში ახალგაღვიძებული
კვირტების, ნესტისა და ნეშოს სუნი იდგა. ალექსის
ცხვირწინ ჭახჭახით ჩაიქროლა ყვითელნისკარტა შა-
შამა, ბებერ წყავზე შესკუბდა და ეჭვით შეათვალა
ტყის სტუმარი, თან მოუსვენრად ცმუკავდა ტოტზე:
რომ დარწმუნდა, ალექსისგან ხიფათი არ ელოდა, ის-
კუპა და ბედნიერად გამოზამთრებულ, ეკლებში წით-
ლად მოკიაფე კურკანტელას სწვდა, ღონიერი ნისკარ-
ტით მოგლიჯა და ნადავლით კმაყოფილი შქერის
ხშირ ფოთლებში ჩაფრინდა. ტანაყრილი, ჯანმრთელი
წიფლის კენწეროზე ჩხართვი იჭდა, მდელოსავით აბი-
ბინებული გულმკერდი მზისთვის მიეშვირა და თავდა-
ვიწყებით გალობდა.

— ეგნატე, ბიჭო! — დაუძახა ალექსიმ, როცა ბი-
ჭის ფეხის ხმა მიწყდა.
— აქა ვარ, ბიძია.
— დაინახე შამში?
— კი, დავინახე, — მიუგო ბიჭმა.
— გამოზაფხულდა. ახლა აღარაფრის ეშინია.

აღმართში ჩქარი სიარულისაგან ბიჭს ლოყები ას-
წითლებოდა, შუბლზე ოფლის წინწკლები დასხმოდა.
ისევ დააპირა დაწინაურება.
— მეიცა, ბიჭო, რა გაჩქარებს. არსად გაგეცევა ი
შენი თხაწვერა ხუცესი.

ბიჭი შეჩერდა, გვერდზე გადგა, ბიძა წინ
და თვითონ ფეხდაფეხ მიჰყვა.
— ნასწავლი კაცი გამოხვალ ახლა, ბიძიკო, შენ და,
— ღიმილით მოუხედა ალექსიმ, — მერე არც გვიკად-
რო იქნება აი გამოყრუებული ყაძახები. ხუცესი გახ-
თები ალბათ შენც.
— ხუცესი, აბა!..
— რაი, არ მოგწონს იქნება ხუცობა! ყაძახისთვის
არაა მაგი უბრალო საქმე. ან მწერლად დაგაყენებენ
სოფლის კანცელარიაში... ან მამასახლისად აგირჩევენ.
თუ ჰკუთხე იქნები და ბეჯითად ისწავლი, ქე მიაღწევ შენ
მაგას, ნიჭიერი ბალანა ხარ...
ეგნატე არაფერს ამბობდა.
— მასწავლებლობა გირჩევნია იქნება?
— რა ვიცი მე, ბიძია.
— არა, ხუცობა ჯობია, ნამდვილად. უფრო სარფიანი
საქმეა. კი გვატყუებს ათას რამეს, მარა სა წერია მაგი...
ყველა ერთმანეთს არ ატყუებს ამ ქვეყანაზე?





ალექსი რწმენის სიმტკიცით არ გამოირჩეოდა. გატყვებული ყაძახიზა არც ღმერთთა და არც ხატთა, იტყობდა ხანდახან. ზოგ-ზოგები კი უღმერთობასაც აწამებდნენ, მაგრამ ეკლესიაში მაინც დადიოდა დღესასწაულებზე, ეტყობა. მთლად მაინც არ ეთმობოდა სულის უკვდავება და სასუფეველი. თუმცა, ავყია მეზობლების აზრით, ალექსის ხალხში გამოჩენა და ენის ფხანა უფრო იზიდავდა ეკლესიაში, ვიდრე ღვთის სიყვარული და ქრისტეს ერთგულება.

— თუ იცის მაც თხაწვერამ რამე, კაი დაგემართოს!
 — აბა რაფერ კითხულობს იმ წიგნებს ეკლესიაში?
 ბიჭის ღრმა რწმენით, კაცი, რომელმაც წიგნის კითხვა იცის, ნამდვილად არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი.
 — კითხულობს კი?... ბუტბუტებს რაღაცას. მე ჯერ სიტყვა არ გამიგონია მაგის წაკითხული.

ალექსის ხუცესის ლანძღვის საღერდელი აეშალა, ახლა თავის შეკავება მისთვის კარგად დიდ სიამოვნებაზე უარის თქმას ნიშნავდა, მაგრამ მაინც ენაზე კბილის დაჭერა ამჯობინა, რასან მოწაფედ უნდა დაუყურო, მასწავლებელზე გულს არ ავუყრიო. ბავშვის სევდიანმა გამოხედვამ ჩააგონა ეს აზრი. თვითონ ჭირვიტთ ეჯავრებოდა ეს ამპარტავანი, ბღვერია აზნაური, ბატონყმობის გაუქმებისა და უყმებოდ დარჩენის შემდეგ ხუცობას რომ მოჰკიდა ხელი. იმასაც კი ამბობდნენ, სასულიერო მთავრობაში საქმე ნაცნობობით გაჩაჩხა, მღვდლად ისე აკურთხეს, წერა-კითხვა არც კი იცოდნო. მარტო ხუცურს კითხულობდა გვაჭირვებით (სასწრაფოდ ესწავლა) და რამდენიმე ლოცვა ჰქონდა ვაზებირებულიო. უწინ რა მოხდა და როგორ, მაგის ძიებით ალექსი დიდად თავს არ იწუხებდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მღვდელს არც მერე შეუსწავლია რამე, და ბიჭსაც, ცხადია, ვერაფერს ასწავლიდა. ბიჭის მღვდელთან მიბარებას იგი თავიდანვე აღუდგა წინ, ფოთში წავიყვანოთ და ვინმე ვაჭართან დავაყენოთ, ამბობდა — წერა-კითხვასაც ისწავლის, ვაჭრობაშიც გამოიქეჩება და კაცი დადგებაო. მაგრამ თომა და დები ვერ დაითანხმა, ეს თითის სიგრძე ბალანა სახლიდან ასე შორს როგორ გავავდოთო, დაიჩემეს. მღვდელი კი ბოლოს და ბოლოს თანასოფლელი იყო და, თანაც იმდენი როგორ არ ეცოდინებოდა, ბიჭისთვის რამე ესწავლებინა; მერე ალბათ სკოლაც გაიხსენებოდა რომელიმე მეზობელ სოფელში, ან აქვე, ჩიქვეთში; ამაზე უკვე კარგა ხანია იყო ლაპარაკი, მასწავლებელი არ ჩანდა, თორემ სხვა მხრივ საქმე ასე თუ ისე უკვე გადაწყვეტილი იყო. დები თანსაკუთრებით წინააღმდეგი იყვნენ, ბიჭს ვაჭრობის მოეკიდა ხელი; ვაჭრობას თაღლითობა და გაძრომ-გამოდრომა სჭირდება, ამ ბალანას კი თვალზე ეტყობა, ასეთი საქმისთვის არ გამოდგებაო. ეგ ან მღვდელი უნდა დადგეს, ან მასწავლებელიო. მღვდლობაზე რა აზრისაც იყო ალექსი, უკვე ვიცით, მაგრამ დიდად არც მასწავლებლობა ეხატებოდა გულზე; იცნობდა ერთ-ორ სოფლის მასწავლებელს, მიმშვილთ კუჭი რომ უხმებოდათ.

მ ღ ვ დ ე ლ ი

ტყე რომ დამთავრდა, მღვდლის სახლიც გამოჩნდა. მღვდელი — ორმოცდათხუთმეტი წლის ჯანღონით სავსე ბრვე კაცი — ამ ხუთი თუ ექვსი წლის წინ საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებამდე საშუალო შეძლების აზნაური იყო. რეფორმა მაინცდამაინც ჭკუაში არ დაუჯდა, რადგან უყმებოდ ვერ წარმოედგინა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის არსებობა; მაგრამ ბოლოს და ბოლოს რუსეთის იმპერატორს იგი მთლად „ძაღლების შესაჭმელად“ არ დაუგდია, მამულები დაუტოვა და სხვა ადრინდელი პრივილეგიებიც შეუწარჩუნა. მართალია,

ყმებს გამოემშვიდობა, მაგრამ ჯერ ერთი, გაძრომდნენ მიიღო. და მეორეც, ნადელების ფულიც ბლომად დასვეტა. ვერც გლენები წავილოდნენ შორს, მაინც მის მამულში უნდა ემუშავათ — კი განთავისუფლდნენ, მაგრამ კუჭი ძველებური დარჩათ, ჰამას არ გადაჩვეულან. შინაყმების მაგივრობას კი მოჯამაგირეებიც გაუწვედნენ როგორმე. ძველი დრო, რა თქმა უნდა, სჯობდა, მაგრამ არც ახალ დროში დაიკარგებოდა კაცი, ცოტა თავს თუ გაანძრევდა. ხუცობამაც კარგი შემოსავალი მისცა ოჯახს, რაც მართალია, მართალია.

მამა არსენა თავისი ორსართულიანი სახლის ფართო აივანზე იჯდა, როცა ალექსი და მისი ძმისწული ჭიშკარს მოადგნენ.

— მამაო არსენ! — დაუძახა ალექსიმ.
 — მოდი, მოდი, — გამოეხმაურა მღვდელი, — ძაღლი დაბმულია.

ალექსიმ ჭიშკარი გააღო, ბიჭი წინ გაატარა და თვითონაც მიჰყვა. ზედ კიბესთან იწვა უზარმაზარი, ბომბორა ძაღლი; მოსულეები უგულოდ შეათვალიერა და გვერდზე გაიხედა, არ დაუყეფია, არც კი განძრეულა, თითქოს ამბობდა, თქვენისთანებს ყურადღების ღირსადაც არ ვცნობო. ალექსიმ კარგად დაათვალიერა ჯაჭვი, რომლითაც ძაღლი იყო დაბმული, მყეფარმა რომ მოინდომოს და გამოიწიოს, ხომ არ მოგვწვედება; შემდეგ ბიჭს მკლავში ხელი მოჰკიდა და ფრთხილად, ისე, რომ ძაღლისთვის თვალი არ მოუცილებია, კიბეს აყვა. „ძაღლი რაღად უნდა ამას...“ — ჩაილაპარაკა თავისთვის.

კიბე რომ აათავა და აივანზე ავიდა, პირდაპირ მამა არსენის ცხვირწინ აღმოჩნდა. მღვდელს დიდი, ბრტყელი თავი, განიერი ბეჭები, გრძელი ზედატანი და საოცრად მოკლე და პატარა ფეხები ჰქონდა, თავზე თმა გვარიანად შეთხელებოდა, ჭალარა წვერი კი ქამრამდე წვდებოდა. მაძღარ ლომს ჰგავდა. არც წამოწეულა, სკამიანად ოდნავ მობრუნდა მოსულეებისკენ.

— დილა მშვიდობისა, მამაო არსენ.
 — დილა მშვიდობისა, — ამოღერა ბიჭმაც.
 — მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, — ხრინწიანი ხმით თქვა ხუცესმა.

„ფუი ეშმაკს, — გაიფიქრა ალექსიმ, — ნამთვრალე-ვია ნამდვილად. მთელი ღამე სუფრაზე ექნება განათევი... ამის შემხედვარეს ეკლესიის გზა რომ მახსოვს, მაინც უღმერთო მქვია?“

— მოგიყვანეთ ბიჭი, მამაო არსენ.
 — ბიჭი? — გაიკვირვა ხუცესმა. — რაშია საქმე?
 — თომამ რომ გთხოვათ, მამაო, დაგავიწყდათ?
 ალექსიმ ეგნატეს მხარზე დაადო ხელი და ოდნავ წინ წამოსწია.
 — თომამ? რომელმა თომამ?
 — თომა ინგოროყვამ... ეს მისი ბიჭია, ეგნატე. ნიჭიერი ბალანაა. სწავლა უნდა ძალიან.
 — კაი, ნამეტანი...
 — ჰოდა, ქე მევიყვანე ავერ.
 — ზარმაცები რომ მეზარება, იცის მაგან?
 — იცის და მეტი არა, მამაო? მაქვია პირდაპირ.
 — რაო, რა არისო?
 — ნამეტანი მუყაითია, ბატონო, თავს იკლავს სწავლაზე.

— მარტო სწავლა არ კმარა, საქმეც უნდა უყვარდეს. — უყვარს რომელია, წუთსაც ვერ გააჩერებ უსაქმოდ.
 — დარჩეს აბა...

მღვდელმა ახლა კი აღირსა ბიჭს თავისი მზერა, ყურადღებით შეათვალიერა თავიდან ფეხებამდე.
 „მტერი არაა, ამისგან სასიკეთო კაცმა ვერაფერი ისწავლოს“, — გაიფიქრა ალექსიმ.



— მოიწი აქეთ, შვილო ჩემო.
მღვდელმა გრძელი, ბანჯგვლიანი ხელი სკამქვეშ შეყო და პატარა, სველი დოჭი გამოიღო.

— ა, გავარდი ახლა და ცივი წყალი მომიტანე, შენს გაზრდას... წყარო ეგერაა, ე, იმ თხმელების ძირში.

ბიჭმა ფუთა, რომელიც მარცხენა ხელში ეჭირა და მთელი ამ ხნის მანძილზე ზურგს უკან მალავდა, ბიძას მიაჩერა, დოჭს ხელი სტაცა და კისრისტეხით დაეშვა კიბეზე.

— ნელა, ბიჭო, არ გამიტეხო დოჭი.
„ნამთვრალევი... აბა რა წყლის სმა ატეხია ამ დილა-ადრიან“.

მღვდელი ალექსის მიუბრუნდა:
— არ დამიწყოს, იცოდე, ზოგი ყაზირალივით, ბაბა მინდა და ნენა მინდაო.

— რავე გეკადრება, მამაო, ობოლი ბიჭია, მარა კაყი ნამდვილი, მაგის წუწუნს ვერ გეიგონებ.

— ობოლი?

— დიახ, მამაო, ხუთი თვის იყო, დედა რომ მოუქვდა, არც ახსოვს.

— ხუთი თვის თუ იყო, საიდან ემახსოვრება...
— კარგად ბრძანდებოდეთ, — უთხრა ალექსიმ დუმლის შემდეგ, რაკი შეატყო, ხუცესს სათქმელი მეტი არაფერი ჰქონდა — იგი, თავის ფიქრში გართული, გვერდზე იქტირებოდა, თითქოს კიდევ დავიწყნოდა, მართო რომ არ იყო. — ეს ფუთა გამოატანა მამიდამ, აგერ დაედებ კუთხეში.

— მზითვია? — მოიხედა მღვდელმა და მოწყალედ გაიღმა. — დადე, სადაც გინდა, არ დეიკარგება.

— ხარჯს და სხვა, ტაც სჭირდება, ქე იცის მამამისმა და ამეიტანს საღამოს.

— კაი, კაი...
ალექსი ნელა დაეშვა კიბეზე. ათიოდე ნაბიჯზე რომ გამოსცილდა მღვდლის სახლ-კარს, შეჩერდა და წყაროდან მომავალ ეგნატეს დაელოდა. ბიჭი ქოშინით მობოდა წყლიანი დოჭით ხელში. ბიძასთან შეჩერდა და გალახულივით შეაჩერდა თვალებში.


— წავედი ახლა, ბიძიკო, — უთხრა ალექსიმ და თავზე დაადო ხელი. — მალ-მალე გნახავ, გული არ გეიტეხო. სახლშიც ჩამოხვალ ხანდახან. არ ვართ შორს, ქე ხელად შენც. მარა არ გამეიპარო, იცოდე. კითხე და, თუ არ გამოგიშვას, არ წამოხვიდე. ისე, ერთი შეხედვით რომ მოგეჩვენება, არ უნდა იყოს მაი ხუცესი იმფერი ვეშაპი...

ბიჭს ცრემლი მოადგა თვალებზე.
„მომკლავს ამ ბალანას ცოდვა... მე არ წამომეყვანა ქე მაინც...“

— აბა, აბა, არ დამანახო კურცხალი. ყაძახი ხარ ახლა შენ და ყოჩაღად იყავი, იცოდე.
ბიჭს შუბლზე აკოცა და გულამღვრეულმა ტყისკენ მიმავალი ბილიკისკენ დაუხვია.

პირველი გაკვეთილი

ხუცესმა დოჭი პირზე მოიყუდა. ბიჭი გამეშებული იდგა. დოჭი ბუყბუყით იცლებოდა, წყალი თქრილით დასდიოდა ჭადარა წვერზე, კისერში ეღვრებოდა, ტანსაცემს უსველებდა. ხუცესი ამას აინუნშიაც არ აგდებდა, ნეტარებით ხვნეშოდა და გამალეებული ნთქავ-



და წყალს. დაცლილი დოქი ისევ სკამქვეშ შედგა. „ახლა მივხედოთ, შვილო ჩემო, შენს საქმეს. რაფერაა მაი, შენ თვითონ ხარ მონდომებული სწავლაზე, თუ მამაშენის სურვილია მარტო?“. „მე მინდა, ბატონო, და ბაბასაც უნდა“. „აგაშენა ღმერთმა, რახან ყველას უნდა, ხელს რაღა შეგვიშლის ახლა“. მღვდელი აშკარად არ იყო გუნებაზე; თვალები ჩასისხლიანებოდა, უბეები შემუშებოდა, გამოუძინებელი, დალილი კაცის სახე ჰქონდა; დროდადრო საფეთქლებს ისრესდა. ბიჭი მონუსხულივით შეჰყურებდა თვალბეჭში. ხუცესის ცივმა, წვრილმა, წამობერილმა, ჩაწითლებულმა თვალებმა თითქოს გააბრუნა და დაარტყანა. უნდოდა გვერდზე გაეხედა, წამით იქნება სული მოეთქვა, მაგრამ ვერც ეს მოეხერხებინა. „ალარ გინდა, შვილო ჩემო, ყაძახობა, ხომ? ნასწავლი კაცი გინდა გამოხვიდე?“ ბიჭი დუმდა. ვერც კი მიმხვდარიყო კარგად, რას ეკითხებოდა ხუცესი. სიტყვები, ცხადია, ყველა გასაგები იყო, მაგრამ რატომღაც აზრისთვის თავი ვერ მოეყარა. ამის მსგავსი მის ღღერა არაფერი ღამართანია. სიზმარში თუ განუცლია, ისიც ძალზე უშვიათად, რაღაც ამგვარი; ვითომ გველი რომ დაგედევნება და გაშეშდები, გინდა იყვირო და ვერ ყვირი. მღვდელს თვალმოუკილებლად მიმტერებოდა და განძრევისაც კი ეშინოდა, ვაითუ უცებ ფეხები მომეჭრას და იატაკზე გავიშხლართო. „შენ, იქნებ ხუცობაც გინდა, შვილო ჩემო, ა? ი სემილარიებიც რომ გახსენს... მომადგა მეც ერთი პოლსაპოკიანი სემილარისტი, მარა ვასროლიე კუდით ქვა...“ ახლა წაიფიქვეო, გაიფიქრა ბიჭმა და იგრძნო, როგორ ჩამოედინა შუბლზე ოფლის ცივი წვეთი. ზურგიც დაუხველდა, ბეჭებიც. ფეხების დაძვრა მაინც ვერ გაბედა წაქცევის შიშით, მაგრამ თვლები კი მოაცილა, როგორც იქნა, ხუცესის მიწისფერ, ზეთიანივით აბზინებულ სახეს და ერთბაშად გაუარა ყველაფერმა, ერთბაშად იგრძნო შვება, თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს კოშმარული სიზმრისაგან გამოფხიზლდა და დარწმუნდა, რომ არც გველი მოსდევდა და არც არაფერი, საკუთარ ლოგინში იწვა მამიდა ნინოს გვერდით. გაიღიმა კიდევ განარბებულმა. ბიჭის ღიმილი მღვდელმა ურთიერთგაგების ნიშნად მიიღო. „ასეა, შვილო ჩემო... ისე, ერთი რამე არ უნდა დაგავიწყდეს მაინც. არა შეგდა მწყერი ხეაო... გაგიგონია იქნება, მარა შენ ვერ მიხტები ჯერ მაგას“. ერთ რამეს კი ნამდვილად ხედებოდა ბიჭი, მაშინვე მიხვდა, როგორც კი მღვდელს თვალბეჭში შეხედა, ხუცესს მაინცდამაინც არ მოსწონდა მისი განზრახვა, წიგნი ეაწავლა. რა იყო ამაში ხუცესისთვის არასასიამოვნო, ამას კი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო. „ბაბუაშენი გლეხი იყო, შვილო ჩემო, მამაშენიც გლეხია. ასეა, ხომ? არ უნდა დაგავიწყდეს მაგი. მამაშენი გურიელის ყმა იქნებოდა. წვევიდა მაგი დრო, მარა გლეხი გლეხად დარჩა, აზნაური აზნაურად, მეფე-მეფედ. ასე იყო და ასე იქნება უკუნიით უკუნისამდე. უფალმა ღმერთმა ბრძანა ასე, შვილო ჩემო,“ — ამჯერად ბიჭმა მტკიცედ გადაწყვიტა, არ გაეაწირობინა თვალბეჭი ხუცესისათვის, თუ ამას შეძლებდა, არაფერი უჭირდა, გადარჩენილი იყო მაშინ. მით უმეტეს, ამ აივნისაგან ბევრი საინტერესო რამის დანახვა შეიძლებოდა: ზევით, გორაკზე ეკლესია იდგა, ირგვლივ ტყე იყო, ქვემოთ კი სოფელი გადაშლილიყო; აქედან მდინარესაც დაინახავდი, დაბლობში გველივით რომ იკლანებოდა, მოჩანდა მდინარისპირა ჭალებიც. მთავარი იყო, ხუცესისთვის თვალბეჭში არ შეიხედა. „შენი სახელი, შვილო ჩემო? მონათლული იქნები, არ უნდა ლაპარაკი“. „ეგნატე, მამაო“ (თვალბეჭში არ უნდა შეგხედო!) „ქრისტე გაგიგონია?“ „ღიახ, მამაო, ქრისტე

ღმერთია ჩვენი“. „ქრისტეს მამა ვინ იყო?“ „მამა ღმერთი იყო ბატონო“. „ღედა?“ „ღედა?“ „ღედა?“ „იყო ღმერთი“. „ვინ იყო, შენ ის მითხარი“. „ღედა მამაო ღმერთისმშობელი იყო“. „იოანე თუ გაგიგონია, შენ, ნათლისმცემელი?“ „კი გაგიგონია, მამაო, ხალხს ნათლავდა ქრისტიანულად. ქრისტე მან მონათლა პირველად“. „ყოჩაღ, ყოჩაღ, შენ ბევრი რამ გცოდნია. ვინ გასწავლა, მამაშენმა?“ „არა, მამაო, მამიდამ გასწავლა“. „ვინ?“ „მამიდა ნინომ“. „შენ ისიც გაგიგონია ალბათ, ქრისტე ჯვარს რომ აცვეს“. „რაფა არა, მამაო“. „ვინ ქნა მერე მაი შავი საქმე?“ „ურთებმა, მამაო“. „თვითონ სადაური კაცი იყო?“ „ვინ, მამაო?“ „ქრისტე“, „ქრისტე ხომ ღმერთი იყო, მამაო, ციდან იყო ჩამოსული“. „ბიჭო, ციდან თუ იყო ჩამოსული, მარიამი საიდან იყო მისი ღედა, ამიხსენი ერთი.“ ბიჭი გაჩუმდა. ჯიუტად იცქირებოდა გვერდზე, დაფიცებული ჰქონდა, კისერი სულაც რომ მომებრიცოს, მღვდელს თვალბეჭში არ შევხედავო. მაინც როგორ მოხდა, რომ ქრისტე ციდან ჩამოვიდა, მარიამი კი მისი ღედა იყო და მიწაზე ცხოვრობდა? ნეტა რატომ არ აუხსნა მამიდამ? უცებ ხუცესმა გადაიხარხარა. შეშინებულმა ბიჭმა წამით გატეხა თავისი ფიცი და მხერა ხუცესის წვრილი თვალბეჭსაკენ გაექცა. მაშინვე დაეხეა თავბრუ, მაგრამ დროზე უშველა თავს: თვალბეჭი მაგრად დახუჭა, თითქოს ნაცარი შეაყარესო, მერე კი ზემოთ მალა სულ მალა, გორაკებსა და ტყეებს ზემოთ მთებს მიაპყრო თვალს.

— ყოჩაღ შენ, ყოჩაღ! მართლა ჰკვიანი ბიჭი ყოფილხარ. აბა, გავარდი ახლა. კიდევ მომიტანე ერთი დოქი წყალი, — მღვდელმა სკამქვეშ შეყო ხელი, დოქი გამოიღო და ბიჭს მიაწოდა.

ბიჭმა რამდენიმე წუთში მოარბენინა წყალი. ხუცესმა სულმოუთქმელად დაცალა ისიც, მერე ფეხზე წამოდგა, ბიჭს მკლავში მოვიდა ხელი და ეკლესიის მარცხნივ ტყისპირა მღელი დანახვა.

— საქონელს ხედავ იქ?
— კი, მამაო. ვხედავ.

— კაცსაც ხედავ იქ ალბათ... ხომ? ის კაცი ჩემი მწყემსია. საქონელს მწყემსავს წადი. შენ დარჩი მის მაგივრად ის კაცი გამოუშვი, გეძახის თქვა ჩემზე უთხარი. ამ წუთში აქ გაჩნდე. საქონელი ტყეში თუ შეკიდეს, აცალე, ხეკერი ჰამოს. აბა ბალახი სადაა ჯერ იმდენი, რომ ეყოს. მარა ხეტიალი და უაზროდ სირბილი თუ დეიწყონ ტყეში, გამოდენე. არ გააჩერო იქ შუადღისკენ კი აქეთ, წყაროსკენ გამორეკე. შენი ძნითი იქ დევს ე, კუთხეში, წვიდე თუ გინდა...“

ახალი ცხოვრება

დასაძინებლად რომ დაწვა და ძველისძველი, ათასგან დაკერებული საბანი თავზე წაიხურა, ბიჭი დაფიქრდა, შეეცადა გაეაზრებინა ღღეს მოხდარი ამბები. საოცარია. ნუთუ ერთ ღღეს მოხდა ყველაფერი ეს? ამაოდ ცდილობდა დღევანდელი ღღის ყოველი წვრილმანი აღედგინა და ერთმანეთთან დაეკავშირებინა ხან ერთი რამ გამორჩებოდა, ხან მეორე. ეს ეოთი ღღე ერთ ღღეს სულაც არ ჰგავდა. თითქოს რამდენიმე ღღე იყო ერთმანეთში შეჭყლული და არეულდარეული. ღმერთო, რამდენი ხანი გავიდა, რაც შინიდან წამოვიდა. რამდენი ხანია, მამიდები არ უნახავს...

საწოლზე მოიკუნტა, ბურთივით დამრგვალდა და ისედაც პატარა ტანის ბიჭი სულ დაპატარავდა, ნამცეცად იქცა. მაგრად გაეხედა თხელ საბანში. კაცმა რომ თქვას, არც შინ ჰქონდა უკეთესი საწოლი. მათი

პატარა ქოხიკი თითქმის ასეთივე იყო, თუ უარესი არა: ჭვარტლისაგან მთლად გაშვებული ისლის სახურავი, ბრტყელი საწოლები სამივე კედლის გასწვრივ უსწორმასწორო ძელებით სახელდახელოდ შექცედილი, ჭვარტლიანი, ფარღალა კედლები; კართან, პატარა თაროზე ჭვარტლისაგან გაშვებული ჭრაქი. დღეს პირველად იძინებდა ბიჭი მამაკაცებთან ქოხში. შინ სულ მამილებთან იძინებდა, მამიდა ნინოს გვერდით. თუმცა ძალიან უნდოდა მამაკაცების ქოხში დაძინება, მაშასთან და ალექსი ბიძისთან. ის ქოხიკი იქვე იდგა, ორ ნაბიჯზე, წნული, ტალახით შეღვსილი კედლები ჰქონდა (ფიცარი არ იყო ადვილი საშოვარი); ზამთარში ამ ქოხში უფრო აღწევდა ქარი და სუსხი (თუმცა ზამთარში არც ქალების ქოხში იყო სამოთხე). მამაკაცებს არასდროს არ ჰქონდათ იქ წესრიგი. რამდენიც არ უნდა ელაგებინათ ქალებს, მაინც მაშინვე მიხვდებოდით, რომ ამ ქოხში მამაკაცები იძინებდნენ. ზამთრობით კარგა გვიან ღამემდე არ წვებოდნენ ხოლმე, ხმამალა ლაპარაკობდნენ, კამათობდნენ. ზოგჯერ ვინმე მეზობელი კაცი შემოუერთდებოდათ, და მაშინ მთავრად იხაბელა სვამდნენ. ბიჭს იქით მიუწევდა გული, უხეში და მოუწესრიგებული მამაკაცური ქოხისაკენ. აქ მეტი სითბო და სისუფთავე იყო, იქ კი ციოდა, იქ ხმაური იყო და მაინც იქით მიუწევდა გული. მამილები არ უშვებდნენ, ჯერ პატარა ხარ, იმათთან რა გავაძლებინებო. ეს კაცებიც რაღაცით ძალიან ჰვადნენ მამასა და ბიძას. თამბაქოს ახრჩოლებდნენ და ხმამალა ლაპარაკობდნენ. ბიჭი არ იყო მიჩვეული ასეთ ხმაურს და ძილი გაუფრთხა. შუა მარტი იყო, საკმაოდ ამთბარიყო. ცეცხლი მაინც გაჩაღეს კაცებმა, თუმცა არ ციოდა; სანამ ცეცხლს დაანთებდნენ, თავს ისე გრძობდნენ, თითქოს რაღაც აკლდათ ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი, რის გარეშეც არაფრით არ დაეძინებოდათ. მერე უცებ მოაგონდათ: ცეცხლი. ეს ზამთრის ნერკია იყო. მთელი არსებით მიჩვეულიყვნენ ცეცხლს. ტყე აქვე იყო, ორ ნაბიჯზე, შეშას, უხალია, თვითონ ეზიდებოდნენ იქიდან და მღვდელს უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, რა დროს ცეცხლიაო. ზიდონ შეშა და ანთონ, თუ ძალიან უნდათ. კაცები შიშველ ფეხებსა და ხელებს ცეცხლს უშვებდნენ და თამბაქოს ახრჩოლებდნენ. კართან ნავთის ჭრაქი ბოლავდა. ამის დანახვა კი ნამდვილად არ გაუხარდებოდა ხუცესს. ნავთის ფულს მოჭამაგირეები არ იხდიდნენ, ეძუქრებოდა კი, თუ არ დაზოგავთ ნავთს. ჯამაგირში გამოგებრითო მის საფასურს. ენთოს ჯერ. ეს ესაა დაღამდა. მალე ჩააქრობენ, რად უნდათ, ამ ქოხში არაფერია დასანახავი...

„ჩვენ ჯამაგირზე მაინც ვართ, — ამბობდა ერთი. — ამ ყაზილარს კი მთლად მუქთად ხედნის“. „არ ყავს ნეტა პატრონი ამ საცოდავს?“ „მაგი მოწაფეა მისი“. „რის მოწაფე! დღეს დილიდან საღამომდე საქონელს ამწყემსინებდა“. „შენ აღარ მწყემსავ?“ „რახან მუქთი მწყემსი იშოვნა, მე მაგ საქმეზე რაღას დამაკლენს, ააბარაზე მიმავინა“. „დღეიდან შეითქვამ აბა პაწა აუღს“. — გაიცინა მესამემ. „მასხრობ შენ და ამომიღებები ზვალიდან მხარში. ასე თქვა, ზვალიდან მარტო არ იქნებიო“. „ვიციოთ, ვიციოთ...“ „ეტყობა, მის დღეში არ მოხვედრია იმ მიწას ბარი“. „რის ბარი, ტყე იყო მანდ, ჩვენი გამოკაფულია“. „სანამ თესვა არ დაიწყება, სულს ამოგვადრობს იმ ფესვების ამოძირკვანზე“. „ესეც საყანედ უნდა?“ „არა, ვაშლის ბალი უნდა გავაშენოთ“. „ვაშლის ბალი?“ „ჰო, ვილაკ ქართლელი აზნაური დაპირებია ნერგებს“. „მერე გაიხარებს აქ იქაური ნერგები?“ „თავს არ ჯიცოცხლებ, თუ არ ვაიხარებს“. „მავას რომ მოვრჩებით, მერე სავენახის გამო-

კაფვა და გადაბარვა აქვს გუნებაში“. „მაგის ხელში რთი მასეთ სიამოვნებას არ მოგვაცლებს“.

მოწაფის მუყაითობით მასწავლებელი მეტად კმაყოფილი იყო. ბიჭმა უმოკლეს დროში ისწავლა ოთხი ლოცვა, ჩამოგითვლიდათ ოთხივე სახარების ავტორებს, ქრისტეს თორმეტივე მოციქულის სახელებიც კი იცოდა (მღვდელსაც კი უჭირდა მათი ჩამოთვლა წიგნში ჩაუხედავად). თუ კი რამეს მღვდელი უამბობდა, ან წაუკითხავდა (თუმცა, ეს ბიჭმაც მალე შეატყო, კითხვა ხუცესს ძალიან უჭირდა და შეძლებისდაგვარად თავსაც არიდებდა ამ უსიამოვნო საქმეს), თავის დღეში არ ავიწყდებოდა. ამ ბიჭს საკვირველი მეხსიერება აქვსო, არაფრთხელ უთქვამს ხუცესს, გლეხისთვის არამია, ასეთი ნიჭი აზნაურსა და თავადის შვილს ეკადრებაო. დამჯერე იყო, საქმის ერთგული და შრომისმოყვარე; რომ მოგეკლა, საქმეს ცუდად და ორგულად ვერ გააკეთებინებდი, ქებაზე საერთოდ ძუნწი კაცი იყო ხუცესი, ეგნატეს კი არცთუ იშვიათად აქებდა სხვა მოჭამაგირეებისა და შინამოსამსახურეების გასაგონად, ზოგჯერ ოჯახის წევრების საყურადღებოდაც შეაქებდა ბიჭს და ამ დროს ეგნატემ არ იცოდა, სად და მალადა ხუცის ნაშიერთა მძულვარე თვალეებს. ბოლოს და ბოლოს ბიჭმა თავისი სანიმუშო თვალეითა და მუყაითობით იმას მიაღწია; რომ მღვდელმა თხოვნა შეუსრულა და ორიოდ დღით შინ გაუშვა. გახარებულმა ბიჭმა თითქმის სულმოუთქმელად ჩამოიბრინა სახლში. სამიოდე კვირა კი არა, ეგონა, სამი წელი არ ყოფილიყო შინ. ეზოში დარბოდა, მღეროდა, ხტუნავდა, კეკავდა. ერთი სიტყვით, დიდი ზეიმი და სიხარული ჰქონდა. მამილებს სხაპასხუბით ჩამოუთვალა ქრისტეს თორმეტივე მოციქული, უამბო, რა ვერაგულად მოაკვლევინა ჰეროდე მეფის ცოლმა იოანე ნათლისმცემელი, როგორ დააპურა ქრისტემ ხუთი პურითა და ორი თევზით ხუთი ათასი დამშეული და სხვა. შემდეგ ახლომახლო მეზობლებიც შემოიბრინა. დიდი და პატარა აღტაცებას გამოთქვამდა, ეს რა ნიჭიერი ბიჭი ყოფილა, რამდენი რამ უსწავლიაო. ხუცესთან ნასწავლი ოთხი ლოცვა რომ ჩამოარაკრავა, მთლად გადაირია ყველა. ეგ უკვე მღვდელია და ეგ არი, — იკბინებოდა ბიძა ალექსი, — ამდენი ხუცესსაც არ ეცოდინებო. თუ არ იცის, ბიჭს საიდანა და ასწავლაო, იცავდა მასწავლებელს მამიდა ნინო. ბოლოს და ბოლოს ის დღეც ჩაილია, მეორე დღეს კი ბიჭის დაყინებული თხოვნით ახალგაზომი ქვარი ხუცესი მამამ და ბიძამ სუფისს პირას ყანაში წაიყვანეს. თესვას იწყებდნენ იმ დღეს.





პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი ნათელა ფაიროძე

პიონერული აქტივი მოაქვს, მოაქვს

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაცია თავისი 60 წლისთავის შესახვედრად ემზადება. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიონერის მთავარ შრომას — სწავლას, ბრძოლას ცოდნის მაღალი ხარისხისათვის, რათა რაზმში არც ერთი ჩამორჩენილი არ იყოს. პიონერულმა აქტივმა მაგალითი უნდა უჩვენოს დანარჩენთ, აქტიური მონაწილეობა მიიღოს პიონერულ შრომით საქმეებში, იყოჩაღოს რაზმების პიონერთა საკავშირო მარშში, ზრუნვა არ მოაკლოს ოქტომბრელებს — პიონერთა მომავალ ცვლას, ამასთან ერთად ემზადოს ლენინური კომკავშირის რიგებში შესასვლელად.

პიონერთა ორგანიზაციის 60 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობის დროს აუცილებელია გადაშალოთ საკუთარი რაზმეულის ბიოგრაფიის ფურცლები, შექმნათ პიონერთა ორგანიზაციის კუთხეები, ოთახები, მუზეუმები, ჩაწეროთ სტრუქტურები იმის შესახებ, თუ 80-იანი წლების პიონერები როგორ განაგრძობთ პიონერთა თაობების ესტაფეტას; თქვენ ალბათ გახსოვთ ეს სიტყვები, იგი პიონერთა VIII საკავშირო შეკრების მიმართვიდან არის ამოღებული და პირველად შეკრების დღეებში მოისმინეთ.

გახსოვდეთ, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ისტორია განუყოფელია ჩვენი სამშობლოს, პარტიის, კომკავშირის ისტორიისაგან. მასალების მოძიების დროს ამასაც მიაქციეთ ყურადღება. ეცადეთ ისე გააკეთოთ, რომ თითოეულ რაზმს ჰქონდეს თავისი თემა, თავისი ძიების მიმართულება — მაშინ რაზმეული მთლიანად მიიღებს მასალებს რაზმეულის, თავისი სოფლის, რაიონის, ქალაქის პიონერთა ორგანიზაციის შესახებ, საძიებო ოპერაციებს მთელი სასწავლო წლის მანძილზე წარმართავთ. ხოლო საძიებო მუშაობის შედეგები საზეიმო შეკრებებზე, პიონერთა ორგანიზაციის 1982 წლის 19 მაისს, 60 წლისთავის ზეიმზე გამოჩნდება რაზმეულის სტენდებზე, გამოფენებზე, ვიტრინებზე.

პიონერული რაზმეულის ისტორია, რაიონის, ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციის ისტორია, — ყველაფერი უნდა შეისწავლონ პიონერებმა. მასალებს წითელკვალმადიებლები აგროვებენ, მაგრამ ეს შეუძლია გააკეთოს მთელმა რაზმმა ან რგოლმა, პიონერთა ჯგუფმა, რომელთაც ერთი საერთო საძიებო ინტერესი აერთიანებთ. მაგრამ ამ შემთხვევაში რაზმის საბჭო აუცილებლად მოიფიქრებს რო-



ქალაქში უნდა ხდებოდეს კაცობრივობა

ინდოეთში ბლომად არის აღრიცხული კაციკამია ვეფხვებთან დაკავშირებული ტრადიციული შემთხვევები. აქამდე ეგონათ, რომ ადამიანს მხოლოდ ის მხეცები ესმიან თავს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის, მაგალითად, ავადმყოფობის, განეიბრების ან სიბერის გამო არ ძალუბთ ჯუნგლებში იშვონ ტრადიციული ხაკილო. მაგრამ, როგორც გარეული ცხრკვლეების დაცვის საერთაშორისო ფონდის მიერ ამას წინათ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, ვეფხვებს კაციკამიას უნდა უფრო მეტი ყურადღება იქნებოდათ. ამ წყურვილს იწვევს ქიმიური პროცესები, რომლებიც მხეც მარლიან

წყლის დაღვების შემდეგ ეწყება ორგანიზმში. ადამიანის რბილი ქსოვილები კი ხელს უწყობს ამ პროცესების შეწყვეტას. რათა შემცირდეს ადამიანთა მხეცერობა, რომელიც წელიწადში 40 კაცს აღწევს, იმ რაიონების ტყეებში, სადაც ვეფხვების თავდასხმა ხდება ხოლმე, დაიწყეს სახელი წყლის დიდი რეზერვუარების მშენებლობა.

გეოლოგებს ეხმარებიან ხეები


ხეთა ფოთლების გამოსხივებაზე დაკვირვება გეოლოგებს დაეხმარება სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენაში. საქმე ის არის, რომ ამა თუ იმ სახადოს თავზე ნიადაგში უოველთვის არის მინერალების ერთგვარი რაოდენობა. ხის მიერ შეწოვილი მინერალების ელემენტები გავლენას ახდენენ ფოთლებში ქლოროფილის შემადგენლობაზე და მათ მიერ გამოსხივებული სინათლის სპექტრზე. ამერიკელმა სწავლულებმა გამოიკვინეს ხელსაწყო, რომელიც თვითმფრინავში თავსდება და ხეთა კენწერობებს მიერ გამოსხივებული სინათლის სპექტრულ ანალიზს აწარმოებს.

შემოსხმები

დასავლეთ გერმანიაში მძღოლები თავგანაზრებულად პრიან — მათ გამოუჩინდნ მტე-

რი, რომელიც ხვრეტს ავტომობილის სალტეებს, რადიატორებიდან გლეჯს შლანგებს, იტაცებს საქარე მინის მწველავ მოწყობილობას. ავტომობილიზმის ახალმოვლენილი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა... ენოტი. ოდეს-ღაც ეს ცხოველი დასავლეთ გერმანიაში შეიყვანეს, როგორც სანადირო ობიექტი, მაგრამ, ახლა ამ ქვეყნის ტყეებსა და ჭაღებში უკვე 150 ათასი ენოტი დამრწის. ბოლოხანს მათ რატომღაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს რეზინისა და პლასტიკატისადმი. ენოტების წინააღმდეგ მასობრივი კამპანიის დაწყებას ვერავინ ბედავს, რადგან შიშობენ პირისპირ არ შეეჩახონ ცხოველთა დაცვის საზოგადოებას. სადაზღვევო ფირმები უარს აცხადებენ ზარალის ანაზღაურებაზე — მანქანებზე ენოტების თავდასხმას ისინი „ბუნების თამაშად“ ფვლიან.

ქალაქმა ფრანკფურტმა ბრძოლა გამოუცხადა ეგზოტიკურ ფაუნის კიდევ ერთ წარმომადგენელს — კუს. ქალაქის ბაღები და სკვერები გაივსო ქავშიანი ქვემარობების ურდოებით, რომლებიც ოფლავენ და ნოქავენ უკავილებს. ბუჩქებს ფიქრობენ, რომ კუთა შემოხვევას ხათვე დაუდებს. ცხოველთა მოყვარულებმა ისინი მოზუნებულ კუს ორანჟერეაში უკრაცდნენ ზოლმე თავს, სადაც ამ ცხოველებს თბილი კლიმატი მოეწონათ და მჭარად გამრავლდნენ



გორ ჩატარდება დანარჩენი ოპერაციები; მაგალითად, ნორჩ ნატურალისტებს შეუძლიათ აღრე მოამზადონ პიონერული დიდების ამსახველი მუზეუმების „მწვანე გაფორმება“, მოამზადონ სათბური ყვავილებისათვის, ნერგები პიონერული დიდების მომავალი ხეივანის, სკვერის გასაშენებლად; ნორჩი ტექნიკოსები მომავალი გამოფენის მოწყობას ნორჩ მხატვრებთან ერთად ივალდებულენ, ნორჩი ფილატელისტები მარკების გამოფენას მოაწყობენ. ასე რომ, თუ აქტივი გაუძღვება, საქმე ყველასათვის გამოჩნდება. საძიებო მუშაობაში პირველი სიტყვა წითელკვამლამიებლებს ეკუთვნით. პიონერთა რაზმების ისტორია — აი, რა უნდა გაიგონ მათ, მოძებნონ, გაიგონ, როდის შეიქმნა ასეთი რაზმები თითოეულის მშობლიურ მხარეში? როგორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ ამის შესახებ პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები? ვინ იყო პირველი პიონერი, პიონერებელმძღვანელი თქვენს სკოლაში, სოფელში? იცნობთ პიონერული მოძრაობის ორგანიზატორებს — კომუნისტებსა და კომკავშირელებს? როგორ წარიმართა მათი ბედი?

1922 წელს სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება საკავ-

შირო პიონერთა ორგანიზაციის შექმნის შესახებ. თქვენთვის ცნობილია ამ მოვლენის მონაწილე დელეგატების გვარები? მოიკვლიეთ, ვისთან ინახება პირველი პიონერული გაზეთებისა და ჟურნალების ნომრები?

1929 წელს მოსკოვში პიონერთა I საკავშირო შეკრება გაიმართა, 1981 წელს — VIII; მოაწყეთ პიონერთა შეხვედრები პიონერული მოძრაობის ვეტერანებთან, რომლებიც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას კოლექტივიზაციის ჩატარებაში ეხმარებოდნენ, იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, დაიპყრეს ყამირი; ასეთ შეხვედრებზე შეკრებილი მასალები ფასდაუდებელი იქნება პიონერული დიდების მატანისათვის. გაიგეთ, სხვადასხვა თაობის პიონერები თავისი ცხოვრებით როგორ ასრულებდნენ პიონერთა საზეიმო დაპირებას, ლენინის ანდერძს, რაზედ უნდა მოიწვიეთ ვეტერანთა რაზმები, რომლებსაც ძიების დროს შეხვდებით. გასსოვდეთ: მოსაუბრესთან შეკითხვის, საუბრის დროს იყავით გულისხმიერი. თქვენს მიერ შეგროვილი დღიურები, მატანის ფურცლები ადამიანისათვის განვლილი ცხოვრების ნაწილია, თავისი სიხარულით, მწუხარებით, ბედნიერი შეხვედრებით თუ ტკივილებით. ურჩიეთ პიონერებს, რომ საძიებო


მუშაობა საკუთარი ოჯახიდან დაიწყონ: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, უმცროსი ძმები და დები — ესენიც ნორჩ ლენინელთა ორგანიზაციის აღზრდილები, სხვადასხვა თაობის პიონერები არიან.

პიონერთა VIII საკავშირო შეკრების საპასუხოდ პიონერთა ორგანიზაციის საიუბილეოდ წამოწყებული ყველა საინტერესო საქმის წარმატება თითოეულის მონაწილეობაზეა დამოკიდებული.

სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს. თითოეულ პიონერულ რაზმს — დამკვრელური საქმე, თითოეულ პიონერს — შრომითი დავალება! — ითქვა სექტემბრის თვეში თბილისში გამართულ პიონერმუშაკთა რესპუბლიკურ კრებაზე. ამ დიდი მოვალეობის შესრულებაში ნორჩ ლენინელებს აქტივი უნდა გაუძღვეს. ამიტომ აქტივი მუდამ მოქმედებს, ეძიებს, ეხმარება თითოეულს და გონივრულად წარმართავს პიონერული კოლექტივის ცხოვრებას.

„კოცონი“ ელოდება თქვენს წერილებს: როგორ მიმდინარეობს პიონერთა იუბილისათვის მზადება? რა გაკეთდა? დახმარება, რჩევა ხომ არ გჭირდებათ? გვიამბეთ, როგორი ხელდამშვენებული შეხვდებით 1982 წლის 19 მაისს.

— ესენი კალიებზე უარსნი არიან, — გაიხიზნა ქალაქის ხელოსუფლების წარმომადგენლები, — ერთი დაქვრილი კუს ადგილას ნახევარ დუფინამდე ახალი კუ ჩნდება!



რატომ ამოწყდნენ დინოზავრები?

ორას წელზე მეტია, მთელი მსოფლიოს მეცნიერებს აინტერესებთ, რამ გამოიწვია წინაისტორიული ცხოველების — დინოზავრების გადაშენება. ამასწინათ ავსტრალიელმა მეცნიერმა, პროფესორმა ანტონ პრაინინგერმა წარმოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც გიგანტური ქვეწარმავლების ამოწყდომის მიზეზი გამხდარა დედამიწის

შეჭახება ასტეროიდთან ჩნ მილიონი წლის წინათ. დაჯახების შედეგად ატმოსფეროს ზედა ფენები გაჭერდა მატერიის უზარმაზარი რაოდენობით, რამაც მკვეთრად შეამცირა მზის სხივების მოღწევა ჩვენი პლანეტის ზედაპირამდე. უმზეობის შედეგად ილუპებოდა მცენარეულობა, და, მასასადაჟე, იხოცებოდნენ ის ცხოველებიც, რომლებიც მცენარეულობით იკვებებოდნენ, მათ შორის — დინოზავრებიც.


დასცხმთ... ქველი!

გამხმარ, გაქვავებულ ყველთან არაერთი კურიოზული ამბავია დაკავშირებული. მაგალითად, ფრანკფურტის მახლობლად გზატკეცილზე ფურგონიდან ჰმ-კილოგრამიანი გაქვავებული ყველი გადმოვარდა და... კვალდაკვალ მომავალი ავტომობილი ჩაქუციტა. შეშინებულმა მძღოლმა ძლივს მოასწრო კაბინიდან გადმოხტომა. ინდონეზიის ერთ ქალაქში აჯანყებულმა ხალხმა პოლიციას გამხმარი ყველი დაუშინა. წესრიგის დამცველები იშულებული გახდნენ უჟან დაეხიზათ.

მაგრამ ყველაზე საოცარი, თითქმის დაუჭერებელი ამბავი დატრიალდა ურუგვაის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს. მას შემდეგ, რაც ეს ქვეყანა ბრაზილიამ ძალით შეიერთა 1821 წელს... მიმდინარეობდა სახ-

ღვაო ორთაბრძოლა. ურუგვაელთა ხომალდზე სახსებით გამოილია ზარბაზნის ყუმბარები. სამაგიეროდ ტრიუმფში ბლომად ეწყო ყუმბარისხელა და საკმაოდ მიმე ყველი.

ზარბაზნები ამ ყველით დატენეს და გაიხმა კომანდა: „ცეცხლი!“ პირველმა ბათქმა ნაფოტებად აქცია ბრაზილიელთა ფლაგმანის მთავარი ანძა, მეორე ბათქის შემდეგ ფლაგმანზე მებრძოლთა რიგები სერიოზულად შეთხელდა. მესამე ბათქი უკვე გაქცეულებს დაადევნეს: დამპყრობელთა ესკადრა კულამოძუებული გაეცალა ბრძოლის ველს.



გაგათი

მოთხრობა

იმ ოთხშაბათს მე და რეინი ვმო-რიგობდით. დიდ დასვენებაზე, რო-დესაც უმეტესობა შინიდან მოტა-ნილ საუზმეს შეექცეოდა, მარეს მე-რხთან ექვს-შვიდ გოგონას მოეყარა თავი. ისინი შეწუხებული უყუებ-დნენ, როგორ იღებდა მარე ჩანთი-დან თავის ავლადილებას: სახელ-მძღვანელოებს, რვეულებს, საკალ-მეს, „ტომ სოიერს“, საფარგლეს, თვით სავარცხელსა და ცხვირსახოც-საც კი. მერე დაცარიელებული ჩან-თა გადმოაპირქვეავა, დაბერტყა, კი-დევ ჩაიხედა შიგ, ხელითაც მოსინჯა და წარმოთქვა:

— არ არის.

— დაწმუნებული ხარ, რომ ჩან-თაში გქონდა? — ჰკითხა ვირვემ.

— რა თქმა უნდა, ამ დილით მო-მცა დედამ და ჩავდე.

— საკვირველია, — შენიშნა ჩვენ-მა ჯგუფებელმა ურვემ, — ნემსი ხომ არ არის, ასე უბრალოდ დაიკარგოს. იქნებ პალტოს ჯიბეში შეინახე?

— არა, ჩანთაში ჩავდე, აი აქ, ამ პატარა ჯიბეში...

— კარგად გახსოვს?

— კარგად! აი, სწორედ ამ ჯიბეში.

— ყოველი შემთხვევისათვის, წა-ვიღეთ, ვნახოთ, იქნებ პალტოს ჯი-ბეში გაქვს, — თქვა ურვემ.

გოგონებმა გასახდელს მიაშურეს, მაგრამ ხუთ წუთში ისევ უკან მობ-რუნდნენ.

— მე ხომ გითხარი, ჩანთაში ჩავდე-მეთქი, — განაცხადა მარემ, — იქნებ დიდ განყოფილებაში, მა-გრამ კარგად მახსოვს, რომ ჩავდე. და იგი კვლავ შეუღდა ძებნას — ჩანთაში, მერხში, იატაკზე.

— მოდი, ვნახოთ, რა დაეკარგა მარეს, — ვუთხარი რეინს.

ჩემმა თანამერხელმა ხელი ჩაიქ-ნია:

— არ იცი გოგონების ამბავი? კი-დევ კარგი, თავი არ დარჩა სახლში.

მე მაინც მივედი. გოგონებთან. რა-ზმის საბჭოს თავმჯდომარე ხელ-ღურიც იქ იდგა, მარეს მერხთან. ხელღურის გარდა, კიდევ რამდენიმე ბიჭი იყო.

გოგონები თითქოს მე მელოდნენო, — შენ ხომ არ წაწყდომიხარ მანე-თიანსო? — მკითხეს მაშინვე.

არა-მეთქი.

— მაშ ვინ იყო წინა შესვენება-ზე კლასში? — მკითხა ვირვემ.

— მე და რეინი, სხვა არავინ არ ყოფილა.

— მთელ შესვენებაზე მარტო თქვენ ორნი იყავით?

მეხსიერება დავძაბე. მართლაც, მხოლოდ ერთხელ გავვედი გარეთ და მაშინ რეინი დარჩა საკლასო ოთახ-ში.

ასეც ვუთხარი გოგონებს.

ისინი ახლა ჩემს თანამერხელს მიუბრუნდნენ და დაუძახეს. ისიც ნელა წამოვიდა და მერხისგან რამ-დენიმე ნაბიჯზე შეჩერდა.

— აბა?

— შენ თუ იცი რამე მარეს მანე-თიანის შესახებ? — შეეკითხა ვირ-ვემ.

— ვიცი... — ნელა უბასუხა რეინმა.

ყველამ ამოვისუნთქეთ, თითქოს გულიდან მძიმე ლოდი მოგვეხსნათ.

— აბა თქვი, რა იცი? — ბრძანა ვირვემ.

— ვიცი, რომ მანეთიანი დაი-კარგა.

— კიდევ რა იცი?

— ის, რომ ახლა იმ მანეთიანს ეძებთ, — დაუმატა რეინმა.

— მერე, სად არის? — შეეკითხა ვირვემ, — შენთან?

რეინმა ორივე ხელი გამოიშვირა. ხელისგულები ცარიელი იყო.

— ჩერჩეტო, — უყვირა ვირვემ.

— მაშასადამე, შენ ეგ ფული არ გი-ნახავს?

— ეგ არა, მაგრამ, საერთოდ, მა-ნეთიანები მინახავს.

ვირვემ ენა გამოუყო და ზურგი შეაქცია.

— აბა, შეიძლება ამასთან ლაპა-რაკი?!

მარე წინანდებურად ქეჩავდა თა-ვის ნივთებს, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს ზარიც დაირეკა და გოგონა თავისი წიგნების და რვეულების ჩანთაში ჩალაგებას შეუღდა.

ჩვენს საკლასო ოთახში ვინმეს რამე დაკარგვოდა? ამის წარმოდ-გენაც კი ძნელი იყო. ყოფილა შემ-თხვევა, როცა ვინმე სათლელს ან სა-შლელს ეძებდა და მერე აუცილებ-ლად იპოვნიდა იატაკზე დავარდ-ნილს, ან ჯიბეში თუ სხვა ადგილას შენახულს. ფული კი აქამდე არავის არ დაკარგვოდა, თუ არ ჩავთვლით ხურდა ფულს, რომელიც შემდეგ უსათუოდ აღმოჩნდებოდა ხოლმე ჯიბის ნაკეცებში.

მარეს კი მანეთიანი დაეკარგა, თა-ნაც ლითონის კი არა, ქალღმრთის მანეთიანი. ფული დილით მისცა დე-დამ აკვარელის საღებავებისათვის, მესამე გაკვეთილის შემდეგ კი უკვე აღარ ჩანდა.

— რა თქმა უნდა, ამ მანეთიანის და-კარგვაზე იყო ლაპარაკი მეორე დღე-საც; კლასის ხელმძღვანელმაც გა-იგო ეს ამბავი და მოსწავლეების ახ-სნა-განმარტების მოსმენის შემდეგ განაცხადა:

— მე არ მინდა დავიჯერო, რომ რომელიმე თქვენგანმა აიღო მარეს ფული, მაგრამ თუ ეს მოხდა, მაშინ ვინც ეს ჩაიღინა, კარგად დაფიქრ-დეს — ნუთუ მისი სინდისი მანეთზე მეტი არა ღირს, რომ ის ასე იაფად გაყიდოს! რა თქმა უნდა... თუ კი სა-ერთოდ შეიძლება სინდისი მანეთო-ბით შეფასდეს.

ყველამ რატომღაც რეინისაკენ გაიხედა, კლასის დამრიგებელმაც. ჩემი თანამერხელი წამოიწია, გა-წითლდა, თვალები დახარა და გა-ყუჩდა.

შესვენებაზეც ყველა განაგრძობ-და დაკარგულ მანეთზე ლაპარაკს. ვილაც ამტკიცებდა, გუშინ რეინი მა-ლაზიაში იყო, ნახევარი კილო ირისი იყიდა და მანეთი გადაიხადაო. ერთ-ბაშად ნახევარი კილო კამფეტის ყიდვა — ასეთი რამე ყოველდღე არ ხდება!

სხვები — განსაკუთრებით გოგო-ნები — ისევ და ისევ იხსენებდნენ, თუ რა ქედმაღლურად ეჭირა თავი რეინს გუშინ. მან იცის ამ მანეთია-ნის შესახებ, იცის, რომ ის... დაი-კარგა და კიდევ იცის, რომ სხვები ამ ფულს ეძებენ, ესაა და ეს.

ყველა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გუშინდელ მორიგეებს, უკიდუ-რეს შემთხვევაში ერთ-ერთს მაინც, ესე იგი ან მე და ან რეინს აუცილებ-ლად უნდა გვეცოდნოდა რამე ამ საქ-მის შესახებ. თითქოს მორიგის უპ-ირველესი მოვალეობა ის იყოს, კლასში არაფერი არ დაიკარგოს და უცხო არავინ არ შემოვიდეს. მე და რეინი კი განვაგრძობდით მტკიცებას, რომ შესვენებაზე კლასში ჩვენს მე-ტი არავინ არ ყოფილა.

ამგვარად, ყველას შეეძლო მხო-ლოდ ჩემზე და რეინზე მოეტანა ეჭვი, ოღონდ, რა თქმა უნდა, მხო-ლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქურდო-ბა ნამდვილად მოხდა. მაგრამ, აბა,

სხვა რა უნდა ყოფილიყო? ფული, განსაკუთრებით ქალაქისა, თვითონ ხომ ვერ ამოხტებოდა ჩანთიდან.

ჩემს სასარგებლოდ ასე თუ ისე მაინც არსებობდა ალიბი, როგორც ამას სასამართლოში უწოდებენ: მე კლასში არც ერთი წუთი მარტო არ დავრჩენილვარ. რეინი კი დარჩა.

ამ დროს მას შეეძლო...
არა, მე ეს არა მჯერა!

მე და რეინი უკვე მეხუთე წელია, ერთ მერხზე ვსხედვართ და კარგად ვიცნობ ჩემს მეგობარს. რასაკვირველია, რეინს, ღმერთმა უწყის, რა არ შეუძლია ჩაიდინოს, მაგრამ ასეთი რამ!.. არა, რეინს არ აუღია ის ფული! როგორც არ უნდა ყოფილიყო, რეინს ფული არ აუღია.

გაკვეთილები რომ დამთავრდა, კლასში ისევ შემოვიდა კლასის ხელმძღვანელი და თქვა:

— მარეს ფულის დაკარგვა საზიზღარი ფაქტია. ცუდად მოიქეცი, რომ გუშინვე არ მითხარით ამის შესახებ. თუკი რომელიმე მოწაფემ აიღო ფული, ის უკვე დახარჯავდა, ანდა სახლში წაიღებდა, ასე რომ, ახლა ჩხრეკა არავითარ შედეგს არ მოგვცემს.

მასწავლებლის ამ სიტყვებზე ყვე-

ლამ ისევ რეინს შეხედა და ჩემს მეზობელს სახე კვლავ აელანდა.

— თქვენს კლასში ორმოცი მოსწავლეა და ჩვენ არ ვიცით, რომელმა თქვენგანმა აიღო ფული. ეს შეიძლება გაეკეთებინათ არა მარტო შესვენებაზე, არამედ გაკვეთილების დაწყებამდეც. ამიტომ აი, მე რას ვფიქრობ: თუ რომელიმე თქვენგანმა აიღო მარეს მანეთი და ვერ ბედვს გამოტყდეს, მაშინ ეს ფული ხელ მოიტანოს, ჩვენ საშუალებას მივცემთ, ისე დააბრუნოს ეს ფული, რომ ვერავინ ვერასდროს ვერ გაიგებს, თუ ვინ აიღო. ამგვარად, ის მხდალი მოწაფე ნაწილობრივ მაინც შესძლებს თავისი ღირსების გადარჩენას, — დაამთავრა კლასის ხელმძღვანელმა.

არ დავიწყებ ჩვენი სკოლის აღწერას; ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენი კლასი მეორე სართულზეა მოთავსებული და იმავე დერეფანში კიდევ სამი საკლასო ოთახია, მეხუთე, ესე იგი ჩვენი კლასი, დერეფნის ბოლოშია.

შაბათს, ბოლო გაკვეთილზე კლასის დამრიგებელმა მაგიდაზე მუყაოს კოლოფი დადო, რომელსაც ზემოდან ვიწროდ გაჭრილი ნახვრეტი ჰქონდა,

და თქვა: ვინც მარეს მანეთი აიღო, ფული ამ ყუთში ჩადოს, და მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მას სინდისის ნატამალი მაინც შერჩაო.

— აი, ნახეთ, — მასწავლებელმა ქალაქის პატარა ნაგლეჯი დაახვია და ყუთში ჩაუშვა. — ახლა რომც შეანჯღრიო ეს ყუთი, ვერ მიხვდები, რა დევს შიგ, ფული თუ ქალაქი.

მერე მასწავლებელმა ყველანი დერეფანში გაგვიყვანა და ჩაგვაიმწკრივა, ოღონდ ჩვენი საკლასო ოთახის კარებთან კი არა, არამედ საკმაოდ მოშორებით — დერეფნის შუაგულში. ჩვენ თითო-თითოდ უნდა შევსულიყავით ცარიელ ოთახში, მისვლიყავით მასწავლებლის მაგიდასთან და ქურდს (რა უსიამოვნო წარმოსათქმელია ეს სიტყვა!) ფული ამ ყუთში უნდა ჩაგდო. თვითონ მასწავლებელი დერეფანში დარჩა. ამრიგად, დამნაშავეს პიროვნების საიდუმლოდ დარჩენა გარანტირებული იყო.

მოსწავლეები კლასში ანბანის მიხედვით შედიოდნენ.

სიით პირველი არჩეინად გავმართა კარისკენ, ოთახში რამდენიმე წამი დაყო, შემდეგ უკან მობრუნდა. მხოლოდ ამის შემდეგ დართო ნება





მასწავლებელმა მომდევნო მოსწავლეს ოთახში შესულიყო და იმასაც იგივე პროცედურა შეესრულებინა. ჩემი გვარი სიაში მეოთხე იყო, და მეც ჩემი ვალის შესასრულებლად კლასში შევედი.

საკლასო ოთახში თავისთავად ისეთი სიჩუმე იყო, როგორც ეკლესიაში. მაგიდაზე იდო მუყაოს ყუთი — „მატყუარას სალარო“, როგორც მას ერთ-ერთმა მოსწავლემ შეარქვა. მე ხელში ავიღე მუყაოს ყუთი და ყურადღებით შევათვალიერე.

მისი ყველა წიბო ქაღალდის ნაჭრებით იყო დაწებებული, რომ გაგეხსნა, უსათუოდ უნდა გაგეჭრა იგი. ყუთი რომც შეგეჩღორია, ვერ გაიგებდი, იდო თუ არა შიგ ფული.

მე მაინც შეივანჯღრიე მატყუარას სალარო და მხოლოდ ქაღალდის შრიანი გავიგონე. კოლოფი ცხვირთან მივიტანე და ვუყნოსე, მაგრამ ფულის დამახასიათებელი სუნი ვერ შევიგრძენი.

— ცარიელია, — დავასკვნენი, — და ალბათ ცარიელივე დარჩება.

მთელმა ამ პროცედურამ დიდი დრო წაიღო, გაკვეთილი არ ეყო, ზარი დაირეკა. სხვა კლასების მოსწავლეები დერეფანში გამოეფინენ, ჩვენ კი ვიღწქით, როგორც მომნანიებელი ცოდვილი, და ვცდილობდით თითოეული გამობრუნებულის სახეზე ამოგვეკითხა, გაღარბდა თუ არა ის ერთი მანეთით.

ჩენი ყურებამდე გაწითლებული გამოვიდა და ჩემს გვირდით უსიტყვოდ გაჩერდა.

ბოლოს და ბოლოს ყველა ვიყავით საკლასო ოთახში, მარეს გარდა.

— ახლა შედიოთ კლასში და თქვენ-თქვენ ადგილზე დასხედით, — გვითხრა მასწავლებელმა.

რაც შემდეგ მოხდა, თავისებურად მიმზიდველიც კი იყო.

მასწავლებელმა პიჯაკის ჯიბიდან პაწაწინა ჯაყვა ამოიღო და ყუთის ზედა კიდის გაჭრას შეუდგა.

არის თუ არა? ოცდათექვსმეტი წყვილი თვალი უყურებდა მასწავლებლის ხელებს

და დანას, რომელიც სქელ მუყაოს ჭრიდა.

არის თუ არა? ცალი თვალით შევხედე რეინს. იჭდა თავდახრილი და დაეინებით დაჰყურებდა მერხს. ესე იგი ოცდათხუთმეტი წყვილი თვალი მისჩერებოდა კოლოფს.

არის თუ არა? — არის თუ არა? — იკითხა მასწავლებელმაც და მე უკვე მინდოდა მეყვირა: — არა!

ყუთი გაიხსნა და მასწავლებელს სახე გაუბრწყინდა.

— არის! ცოტაოდენი პათიოსნება მაინც შერჩენია.

ყველა წამოვიშალეთ, რომ უფრო კარგად შეგვეხედა იმ ბედკრული მანეთიანისათვის, რომლითაც მარეს აკვარელის საღებავები უნდა ეყიდა. მასწავლებელმა ყუთი მალე ასწია, გადმოაპირქვა და ძლიერად დაბერტყა მაგიდაზე... პირველი, რაც შევამჩნიე, ის იყო, რომ მასწავლე-

ბელს უცბად შეეცვალა სახის გამო-
მეტყველება.

მომღიმიარე სახე უცნაურად დაე-
ძაბა, ხელი, რომლითაც ყუთი ეჭი-
რა, ჩამოუშვა.

ყუთიდან რაღაც გადმოვარდა. მა-
გრამ მაინც რაღაც დარჩა შიგნით.

მალე ჩვენთვის ნათელი გახდა: მა-
ტყუარას სალაროში ექვს ქალაღლის
მანეთიანს მოეყარა თავი...

აშკარა იყო, რომ ყუთში ფული
ჩაუშვეს იმათაც, ვისაც არაფერი
საერთო არა ჰქონდა ქურდობასთან.

მასწავლებელმა თქვა, ეს მშვენიე-
რი რამ არის, რომ თანაკლასელებს
უნდოდათ ჩამოერეცხათ ის ჭუჭყია-
ნი ლაქა, უკვე რამდენიმე დღე თი-
თქოს თავს რომ გვჭრიდა, უნდოდათ
გაეფანტათ რეინზე მიტანილი ეჭვი.
დარცხვენნილმა კლასის დამრიგებელ-
მა სთხოვა მათ, ვისაც ხელი არ უხ-
ლიათ მარეს მანეთიანისათვის, თავი-
ანთი ფული უკან წაეღოთ. კიდევ
იყო მცირე იმედი იმისა, რომ წაღე-
ბული იქნებოდა ხუთი მანეთიანი,
ხოლო მეექვსე, მოპარული, მარეს
დარჩებოდა.

ერთხანს ყველა ყოყმანობდა, მერე
თავის ფულის ასაღებად გაემართა
კალიუ — ჩვენი კლასის საუკეთესო
სპორტსმენი.

ერთიმეორის მიყოლებით დგებო-
დნენ მოსწავლეები მერხებიდან: მე-
ორე, მესამე, მეოთხე. მასწავლე-
ბელთან კიდევ ორი მანეთი რჩებო-
და, მათი პატრონები ჭერჭერობით
ყოყმანობდნენ.

— აბა, თამამად, თამამად. ჩვენ-
თან ხომ ორი მანეთიანი არ დაკარ-
გულა.

ერთი წუთიც და ვირვე და ხელ-
ღური წამოდგნენ. წამოდგნენ ერთ-
დროულად; მაშინვე უნდოდათ დამ-
ჯდარიყვნენ, მაგრამ გვიანლა იყო.
კლასის ხელმძღვანელმა უკვე შეამ-
ჩნია ისინი.

ჭერ ვირვემ მიიღო მანეთი, შემდეგ
ხელღურმა — რაზმის საბჭოს თავ-
მჯდომარემ.

მაგიდაზე მხოლოდ მუყაოს კოლო-
ფი და დახვეული ქალაღლის ნაგლე-
ჯი დარჩა.

ასე რომ, ყველაფერი ძველებუ-
რად დარჩა...

ახალი კვირის დადგომას ჩემი მე-
ზობლისათვის ოპტიმიზმი არ დაუბ-
რუნებია. მუდამ მოუსვენარი ბიჭუნა
ჩუმი, გულჩათხრობილი გახდა, მეც
კი ერთ-ორ სიტყვას თუ გადმომიგ-
დებდა.

მეგობრის წინაშე თავს დამნაშა-
ვედ ვგრძნობდი. რად ვუთხარი გო-
გოებს, რეინი შესვენებაზე საკლასო
ოთახში მარტო დარჩა-მეთქი. ეს

რომ არ მეთქვა, ბავშვების ერთი ნა-
წილი ჩემზე იტყვიანებდა და რეინს
შეუშუსუბუქებოდა მდგომარეობა,
მაგრამ, როგორც იტყვიან, წამსდარ
საქმეს ველარ უშველის თითზე კბე-
ნანი.

ოთხშაბათს ისეთი რამ მოხდა,
რამაც ისევ გააწითლა რეინი.

იმ დღეს საკონტროლო სამუშაო
უნდა დაგვეწერა ესტონურ ენაში.
დაირეკა ზარი და ყველაფერი, რაც
საკონტროლოსთვის დაგვჭირდებო-
და, მაგიდაზე დავაწყეთ. რეინმა წა-
მჩურჩულა:

— ზედმეტი კალამი ხომ არა
გაქვს?

მე თავი გავაქნიე.

— ჩემი შინ დამრჩა, — ამიხსნა.

თვალი გადავაველე კლასს. მეექვსე-
ბა. ჩვენს დროში ისეთი მოსწავლე
არსებობდეს, ორი კალამი რომ და-
ჰქონდეს. ყველა ჩვენი კლასელი ავ-
ტოკალამს ხმარობს და არავინ არ
ფიქრობს, ორმაგად დაიტვირთოს
თავი.

იმ წუთებში მე გული დამწყდა,
რომ ჩვენი მეოცე საუკუნეში ვცხოვ-
რობთ. იმ დროს, როცა ბატის
ფრთით წერდნენ, ალბათ ყველა,
ვინც კი წერდა, ერთ დუქინს მაინც
ატარებდა თან.



— ზედმეტი კალამი ხომ არა
გაქვთ? — მივმართე კლასს.

— შენ ხომ გაქვს შენი, — წაი-
ბურტყუნა კალიუმ.

— მე კი მაქვს, მაგრამ... რეინს
თავისი შინ დარჩენია.

ვიღაცამ იააკს სთხოვა კალამი. ვი-
ცოდით, რომ ორი კალამი ჰქონდა,
ერთხელ დაკარგა, და მეორე იყიდა,
მერე კი ძველიც აბოვნა.

იააკმა ჩანთიდან კალამი ამოიღო
და ხელიდან ხელში გადაცემით კა-
ლამმა რეინამდე მოაღწია.

— იმედი მაქვს, დამიბრუნდება!
— წამოიძახა იააკმა ხმაძალა.

რა ვიცი, იქნებ მას არაფერი ცუ-
დი არ უფიქრია, მაგრამ ამ დაუფიქ-
რებლად ნათქვამმა ჩემსავით ალბათ
დანარჩენებსაც მყისვე გაახსენა მა-
რეს მანეთიანი. რეინმა კალამი აიღო
და ყურებამდე გაწითლდა.

— მაინც რანაირი უსინდისო ხარ,
იააკ! — უთხრა ვირვემ მის უკან
მდგომ ჭორფლიან ბიჭს. ამით დამ-
თავრდა ლაპარაკი, რადგან კლასში
მასწავლებელი შემოვიდა.

ფულის დაკარგვის დღიდან ზუს-
ტად ერთი კვირა გავიდა.

ისევ ხუთშაბათი და ისევ დიდი
დასვენება იყო.

— ოთახიდან არავინ გავიდეს! —
დაიძახა ხელღურმა, როგორც კი მა-
სწავლებელმა კლასი დატოვა, — შე-
დგება საგანგებო საკლასო კრება.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ისე
იყო აწირილებული, რომ მისი გან-
წყობილება მთელ კლასს გადაედო.

ყველა რაღაც განსაკუთრებულს,
მაგრამ უცილობლად კარგს ელოდე-
ბოდა. ამაზე მეტყველებდა ხელღუ-
რის თვალები.

— როგორ თუ საკლასო კრება,
ჩემთან შეუთანხმებლად? — პრო-
ტესტი განაცხადა ურვემ — ჩგუფ-
ხელმა. — შენს უფლებამოსილებაში
მხოლოდ რაზმის საბჭო შედის.

მაგრამ ხელღურს წარბიც არ შე-
უხრია.

— შედგება პიონერთა რაზმის გა-
ფართოებული კრება, სადაც მთელი
მეხუთე კლასია მიწვეული.

კრებაზე თავისთავად ყველა დარ-
ჩა, როგორც ცნობისმოყვარეობის
გამო, ასევე იმიტომ, რომ დასვენება-
ზე შეიძლება კლასში დარჩენა.

უნდა გამოვტყდე, რომ იმ წუთ-
ში რეინზე არ ვფიქრობდი, მეგონა,
ხელღური ან თეატრში წასვლაზე
იტყოდა რამეს, ან მომავალ ლაშქრო-
ბებზე, ან რევოლუციონერებთან შე-
ხვედრაზე; ასეთ რამეს ხშირად ვა-
წყობთ. მაგრამ საკითხი ისევ მარეს
ფულს შეეხო.

ხელღური მასწავლებლის მაგი-



დასთან მივიდა. ჩვენ მერხებს მივუ-
სხედით.

— მარე, ეს წიგნი მოგეწონა? —
ხელდურმა მალა. თავს ზემოთ ას-
წია ჭრელ ყდაში ჩასმული წიგნი და
ვინც ახლოს იჯდა, ყველამ დაინახა
წარწერა: „ტომ სოიერი, ჰეკლბერი
ფინი“.

— მომეწონა... — წაიბუტბუტა მა-
რემ დაბნეულად და მე უცხად გამა-
ხსენდა, რომ სწორედ ეს წიგნი ვნა-
ხე მარეს მერხზე ზუსტად ერთი კვი-
რის წინ.

— გუშინ შენ ეს წიგნი ბიბლიო-
თეკარს დაუბრუნე არა?

— ჰო, — უპასუხა მარემ, რომე-
ლიც ჯერ კიდევ არ იყო მიხვედრი-
ლი, რაში იყო საქმე.

— ჰოდა, მეც მომინდა მისი გადა-
კითხვა და აი, ნახე, რა ვიპოვე შეიგ,
სანიშნი.

და მან თავს მალა ასწია ქალა-
ლის მანეთიანი.

ჩვენ ყველა სიცილისაგან გადავ-
ფიჩინდით. უცხად რალაც საოცარი
შეება და სიამოვნება ვიგრძენით.

შეგხედე რეინს, ისიც იცინოდა
სხვებთან ერთად.

მარე სიცილით გავიდა დაფასთან.
მაგრამ ხელდურს რომ მიუახლოვდა,
სახე ძალზე სერიოზული გაუხდა.

— ეს... ჩემი მანეთიანი არ არის.

— როგორ თუ შენი არ არის? —
დაბნეულად ჰკითხა ხელდურმა. —
მე ხომ ეს მანეთიანი იმ წიგნში ვი-
პოვე, რომელსაც შენ კითხულობ-
დი.

— არა, არა, ეს ჩემი არ არის.
სულ სხვანაირი იყო!

— კი მაგრამ, შენ ხომ გქონდა მა-
ნეთიანი? — ჰკითხა ხელდურმა, —
ქალაღისა?

— მქონდა, — მიუგო მარემ. —
მაგრამ ეს ძველი და დაჭმუჭნულია,
ჩემი მანეთიანი კი ახალი იყო, ტკი-
ცინა, ლამაზი. იმ დღეს მამამ ხელფა-
სი აიღო და სულ ახალი ფულები მი-
სცეს, პირდაპირ ბანკიდან გამოტა-
ნილი.

მარე ერთხანს იდგა დაბნეული
კლასის წინაშე, მერე თავის მერხს
მივარდა, გამოიღო ჩანთა, მასწავ-

ლებლის მაგიდასთან დაბოუნდა,
ყველაფერი გადმოყარა ჩანთიდან,
წიგნები და რვეულები დაბერტყა,
სიმღერების კრებული გადმოიღო.

იქ, სიმღერების კრებულის ბო-
ლო გვერდებს შუა იღო ის ახალი,
პირდაპირ ბანკიდან გამოტანილი,
მოყავისფრო ქალაღის მანეთიანი,
მარეს მანეთიანი.

გოგონას უნდოდა ის კლასისთვის
ეჩვენებინა, მაგრამ ვერ შეძლო, ტი-
რილი აუვარდა. ჩვენც უკვე აღარ
ვიცინოდით, მაგრამ არც ავტირე-
ბულვართ, და საერთოდ რა საჭირო
იყო ცრემლების ღვრა: ყველაფერი
კარგად დამთავრდა, ასე არ არის?

ხელდურმა ჩაახველა, კლასს გა-
დახედა, კიდევ ერთხელ ჩაახველა
და მხოლოდ ამის შემდეგ წარმო-
თქვა:

— კრება დამთავრებულია!
და ჯიბეში ჩაიღო თავისი დაჭმუ-
ჭნული მანეთიანი.

თარგმანა მანანა სიღამონიძე

შურნალ კომუნარი 1981 წელს დაგეგმილი მასალების საკითხავი

პ ო ე ზ ი ა

- ბურგანიძე ა. — ამ ყრილობას, კომუნის მშენებელთა თავ-
ყრილობას. № 1. უსათაურო (შენ, სიყვარულით გარემოცულო...);
ჩემო დიდო დედამიწავ; მთები; გურისტბავ. № 8.
ხარაზიშვილი ნ. — სახალწლო. № 1.
ფორჩხიძე შ. — ცისფერ ეკრანზე ლურჯ ბურუსში ცურავს
მსოფლიო. № 1.
ჩაჩუა მ. — მამულე ჩემო. № 1.
გორბანელი ვ. — მოდის არმია ქმობის. № 2; დიდგორის ბაღა-
და. № 12.
კიბლაშვილი ნ. — საჭიროა ვიოცნებოთ. № 3.
ბაბოძე თ. — მამულს. № 3.
მეტრეველი გ. — საღამო მთაში; სკოლაში. № 3.
მეგრელიშვილი ა. — გაზაფხულის სურათები; ნაკადული ვარ
პატარა. № 4.
ბურბულია ბ. — მთაწმინდა. № 5.
როშვა შ. — ვადიდებ უძლეველ კავშირს. № 5.
ქოზათი ი. — ჩემი ხმაც ერთვის. № 5.
ჩხატინაი მ. — იმ გატაცებით. № 5.
პიპინაძე ბ. — ავად გახდა ხუთიანი; წვიმა. № 6.
პიტიაშვილი ც. — ჯადო ფუნჯი; გლეხკაცის ეპიტაფია. № 1;
ჩურჩხელა. № 7.
სტვილია ლ. — რომ; დიდება; ჩვენ ვერადებით. სამშობლოს.
№ 7.
მგალობა შ. — ვინ დაივიწყებს?! № 8.
შამფრინაი ს. — მოგონება. № 2; სვანეთის გზაზე. № 8.
ივარდაძე დ. — მოგილოცავთ. № 9; ჰომი მუხე; ბაიკალს იქით;
ჩრდილოეთის ციალი; ენგურბესთან თქმული. № 11.
პარპაძე ე. — კვლავ წკრალებენ სკოლის ზარები. № 9.
ქნაძე ბ. — პირველი სექტემბერი. № 9.
სპანიძე პ. — ცხრანი; მიტოვებულ სოფელში ანუ იმედია
სიმღერა; აი, მაშინ ხარ კაი უმა; ტყეში; წყარო. № 10.
აფხაზაძე ნ. — დგას ნათლის სვეტად. № 10.
მეგრელიშვილი ბ. — ჩიტების ჰომი; აბა, შენ იცი! ამ სიყვა-
რულმა კაცი თუ არ გაქცია გმირად. № 12.

პ რ ო ზ ა

- ჩაჩანიძე რ. — იზარდ, მწვანე ჭეჭილო! № 1, 5, 8, 12.
სასპარაძე დ. — ჭრელა. № 1.
პორაძე ჯ. — გჯერათ თოვლის პაპის? № 1.
აფხაზაძე ნ. — სხვისი საქმე. № 2, 3, 4, 5.
ჯობაძე ბ. — შინდის ხის მძივები. № 2.
ივანოვი ვ. — მიქელანჯელო. № 2.
სოტნიანი ი. — როგორ აღიზარდა მამა ხელახლა. № 3.
პიპინაძე ე. — გოგია. № 4.
შლანოვი ნ. — ღამე პუტილოვსკში. № 4.
პირია ჯ. — ციკენა გოგოს და მისი მეგობრების უჩვეულო ფა-
თერაკები. № 4.
გომეშვილი ჯ. — გამოძახილი. № 6, 7.
ვახაშვილი დ. — ბაღლოჯი; ირაო. № 6.
სულარშანი — ბრძენი და ბრძევი; ორი ბრძენი; ფარდები.
№ 6.
მგალობა ნ. — დაგვიანებული წერილი. № 7.
ჯგუბური მ. — მდინარისპირა ჭაღის ზღაპარი. № 7.
ბროკფორდი ა. — მხროლელთა გილდია. № 7.
ასლამაშვილი ვ. — თეთრი ცხენი. № 8.
მუჯირიშვილი ბ. — ცაცხვი. № 8.
ცხომელთა ენა. (ინგლისური ზღაპარი). № 8.
ბუთხუცი ბ. — გზის დასაწყისი. № 9, 10, 11.
ჩხანიძე მ. — ფიროსმანი. № 9.
ბარუშინი ს. — იმას იოლკა ჰქვია. № 9, 10.
პატრიშვილი ბ. — მღებავი და გაუცინარი კაცი. № 10.
ჯაბახიშვილი მ. — ფიცი ტყეში (ნაწყვეტი „არსენა მარაბდე-
ლიდან“). № 11.
კაპალაძე ბ. — ოქროს ნალი. № 12.
სპი ბ. — მანეთი. № 12.

პ ი ო ნ ე რ უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

- რუსანიძე ბ. — წინ კიდევ ბევრი საქმეა. № 2; კომუნისტებს ვუს-
წორებთ მხარს. № 5.

ხარაზიშვილი ნ. — ის, რასაც რწმენა აღმოაცენებს. № 3; ასი კითხვა ფიზიკაში. № 4; წინ. პიონერული რაზმებო! № 7; თამაშიდან ქეშმარიტ მოვალეობამდე. № 8; შეკრება დამთავრდა, შეკრება გრძელდება. № 9; პირველი ნობათები. № 12.

ფავალიანიშვილი ნ. — მიიღე, სამშობლოვ, პიონერული ნაღობი. № 7.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საქართველოს პიონერთა XII რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებისადმი. № 5.

საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილეთა წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს. № 5.

საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილეთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა პიონერისადმი. № 5.

საქართველოს პიონერთა XII შეკრების მონაწილეთა ფიცები. № 5.

შამფრინანი ს. — გამარჯობა, ჩემო მომავლო მეგობარო! № 6.

პიონერთა VIII საკავშირო შეკრების დღეგატთა მიმართვა ლ. ი. ბრეჟნევისადმი. № 7.

პიონერთა საკავშირო შეკრების მიმართვა ჩვენი ქვეყნის ყველა ნორჩი ლენინელისადმი. № 7.

აზხაზაზა ნ. — მარშ არა აქვს არადადეგები. № 8.

ცაბარალი თ. — ქულზე კაცი! № 9.

პიონერული ხუთწლედო მოქმედებს. № 10.

სპინსპერნიმ მ. — სამშობლოვ, გწამდეს მათი! № 11.

წერილები, მოგონებები, სკოტი, სხვადასხვა მასალები

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლები ახალი ხუთწლედო. № 1.

აზხაზაზა ნ. — „გონიერსა მწვრთნელი უყვარს...“ № 1.

აპალიანი ნ. — გეპატიუბათ გიმნასიონი. № 1.

ჩხარტიშვილი ბ. — (რუბრიკით „იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?“) თიღვის ტაძარი. № 1; ქვათახევი. № 8.

ოსტროვსკი ბ. — ეს მოხდა სანდომირთან. № 1.

დათუაშვილი ბ. — გულუხვი მკურნალი. № 1.

ცაბარალი თ. — „პიონერფილმი“ და მისი გზა კეთილი. № 2.

მისტიანიშვილი მ. — ყურადღება, თქვენს გვერდით მოზარდია! № 2.

შენიშნოვი ვ. — თეატრი და ბავშვები. № 2.

დიდიამიშვილი ე. — (რუბრიკით „ამაგდარი“) როცა სიმღერები არ ბერდებიან. № 2.

საბაშვილი შ. — კოსმოსური კატასტროფის ნაკვალევი? № 2; ტუნგუსკის აფეთქება, რამ გამოიწვია იგი? № 7.

„სიმღერა მშობლიურ ჰანგებზე“ (მუსიკალური ნოტი). № 2.

თეორიისა და პრაქტიკის მტკიცე ერთიანობით (საუბარი „მრგვალ მაგიდასთან“). № 3.

რეპრეზენტაციის უღრეკი რეგულაციონერი. № 3.

სიღამონიშვილი ვ. — თინა წაკისელი. № 3; გიორგი სააკაძე და ნარტლედი გოგო. № 11.

ტაშაშვილი დ. — „მზე დედა ჩემი...“ № 3.

ბეგეშვილი არნ. — (რუბრიკით „ბუნების კარი“) რას ნიშნავს ეკოლოგიური წონასწორობა? № 3; ადამიანთა დიდი სახლი. № 8; იერარქია ანუ უმცროს-უფროსობა ცხოველებში. № 11.

ბოცვაძე ზ. — ქეთევან ჭილაშვილი. № 4.

ბაბუაშვილი ბ. — გავუფრთხილდეთ ჯანმრთელობას. № 4. უშედეგათო ბრძოლა გამოუცხადლო ნარკომანიას. № 8.

ალიხანოვი ი. — კარატე რაინდთა სპორტია. № 4.

სირაძე ვ. — წინსვლის გზები. № 5.

შინაშვილი ბ. — მარად მხარდამხარ. № 5.

თარბა ი. — უანგარო მეგობრობა. № 5.

ტაძიძე ა. — ჩემო პატარა მეგობარო. № 5.

ხალვაში ვ. — მადლი ძმობისა. № 5.

ბაბაძე დ. — ახალ აპარას აშენებს მეგობრობის ძალა. № 5.

ბახტაძე ბ. — ლენინის საჩუქარი. № 5.

ზეიშია საქართველოში (ფოტომონტაჟი). № 6.

„ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“ (საუბარი „მრგვალ მაგიდასთან“). № 6.

ჩხარაზა ნ. — ცოტა რამ ბოსტნეულის ისტორიიდან. № 7.

ტაბატაძე ბ. — გამარჯობა, მატარებელო! № 8.

შენიშნოვი თ. — ყველასათვის მშობლიური. № 9.

მელაძე ზ. წმინტაშვილი ზ. — ეგმი გუშინ, დღეს და ხვალ. № 9.

„პიონერული“ (მუსიკალური ნოტი), № 9.

ცხადდება „პიონერული ვიქტორინა“. № 10.

კივირიანი ბ. — ტანვარჯიში სილამაზეა. № 10.

გორბაძე ე. — უანასკნელი ხელმოწერა. № 10.

ჯურაბაშვილი ლ. — ქსოვა. № 3, 10.

მომავალ თაობაზე წარუწვით და ფიქრით. № 11.

კონონენაძე ე. — ახალი ქვეყნის პირველი მერცხლები. № 11.

შავლიანიშვილი მ. — უინვალუბისი. № 11.

გელოდებათ საცურაო აუზები (საუბარი „მრგვალ მაგიდასთან“). № 12.


განყოფილებები

- აისი — 1—12.
- კოცონი — № 1, 2, 3, 4, 5, 11, 12.
- შეკრიბოთ ხალხური საუნჯე — № 7.
- ახალი წიგნები — № 2, 3, 5, 8.
- მხედრონი — № 2, 4, 7, 9, 11.
- ფრთხილად, ავტომობილი! № 1, 2, 8, 11.
- ჯადოსნური სარკე — № 1, 2, 3, 4, 5, 9, 10, 11, 12.
- თამაშობები — № 1, 2, 11.
- გამოგადგები — № 1, 3, 4, 9, 10, 11, 12.
- საინტერესო თემაზე — № 7, 12.
- ცხრაკლიტული — № 1—12.
- ფოკუსის მიღმა — № 10, 11, 12.





სოკო ზამთრისათვის რომ გაახმონ, მზეზე ფენენ, უმჯობესია, სოკო აიასე, მავთულზე ჩამოცმული გაახმონ — ასე გაცილებით უფრო პიგიენურია, თან სოკო უფრო სწრაფადაც ხმება.



პარკეტის იატაკის პირწმინდად გაფხეკა, მოციკლა, საამისო ძაღლონეც რომ შეგწვედეს, თითქმის შეუძლებელია, მაგრამ თურმე ამ საქმეშიც შეიძლება ელექტრული იატაკსაპირიღებელის გამოყენება და აი, როგორ. ელექტროსაპირიღებელს ჯაგრისი მოხსენი, ზედ მჭიდროდ შემოახვიე ზუმფარის ქაღალდი, ქაღალდს მავთული ან ლითონის საღტე შემოახვიე და ღერძულაზე ისე დაამაგრე. თუ ქველაფერს ზუსტად შეასრულებ, ხელთ გექნება მშვენიერი საციკლავ-საფხეკი ელექტრული მანქანა.




ღიასახლისი ყველაზე მეტ ენერგიას სარეცხის რეცხვას ახმარს ხოლმე. ამიტომ, თუ გინდა დედაშენს ან ბებიას შრომა შეუსუმბუქო, სააბაზანოზე ასეთი მოწყობილობა


დაამონტაჟე: რკინის დასვრეტილ მილს ბოლოებში რეზინები დაუცვი და ზედ ონკანზე ჩამოცმული რეზინის მილი მოარგე. მერე რკინის მილი აბაზანაში ჩაამაგრე. (რკინის მილი იმისათვის არის საჭირო, რომ წყალი თანაბრად მიაწოდოს). წყალსაწრეტს მაღალი ძაბრი ჩამოაცვი, სარეცხის გავლებიას ქაფი მაღლა ექცევა ხოლმე და რეცხვას უშლის ხელს. ის ქაფი ახლა ძაბრს ჩაჰყვება, აბაზანაში კი სუფთა წყალი ჩარჩება.



როცა ხერხს პირს უწყობ, ალესილმა კბილებმა ხელი რომ არ გაგიფუჭოს, მარცხნივ, უკვე აწყობილ კბილებს შლანგის ნაჭერი ჩამოაცვი და ხელი მერე ჩასვიდე.



ხის ბოძების ღობა რომ შეაყრდნონ, ბოლოზე რუბეროიდის ქაღალდს შემოახვიევენ და რუბეროიდს სარჩილავით ახურებენ. ბიტუმი, რომლითაც რუბეროიდი გაჟღენთილი, ღღვება, ხეს უღინთავს, თანაც რუბეროიდი ხის ზედაპირს კარგად ეკვრის და სინეტეს აღარ ატარებს.



ლ. ი. ბრეჯნევის დაბადების 75 წლის- თავის აღსანიშნავად	1
ხარაზიშვილი ნ. — პირველი ნობათები (ნარკვევი) გარკ.	2
ჩაჩანიძე რ. — იზარდე, მწვანე ჭეჯილო! (დოკუმენ- ტური მოთხრობა)	4
გელოდებათ საცურაო აუზები (საუბა- რი „მრგვალ მაგიდასთან“)	10
გორგანელი ვ. — სამგორის ბალადა (ბალადა)	14
მებურიშვილი ტ. — ლექსები	15
აისი	16
კეკელაძე გ. — ოქროს ნალი (ნაწყვეტი რომანიდან)	18
კოცონი	24
ჯადოსნური სარკე	24
სეპი გ. — მანეთი (მოთხრობა)	26
ჟურნალ „პიონერში“ 1981 წელს დაბეჭდილი მასა- ლების საძიებელი	30
გამოგადგები	32
ცხლაკლიტული	3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ი. სამსონაძისა,
მე-4 გვერდის — ე. ცაბაძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზაშვილი, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვალაჯორია, გაიოზ ფოცხი-
შვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიაშვილი, რობერტ ლა-
რიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამგრიანი (პ/მგ. მდივანი),
ლიანა შაფრიული, ზურაბ წვრიკაშვილი, ზურაბ ჭუმბუ-
რიძე.

საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენი-
ნის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტე-
ლეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ. მგ.
მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01.
გადაეცა ასაწყობად 23. 10. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15 X 11.
81 წ., ქაღალდის ფორმატი 60 X 90¹/₃, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 2671, ტირ.
157 209. ეგზ. უე 08802.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского
Республиканского Совета Всесоюзной пионерской
организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси,
ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии,
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60 X 90¹/₃, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 157 200 экз. Цена 20 коп.



გამოცანები

დალოცვილი ოლიმპი მისი ფეხი და ძირი, გაზაფხულს გულში იტუტებს და სიხარულით ტირის.

● პაწაწა ხოთოფი აქვს, მწარედ იცის ჩხვლიტა, სიფრიფანა ფრთებით დაქკის, ბეკითა მტაღ, ანობათი რომ დაგომოვალს, სვამს ყვავილის ნექტარს.

შ აპირანასუვილი

შეტადიან ბასკორება

„პონერის“ მე-11 ნომერში დაშვებული იქნა ტექნიკური შედეგი: გამოკვეთილი კროსოვლის ნახაზი ტექსტარ შეესაბამება. ტექსტის შესაყვისი ნახაზი კვეთდება აქვე ამავე კროსოვლის ნაწილში „პონერის“ მკითხველებს.

დატოვა ლურჯი გალია, სული მაშინვე დალია.

● გავლიძებული მთა-ბარი მისი სურნელით ივსება, მისი სახელის სათქმელად სულ ორი ბგერა გვჭირდება.

● ჩხუბობენ შავი დევები, ელვარებს ცეცხლის ქამარი, ნეტავი გამაგებინა, მისი სახელი რა არი

3 ლეჟავა

კაფიანი კარგი მკითხველს „სხრატყველს“


კროსოვლი

სარატყველად: 5. ჩანგი; 6. ალამი; 8. არტილერია; 13. ჩადრი; 16. კრევი; 17. კანტატი; 18. მახე; 19. მია; 20. ლავა; 21. მინა; 22. დასი; 25. ტულა; 27. სტაფილი; 28. ვარნა; 29. სკოტი; 32. მარტი-ნიკა; 35. კოტრი; 36. ტალა.


შვეულად: 1. ქნაჩი; 2. „ფიცა“; 3. მარე; 4. ვარია; 7. ტრაპა; 8. ლისტო; 10. ტეფრი; 11. ორბელიანი; 12. ტრამბოკა; 14. ტალანტი; 15. სტიმული; 23. ადანი; 24. აფენი; 26. ლიტრი; 30. მალტა; 31. სკოლა; 33. ტრია; 34. ნოტა.

თამბატაქი


ორი ღერი ახანის გადაადგილებით ასე მიღებთ ხუთკვადრატს.



თითოეულ ნაწილში თითო ხე რომ იჭრებოდეს, ბალი ასე დაიყუდა შეიღ თანაბარ ნაწილად.



აი, როგორ გაივლება მოგ-ჭაური ხაზი.




ფოკუსის შემსრულებელი მაკურბლებს აჩვენებს ცარიელ კოლოფს და ორ კუბიკს. შემდეგ კუბიკებს კოლოფში დებს და პატარა ჩოხით ფრთხილად გადმოურის მათ. მაგიდაზე იცემა კუბიკი. მეორე... მესამე.

ფოკუსის საიდუმლოება მესამე კუბიკშია. იგი ზომით უდნავ დიდაა. მისი ზედა და ქვედა კედლები იხსნება და ერთმანეთს რეზინით უკავშირდება. ფოკუსის დაწებამდე ამ კუბიკს კედლებგახსნილს ათავსებენ კოლოფში და კედლები დროზე ადრე რომ არ დაიხსნოს, სკანცელარიო სამაგრებით ამგრებენ კოლოფზე. დანარჩენი კუბიკები უფრო პატარებია და თავისუფლად გადიან კოლოფში, როცა მასში მესამე კუბიკი მოთავსებულია. როცა ორი კუბიკი მაგიდაზე დაეცემა, მესამეს შეუმჩნევლად მოსესნი სამაგრი — რეზინი კედლებს დახურავს და კუბიკი გადმოვარდება.

კოლოფი პარალელტეპედის ფორმის და ერთმანეთზე შედგმული სამი კუბიკის სიმაღლისა უნდა იყოს.

ნახატი ბ. ზახაროვიკისა
„უნი ტენიკი“

დასესი იონცხს

